



თავაზ კინეარე  
ცისვერი პრაცეტის  
სიმუშობრეები

# მარტინ ჭიათურე



გამოიცემულია „საგვითა საქართველო“  
0100 იუნი 1974

523 . 2

525

୪୯୯

ଏହାମିଳାନି ଶ୍ରୀଶ୍ରୀଵାରି ଦରିନିଲାନ ପ୍ରଦିଲାଳଙ୍କ କୋଣ୍ଟର୍‌ଫେଲ୍‌  
 ମିଶନବିଲୁପ୍ତି ମିଶନବିଲୁପ୍ତି—ଦ୍ୱାରାମିଶିଲ୍‌ ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତିକେବେଳୁ  
 ଏବଂ ଏମନିଲୁପ୍ତି ବିଲୁପ୍ତି କାହିଁନାହିଁ ଏବଂ ଏମିଶିଲ୍‌ କାହିଁନାହିଁ ? କାହିଁନାହିଁ  
 ଶ୍ରୀଶ୍ରୀଵାରି ମିଶନବିଲୁପ୍ତିକେବେଳୁ ? ରାଜନୀତି ଏକାଗ୍ରିମତ ଉପାଯରେ  
 ମାତ୍ର ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତି ? ରାଜନୀତି ଏକାଗ୍ରିମତ ଉପାଯରେ ? ରାଜନୀତି  
 ଏବଂ ମିଶନବିଲୁପ୍ତିକେବେଳୁ ? ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତି ଏବଂ ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତିକେବେଳୁ  
 ଏବଂ ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତିକେବେଳୁ ? ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତି ଏବଂ ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତିକେବେଳୁ ?

0261—161  
 K M601(08)—73 369—74

© ଗାମନିଲୁପ୍ତିକେବେଳୁଙ୍କା „ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତି ଶାନ୍ତିବିଲୁପ୍ତି“

## შ 0 ს ა ვ ა ლ ი

დედამიწა, ჩვენი მშობლიური პლანეტა, პატარა ცისფერი ბურთივით მიქრის მზის სისტემასთან ერთად უსასრულო სამყაროში. როგორც ყველაფერი, დედამიწაც განიცდის ცვლილებებს, ევოლუციას. ეს ძლიერი პროცესი მიმდინარეობს მის სიღრმეებსა და ზედაპირზეც. დედამიწის არსებობის პერიოდში გამუდმებით იცვლებოდა მისი იერი. ჩნდებოდა ახალი მთები, ხმელეთის ზოგი ნაწილი ოკეანის ფსკერად იქცეოდა, ხოლო ოკეანეებიდან დღის სინათლეზე ამოიზრდებოდა მაღალი ქედები.

ოდესლაც, მილიარდი წლების წინათ დედამიწა პლანეტად ჩამოყალიბდა. მერე შეიქმნა ატმოსფერო, ჰიდროსფერო; მზის სითბოს გავლენით ყოველდღიურად მილიარდამდე ტონა ორთქლადქცეული წყალი მიემართება ატმოსფეროს ზედა ფენებისკენ, სადაც ღრუბლებს ქმნის და ვეიბრუნდება წვიმისა თუ თოვლის სახით.

დაახლოებით 2000 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე სი-  
ცოცხლე ჩაისახა. გაჩნდნენ პირველი უმარტივესი კულტურული  
ორგანიზმები, რომლებიც დროთა განმავლობაში ვითარდებო-  
დნენ. ცოცხალი სამყარო თანდათან რთულ სახეს ღებულობდა  
და მრავალფეროვანი ხდებოდა. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ  
ერთი მილიონი წლის წინ გაჩნდა ადამიანი. იგი რასაკვირვე-  
ლია, ბევრით განსხვავდებოდა დღევანდელი ადამიანისგან,  
რომელსაც პომო საფიქსის (გონებრივ ადამიანს) უწოდებენ.  
ერთი მილიონი წელი დასჭირდა ბუნებას, რომ სრულყოფილი  
ადამიანი ჩამოეყალიბებინა. და გონების განვითარების რიე-  
რაჟზე ადამიანმა უკვე დაიწყო ფიქრი ბუნების რაობაზე.

საუკუნეთა წინ, როცა ადამიანს არ შეეძლო ბუნების მო-  
ვლენათა ახსნა, იგი ყველაფერს ზებუნებრივ ძალებს მიაწერ-  
და. ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში აღმოცენე-  
ბული რელიგია თითქმის დღევანდლამდე ქაღაგებს, რომ ბუ-  
ნებას მართავს შეუცნობელი, ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძა-  
ლა. ყველაფერი შექმნა ღმერთმა—აი, რელიგიის ძირითადი  
დებულება.

დღეს სხვადასხვა მეცნიერებებით შეიარაღებული ადამი-  
ანი თამამად მიაბიჭებს ცოდნის გზაზე. იგი უკვე ატომური  
ხომალდით დაცურავს ზღვაში, ზებგერითი სიჩქარის თვით-  
მფრინავებით სერავს ცის ლაუგვარდებს, გაიჭრა კოსმოსში.  
სამყაროს უფრო ღრმად შესასწავლად, ადამიანებმა მიაღწიეს  
მთვარეს. დღეს თამამად დაღის დედამიწის თანამგზავრზე

მთვარემავალი, რომელიც საბჭოთა მეცნიერებმა შექმნებულ კენტრონის ვენერას - ცისკრის ვარსკვლავს; წინ უდიდესი პერსპექტივებია. თითქმის ყველაფერი დაიმორჩილა აღამიანია—ბუნების მეფემ. მხოლოდ ორი მრისხანე მოვლენის წინაშეა ჯერჯერობით სუსტი ყოვლისშემძლე აღამიანი—ვულკანური მოვლენებისა და მიწისძვრების წინაშე. მაგრამ მეცნიერების გიგანტური ნაბიჯები საწინდარია იმისა, რომ ამ მრისხანე მოვლენებსაც მალე ჩააყენებს იგი თავის სამსახურში.

## ლეირთებთან ბრძოლა

• ადამიანის ფიქრის ცრთი საქმეები თვისება მოვლენათა მიზეზის ძიებაა. როცა ადამიანის ფიქრი კითხულობს: სად? რისთვის? საიდან და როგორ! ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა, სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსელა

ვ ი ყ ა - ყ შ ა ვ ე ლ ა


საკითხი დედამიწის რაობის შესახებ, თუ რა აღგილი უკავია მას სამყაროში, საიდან და როგორ გაჩნდა იყი... ოდითგან-ვე არ ასევენებდა ადამიანს.

დედამიწის წარმოშობის შესახებ ყრსებობს მრავალი გადმოცემა.

ბაბილონელთა წარმოდგენით, უზენაეს ღმერთს მარდუქს სამ-კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ურჩხულ ტიამატთან, რომლის დამარცხების შემდეგ მან რატომდაც გადაწყვიტა სა-მყაროს შექმნა. თავდაპირველად მარდუქმა ზღვაში შექმნა ქალაქი ერიდუ\* და ესაგილი\*\*. წყლის ზედაპირზე ლერწმის ჭილოფი მოათავსა, მერე შექმნა მიწა და ჭილოფზე დაყა-რა, დარგო ხეები. აგურის ყალიბები გააკეთა და ააშენა სა-

\* ქალაქი ძეველ ბაბილონში.

\*\* მარდუქის ტაძარი ძეველ ბაბილონში.



სურ. 1. სამყაროს აგებულება ძველი ბაბილონელების წარმოდგენით.  
 ხლები, რომლებშიც ცოცხალი არსებები მოათავსა. ბოლოს  
 კი საკუთარი ხელით შექმნა აღამიანი (სურ. 1).

ფარაონთა ეგვიპტეში ქურუმები ამტკიცებდნენ, რომ დე-  
 დამიწა მხართებოზე წამოწოლილი აღამიანია, რომელზეც  
 ხელ-ფეხითაა დაბჯენილი ზეცის ქალღმერთი. ამ უკანასკნე-  
 ლის სხეულზე ორი ნავი მოძრაობს, ერთზე ამომავალი მზეა  
 მოთავსებული, მეორეზე—ჩამავალი; მზის ღმერთის ეგვი-  
 პტურ პიმნში კი ნათქვამია:

ურიცევია ის, რაც შენ შეპქმენ!  
 შენ მარტოდმარტომ შეპქმენი დედამიწა ისეთი,  
 როგორიც შენს გულს სურდა,  
 ადამიანებით, ჭოვებით და უოველი ცხოველით,  
 შეპქმენი უკელაფერი, რაც მიწაზე საკუთარი უქით დადის,  
 ჟველაფერი, რაც კაში საკუთარი ფრთებით დაფრინავს.

ინდოელები დარწმუნებული იყვნენ, რომ შედეგი არ მოაღენდა ვებერთელა ვაკეს, გარშემორტყმულს რძისა და ნექტარის შეიძი თკეანით. ამ ვაკეზე აღმართული იყო შეიძი მთა, შუაში კი უზარმაზარი კლდე. მთვარეს დროვა-მოშვებით ყლაპავდა ვება გველეშაპი, რაც მთვარის დაბნე-ლებას იწვევდა. ასეა ნათქვამი პურანაში.\* ასეთივე გულუბრ-ყვილო შეხედულებებია გადმოცემული შასტრაში.\*\*

სამყაროს შექმნის შესახებ უძველესი თქმულება შე-მონახულია ინდურ წმინდა წიგნში, „მენუს კანონებში“. უძველესი ინდური პიმნები— ვედები ჩვენს წელთაღრიცხვა-მდე XIII საუკუნეში იქნა მთლიანად შეგროვილი. ეჭვგარე-შეა, რომ ისინი გაცილებით ადრე იქნებოდა დაწერილი. ამ პიმნებში აღწერილია მითები სამყაროს შექმნაზე და განეი-თარებაზე „უპირველესი და ერთადერთი მიზეზის“ ნებით. ამ „მიზეზმა“ დასაწყისში „განზრახ შექმნა წყალი, რომელზეც თვით დაცურავდა პრამას სახით მოვლენილი. ბრამამ შექმნა ხმელეთი და მიწაზე დაასახლა მცენარეები, ცხოველები, ფრინველები და ადამიანი“. სამყარო ნადგურდებოდა ყოვე-ლი მანვანტარის ბოლოს მსოფლიო ხანძრისაგან. გამოღვიძე-ბული ბრამა ხედავდა მხოლოდ წყალს და ყველაფერს ისევ თავიდან ქმნიდა.

ძველი აღმოსავლეთის კოსმოგონური თქმულებები აი-თვისეს ჯვიპტელებმა, საიდანაც იგი საბერძნეთში გავრცე-ლდა. ძველი ბერძნული მითები სამყაროს შექმნაზე მოცე-მულია პიმნებში, რომლებსაც მითიურსავე პოეტ ორფეუსს აწერენ. ეს პიმნები მოხსენებულია პლატონის ცნობილ დია-

\* ძველი ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური ეპოქა, პოეზიის ეპოქა.

\*\* ძველი ინდურ-ფილოსოფიური წიგნების კრებული.

ლოგში, რომელსაც ეწოდება „ტიმეოსი ანუ ატლანტიკული შესახებ“. ორფეუსის ჰიმნების მიხედვით სამყარო იქმნებოდა, ინგრეოდა და კვლავ განახლებას განიცედიდა. დიდი კატასტროფების განმეორება განისაზღვრებოდა დიადი წელიშადის ხანგრძლივობით, რაც ორფეუსის მიხედვით 120 ათას წელს უდრიდა სწავათა აზრით კი 300 ათას ან 360 ათას წელსაც.

პლატონი თავის დიალოგში ეყრდნობა ეგვიპტელთა შეხელულებებს და წერს, რომ აღამიანთა მოღვამს არ შეეძლობედნიერებისა და სიმშვიდის მდგომარეობაში ხანგრძლივად ცხოვრება. აღამიანთა ცოდვები და ბიწიერება ბოლოს და ბოლოს აუტანელი ხდებოდა ღმერთისათვის და ისიც ცეცხლთა და წარლვინით ანადგურებდა კაცობრიობას. შემდგომ ადამიანთა სიცოცხლე კვლავ აღორძინდებოდა და რაღაცა პერიოდის განმავლობაში ქვეყნად ნეტარება სუფევდა, მაგრამ ისევ ცოდვები და ბიწიერება იბუდებდა მათში და ყველაფერი კვლავ ნადგურდებოდა.

ინდურ შეხედულებებს სამყაროს შექმნისა და პერიოდული წარლვნების შესახებ ვხვდებით ძველი არაბეთის დამწერლობით ძეგლებშიც. სტრაბონის ნაწარმოებებიდან ირკვევა, რომ ძველი აღმოსავლეთის შეხედულებები სამყაროს შექმნის შესახებ გავრცელებული ყოფილა დრუიდებშიც—ძველი გალების ქურუმთა შორისაც. მსოფლიო წარლვნა ხშირადაა ნაჩენები სახარებაში, აგრეთვე ამერიკის ინდიელთა თქმულებებშიც.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით აღრე დედამიწაზე არსებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე განვითარებული ქვეყნები იყო ბაბილონი, ეგვიპტე და ჩინე-

თი. განსხვავებით სხვა მეომარი ხალხებისგან, ტარძლების მმში მოპოვებული ნაღველით ცხოვრობდნენ, ბაბილონელები, ეგვიპტელები და ჩინელები მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რაც დაკავშირებული იყო ნილოსის, ტიგროსის, ევფრატისა და ხუანხეს ადიდებასთან. წყალდიდობის დროს ეს მდინარეები ნაპირებზე ნაყოფიერ შლამს ტოვებდნენ, რაც ხელსაყრელი იყო მიწათმოქმედების განვითარებისათვის. ამიტომ მდინარეების ადიდებას მოსახლეობა სულმოუთქმელად ელოდა და დაგვიანების შემთხვევაში მსხვერპლსაც კი სწირავდნენ. მდინარეების ადიდებას ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ, აგრეთვე თავიანთი „სურვილის“ მიხედვით დღეს ლამედ „აქცევდნენ“ (მზის დაბნელება) და ხალხში გავლენას იმტკიცებდნენ. წინასწარმეტყველება კი დაკავშირებული იყო ასტრონომიულ ცოდნასთან, რომელსაც მაშინ ასტროლოგიას უწოდებდნენ. ჩელიგიის მსახურთ ეშინოდათ გავლენის დაკარგვისა და თავიანთ ცოდნას საიდუმლოდ ინახავდნენ, ყველაფერს ღმერთს მიაწერდნენ.

სახელმწიფოების განვითარებას სავაჭრო ურთიერთობის განვითარება და გაღრმავება მოსდევდა. ძველი საბერძნეთის, ფინიკიის და სხვა სახელმწიფოთა ხომალდები სერავდნენ ხმელთაშუა, ეგვიპტისა და შავ ზღვებს. ზოგი გაბედული ვაჭარი-მეზღვაური ოკეანეებშიც კი იქრებოდა ღრმად, ინდოეთისკენ, აფრიკისკენ. მეზღვაურებმა თანდათან ისწიელეს ორიენტი-ჩება ვარსკვლავების მდებარეობის მიხედვით. ასტრონომიული ცოდნა გამცდა ტაძართა კედლებს.

ჰერაკლიტე ეფესელი წერდა, რომ „სამყარო იყო, არის და იქნება მარადიული ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ალება და კანონზომიერად ქრება.“ ხოლო არისტარქ სამოსელმა-

პირველმა განაცხადა, რომ დედამიწა მზის გარშემო მოძრაობას და ამავე დროს ბრუნავს საკუთარი ღერძის ირგვლივაც. არა-სტარქი მასხარად აიგდეს და სამშობლოდან გააძევეს. დემოკრატება აზრით, ვარსკვლავები შორეული მზეები იყო.

პირველი მატერიალისტური მოძღვრებანი წარმოიშვა VII-VI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიღეთში, ძელ საბერძნეთში. ამ პერიოდში აქ ცოვრობდა და მოღვაწეობდა სამი დიდი მოაზროვნე — თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენი.

თალესი<sup>4</sup> იყო ვაჭარი. იგი ბევრს მოგზაურობდა და კარგად იცნობდა ბაბილონისა და ეგვიპტის მეცნიერთა მიღწევებს. მან ვამოიყენა ეგვიპტესა და ფინიკიაში შესწავლილი ასტრონომიული ცოდნა მზის დაბნელების ციკლურობის შესახებ და 585 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთში იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება, რითაც სახელი გაითქვა. თალესი ფიქრობდა, რომ ყველაფერი გაჩნდა რაღაც ნოტიო პირველნივთიერებიდან ან წყლიდან, დედამიწაც მოთავსებული იყო წყალზე. მისი აზრით, დედამიწას პჟონდა წყალზე მოტივტივე ბრტყელი ბირთვის ფორმა. თალესს მიაჩნდა, რომ სამყარო სავსე იყო ღმერთებით, ყველაფერს გააჩნდა სული და მაგალითად ასახელებდა მაგნიტისა და ქარვის მიერ სხვა სხეულის ამოძრავების თვისებებს. თალესის აზრით, ყველაზე ახლოს დედამიწასთან ვარსკვლავები იყო, ხოლო ყველაზე შორს — მზე.

თალესის მოწაფემ ანაქსიმანდრემ<sup>5</sup> პირველმა შეადგინა დედამიწის რუკა და ცის გლობუსის მსგავსი რამ. იგი ამტკიცებდა, რომ დედამიწას ბურთის კი არა, ცილინდრის ფორმა აქვს და ყოველი მხრიდან აკრავს ცის სფერო. სამყაროს წარმოშობის პროცესში დედამიწის ზემოთ გაჩნდა პარისა და წყლის

გარსები; ჰაერის გარსს კი ცეცხლის გარსი შემოეცნას უძლიერი მანდრე იმასაც ამტკიცებდა, რომ აღამიანი გაჩნდა თევზის შიგნით, შემდგომ გამოვიდა თევზიდან და ხმელეთზე ამოსვლისას ფორმა შეიცვალა.

ანაქსიმენის<sup>6</sup> აზრით, ყველაფერი ჰაერიდან გაჩნდა.

ძველი წელთაღრიცხვის VI—V საუკუნეების პოეტი-ფილოსოფოსი ქსენოფანი<sup>7</sup> აცხადებდა, რომ სამყარო მუდმივია და მისი მოსპობა შეუძლებელია. ანაქსაგორემ<sup>8</sup> კი წამოაყენა მოსაზრება, რომ მზე ჩვეულებრივი სხეულია და არავითარი ზებუნებრივი არ არსებობს მასში. იგი შედგება გავარვარებული მასისაგან, რომელიც დედამიწაზე არსებულ ნივთიერებათა ანალოგიურია. ამის გამო სულიერ მამათა სასამართლომ მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, რომელიც შემდეგ სამშობლოდან გაძევებით შეუცვალეს. ასევე დაემართა არისტოტელესაც,<sup>9</sup> რომელსაც 60 წლის ასაქში უღმერთობა დასწამეს და მოწინავე იდეების ქადაგებისათვის სამშობლოდან გააძევეს. იგი ამბობდა, რომ სამყარო მუდმივია და ამით უარყოფდა სამყაროს შექმნას ღმერთის მიერ.

პტოლომემ<sup>10</sup> წამოაყენა სამყაროს ე. წ. გეოცენტრული სისტემა, რომლის მიხედვითაც დედამიწა უძრავი იყო და სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა. პტოლომეს მიერ შემუშავებული სამყაროს გეოცენტრული სისტემა კარგად ეგუებოდა ჩელიგიას, ამავე დროს დიდ დახმარებას უწევდა იმდროინდელ ზღვაოსნებს, მოგზაურებს მზის, მთვარის და პლანეტების მდებარეობის გარკვევაში და ამიტომ დიდი ხნით გაბატონდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში.

ძველი მსოფლიოს მეცნიერთა შრომები ძირითადად თავმოყრილია იყო ეგვიპტის მაშინდელ დედაქალაქ ალექსანდრი-



აში. იქ, მუზათა ტაძარში, მუსეიონში ცხოვრობდნენ და მუშა-  
ობდნენ სხვადასხვა მხრიდან მოსული მეცნიერები, რომელთან დაკა-  
ვანებარგულებაში იყო ალექსანდრიის უზარმაზარი ბიბლი-  
ოთექა. ამ ბიბლიოთექის გრანდიოზულობაზე ისიც ლაპარა-  
კობს, რომ მისი სარჩევი 120 ტომს შეიცავდა, ხელნაწერთა  
რაოდენობა კი ნახევარ მილიონს აღემატებოდა.

48 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ალექსანდრიაში იული-  
უს კეიისრის ლეგიონები შეიჭრნენ. ბრძოლის დროს გაჩენი-  
ლმა ხანძარმა შთანთქა ბიბლიოთექის დიდი ნაწილი. ამის შემ-  
დეგ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ გადარჩენილ ხელ-  
ნაწერებს. გავიდა სამი საუკუნე და ჩვენი წელთაღრიცხვის  
341 წელს კვლავ განადგურდა ბიბლიოთექა, ამჯერად მშეი-  
ღობან დროს, ქრისტიანი პატრიარქის თეოფილეს ბრძანებით  
ღვთისმოსავნი შეესივნენ ბიბლიოთექას და საუკუნეთა  
განმავლობაში დაგროვილი მეცნიერული ცოდნა, პოეტთა ქმნი-  
ლებები, სათუთად შემონახული პაპირუსებზე, ცეცხლს მისცეს.  
ქრისტიანული რელიგია ანადგურებდა ყოველგვარ პრივატ-  
სულს, ამსხვრევდა კულტურის ძეგლებს, წვავდა მოწინავე  
ადამიანებს. „ქრისტეს შემდეგ ჩვენ არ გვეირდება მეცნიე-  
რება“—ო ქაღაგებდნენ „წმინდა“ მამები.

„ლმერთმა არაფრისგან შექმნა უყელაფერი“—ასეთი იყო  
ბიბლიის ძირითადი დებულება. ლმერთმა ექვს დღეში შექმნა:  
ცა, დედამიწა, ვარსკვლავები, მცენარეები, ფრინველები, ცხო-  
ველები და ადამიანები, ხოლო მეშვიდე დღეს კი დაისცენა  
„ამდენი ჯაფით დაღლილმა“. თვით სიტყვა ადამიც ძევლებრა-  
ულ ენაზე წითელ თიხას ნიშნავს, საიდანაც ვითომცდა ლმერთ-  
მა ადამიანი გამოძერწა. კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლული  
ლვთისმეტყველი, ვინმე, ჯონ ლაიტფუტი სამყაროს შექმნის

თარიღსაც კი აცხადებდა: 4004 წელი ქრისტემდე, 23 ოქტომბერი, დილის 9 საათის რა ცრუ მტკიცებაა! ამის უამრჩველესობიც კი კმარა, რომ ჯოსერის პირამიდა 4600 წლის შენსას აგებული.



სურ. 2. სამყაროს აგებულება ბიბლიის მიხედვით.

შეუა საუკუნეების მოსკოვის სახელმწიფოში გავრცელდა ბერის, ვინმე კოზმა ინდიკოპლევსტის „თეორია“, რომლის მიხედვით სამყარო უზარმაზარი სკივრისმაგვარი სხეული იყო. სკივრის ზედა ნაწილში — ცის თაღში, ანგელოზებს მორაობაში მოყვდათ მნათობები და იქვე მოთავსებული ცისტა:



რნებიდან დედამიწაზე წყალს ღვრიდნენ პერიოდულად წვიმისა თუ თოვლის სახით. სკივრის გუმბათში ანუ სასუფავები განისვენებდნენ ქრისტე და უცოდველ აღამიანთა სულუქებითთვის სკივრის ქვედა ნაწილში კი ჭოჭოხეთი იყო, რომლის შესასვლელი ატლანტის ოკეანის ფსკერზე იმყოფებოდა.

ქრისტიანობას არც მუსულმანური რელიგია ჩამორჩებოდა. არაბი მასუდი, რომელიც თავის თავს „ლაპებ-ალ-რასულს“ ანუ ღვთის მოციქულის თანამგზავრს უწოდებდა, ავტორია წიგნისა „მურუჭე-ედ დაპრაბი“, საღაც აღწერს სამყაროს შექმნის ცტორიას დასაწყისიდან ხალიფ მოთხიბილაპის მეფობამდე, სწორედ ამ დროს, ჰიჯრის\* 336 წელს, კიუმადი-ელ-ალუალის თვეში დაიწერა ეს წიგნი. მასში ნათქვამია, რომ დედამიწა არის ღილი ფრინველი, რომლის თავი შედგება მექა და მედინა-საგან; მარჯვენა ფრთა არის სპარსეთი და ინდოეთი, მარცხენა—ვოგის ქვეყანა, ხოლო, კუდი—აფრიკა. დედამიწამ გადაიტანა რამდენიმე წარლენა და იგი განახლდება ყოველი 70 ათასი წაზარუაშის შემდეგ.

VII საუკუნეში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე არაბები შეიქმნენ. 691 წელს მათ ალექსანდრიაც დაიპყრეს. არაბთა ბელადმა, ომარმა, ბრძანა ბიბლიოთეკის გადატენილი ხელნაწერების დაწვა. „თუ ამ წიგნებში იგივე წერია, რაც ყურანში, ზედმეტია, ხოლო თუ ყურანს ეწინააღმდეგებიან — მავნეა. ამიტომ ორივე შემთხვევაში უნდა დაიწვას“ — უთქვამს უკიც ბარბაროსს.

ძველი შრომები გაქრა, მაგრამ არა უკვალოდ. დაიწვა ალექ-

\* მაპმატია და პირველი მუსულმანების გაქცევა მექადან მელინში, საიდანაც იწყება მუსულმანური წელთაღრიცხვა.

სანდრიის ბიბლიოთეკის გამგის, ერათოსტენეს!! მრავალი  
მიანი „გეოგრაფიაც“. მისი შრომებიდან ზოგმა ცნობაში მოვალეობა  
მდე მოაღწია პტოლომეს საშუალებით. მისგან ვგვიჩვით, რამაც  
ერათოსტენე გამოჩენილი ბერძენი მეცნიერი ყოფილა. იგი  
სწავლობდა ასტრონომიას, ფილოსოფიას, მათემატიკას და პოე-  
ტიც ყოფილა, რის გამოც ვიღაც თანამედროვეს მისთვის „ბე-  
რა“ შეურქმევია, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერათოსტენე, რად-  
გან მრავალი მეცნიერებით იყო გატაცებული, პირველი  
ვერასოდეს გახდებოდა და ყოველთვის იქნებოდა „ბე-  
რა“, ე.ი. მეორუ, ლათინური ანბანის მეორე ასოს მსგავსად.  
პტოლომესგან ვიგებთ, რომ ერათოსტენეს ყველაზე მეტად  
დედამიწა აინტერესებოდა. ივი ბევრს კითხულობდა პაპირუ-  
სებზე შემონახულ წიგნებს, რომლებშიც აღწერილი იყო  
ძველ კართაგენელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა, ფინიკიელთა  
შორეული მოგზაურობანი. მისთვის ნაცნობი იყო ძველი ინდუ-  
რი მანუსკრიპტები და ძველ ეგვიპტელთა თქმულებები. იგი  
ღრმად შეისწავლიდა არისტოტელეს, ანაქსიმანდრეს, თალესის  
და სხვათა შრომებს. მან იცოდა, როგორი შეხედულებები  
არსებობდა დედამიწის წარმოშობისა და ფორმის შესახებ. მის  
მოღვაწეობაში ყველაზე მეტად საინტერესოა ის, რომ მან  
პირველმა გაზომა დედამიწის სიდიდე, მაგრამ ამაზე შემდეგ.  
როდესაც დედამიწის ფორმას და ზომებს განვიხილავთ.

გადიოდა დრო, ზღვაოსნობა ვითარდებოდა. მოგზაურები  
და ვაჭრები სულ უფრო შორს იქრებოდნენ ზღვაზე და ხმე-  
ლეთზე და მათ უკვე აღარ აქმაყოფილებდათ ძველი შეხედუ-  
ლებები სამყაროს რაობის შესახებ, რასაც რელიგია სთავაზობ-  
და. IX—X საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მეცნიერული  
აზროვნება გაქრა, ყველაფერი შავბნელმა რელიგიამ მოიცვა.



დაიწყო ჯვაროსნული ომები „ქრისტეს კვართის“ გასაჟურნალით სუფლებლად, რომელიც ვითომცდა პალესტინაში იყო. სინამდვილეში კი ეს მხოლოდ მიზეზი იყო არაბეთის და აღმოსავლეთის მდიდარი ქალაქების გასაძარცვავად. მაგრამ ამ ლაშქრობათა შედეგად ევროპაში გაჩნდა არაბ მეცნიერთა შრომები და როგორც არ უნდა პარადოქსული იყოს — ამის შემდეგ გაიცნო ევროპამ არისტოტელებს, არქიმედეს, პტოლომეს შრომები. არაბების მიერ ძველი ბერძნულიდან თარგმნილი მეცნიერული შრომები ლათინურ ენაშე ითარგმნებოდა და XI—XIII საუკუნეებში სწრაფად მოედო ევროპას. მაგრამ რელიგია გააფთრებით ებრძოდა ძველ ბერძენ მეცნიერთა შეხედულებების გავრცელებას. ვინც კი გაბედავდა მათი წიგნების შესწავლას, ერეტიკოსად აცხადებდნენ და სდევნილნენ. ამასობაში კი ევროპაში ფეხს იყიდებდა კაპიტალიზმი, რომელიც ნელ-ნელა ცვლიდა ფეოდალიზმს. კაპიტალიზმს კოლონიები და გასაღების ბაზრები სჭირდებოდა. ვაჭრობა სწრაფი ტემპით ვრთარდებოდა. ამ პერიოდში პირველ ადგილს იკავებს იტალია, მისი ქალაქების: ვენეციის, გენუის, ფლორენციის და სხვათა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აგრეთვე დიდმა სავაჭრო ფლოტმა, ვანაპირობებს ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სწრაფი აღმავლობა. იტალიელი ვაჭრები ძირითადად აღმოსავლეთით, არაბეთის ქვეყნებისაკენ მიიღუდოდნენ, ხოლო ფლორენციელა ვაჭარი შარქო პოლო<sup>12</sup> უფრო შორს, აზიაში, ჩინეთისკენ გაეშურა და რამდენიმე წელი დაპყო ჩინეთის იმპერატორის კარზე. მოგზაურობას და ვაჭრობას უფრო ზუსტი რუკები და ხელსაწყოები სჭირდებოდა, ვიდრე მანამდე არსებობდა. შორეული მოვზაურობები ამტკიცებდნენ ძველ ბერძენ მეცნიერთა შეხედუ-



ლებებს დედამიწის ბურთისებური ფორმის შესახეულებელი  
რესიც მათი შრომების მიმართ განუხრელად იხილდებოდა.

ქრისტიანული რელიგია ამ პერიოდში ისე ძლიერი იყო,  
როგორც არასდროს. მისი მესვეურნი გრძნობდნენ, რომ მეც-  
ნიერება თანდათან სულ უფრო და უფრო მეღვრად უტევდა  
ღმერთს და გადაწყვეტის არისტოტელეს სწავლების „შელამა-  
ზება“ ბიბლიური წარმოდგენებით. ამ დიდი მეცნიერის შეხე-  
დულებათა გადაკეთებაზე განსაკუთრებით თავგამოდებით  
იმუშავა კათოლიკური ეკლესიის ბერმა თომა აქვინელმა<sup>12</sup>.

XIII—XIV საუკუნეებში წარმოიშვა მიმდინარეობა, რომელიც  
ცდილობდა მეცნიერების „შემორიგებას“ ქრისტიანულ რე-  
ლიგიასთან. ამ მიმდინარეობას შემდგომ სქოლასტიკა უწოდეს.  
სქოლასტიკოსები დამუშავების შემდეგ ასე წარმოადგენდ-  
ნენ არისტოტელეს სამყაროს იერს: დედამიწა ბურთია და სა-  
მყაროს ცენტრში მდებარეობს. მის შიგნით ჭოჭოხეთია ცოდ-  
ვილთათვის. დედამიწის ირგვლივ ბრუნავენ სფეროები, რომ-  
ლებიც მოძრაობაში ანგელოზებს მოჰყავთ. ამ სფეროებ-  
ზე—ზეცაზე მიმაგრებულია მნათობები. ცოორილთა სფეროე-  
ბის შემდეგ განლაგებულია უმოძრაო ვარსკვლავთა სფერო.  
მის მიღმა კი მოთავსებულია პირველადი ძრავა. უფრო შორის  
მოთავსებულია ცხოველთა საცხოვრებელი—ემპირეა. ესაა  
ღმერთისა და მისი მსახურების სამყოფელი.

შეა საუკუნეების მოგზაურები იყენებდნენ ციურ მნათობ-  
თა მოძრაობის არაბულ ტაბულებს, მაგრამ განვითარებული  
ზღვაოსნობა უკვე ამითაც ვეღარ კმაყოფილდებოდა. საჭირო  
იყო მათი გადასინჯვა და შესწორება. ამ პერიოდისთვის ას-  
ტრონომია სწრაფი ნაბიჯებით ვითარდებოდა. არაბული ტაბუ-  
ლები შეიცვალა ე.წ. „ალფონსოს ტაბულებით“, რომლებიც



შეადგინეს 1252 წელს კასტილის მეფის ალფონსის ტრანსფუზია  
ბით. უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდნენ ასტურიანთა  
მების—პურბახის<sup>14</sup> და რევიოშონტანის<sup>15</sup> ტაბულები. ისინი  
კარგად ეხმარებოდნენ მეზღვაურებს გზის გაგნებაში და დიდი  
როლი ითამაშეს XV საუკუნეში ვასკო და გამას, კოლუმბისა  
და მაგელანის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებში. უკანასკნელის  
მოგზაურობამ დედამიწის გარშემო საბოლოოდ გაფანტა ეჭვე-  
ბი დედამიწის ფორმის შესახებ.

X—XV საუკუნეებში შეუა აზიაში გამოჩენილი მეცნიერები  
მოღვაწეობდნენ. ტაფიკი ბირუნი აბუ-რაიხანის<sup>16</sup> გამოკვლევები  
ფართოდაა ცნობილი. იგი გატაცებული იყო ასტრონომიით,  
მათემატიკით, მინერალოგიით, გეოგრაფიით და ფილოსოფიით.  
მის მიერ დედამიწის ზომების განმსაზღვრელი მეთოდები დი-  
დი შენაძენი იყო შეუა საუკუნეების აღმოსავლეოის ასტრონო-  
მიისა და გეოგრაფიისათვის. მანვე გამოთქვა აზრი დედამიწის  
მზის ირგვლივ მოძრაობის შესახებ. ბირუნი დაუღალად ებრ-  
ძოდა რელიგიურ ცრურწმენებს ბუნების მოვლენათა ახსნის  
საქმეში და ამტკიცებდა მეცნიერული ცოდნის ჭეშმარიტებას.

XV საუკუნის გამოჩენილი უზბეკი ასტრონომის, ულუგბე-  
კის<sup>17</sup> სახელი ფართოდაა ცნობილი. მისი ვარსკვლავთა მდება-  
რეობის ტაბულები ისეთი დიდი სიზუსტით გამოიჩინდა, რომ  
საუკუნეების შემდეგ მრავალ მეცნიერს აღეძრა ეჭვი მათ  
ჭეშმარიტებაში და თვით ულუგბეკის არსებობაც კი ეჭვის  
ქვეშ დაყენეს. არქეოლოგებმა სამარყანდის მახლობლად გათ-  
ხარეს უზარმაზარი ასტრონომიული ობსერვატორიის ნაშთე-



ბი, რითაც დამტკიცდა ამ დიდი მეცნიერის არსებულობის განვითარება

დიდი მეცნიერობაც.

XV საუკუნეს წილად ხედა უდიდესი ბედნიერება. მან დაბა-  
და ისეთი ბუმბერაში ადამიანები, როგორიც იყვნენ ლეონარდო  
და ვინჩი, კოპერნიკი, ფორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი,  
ონდან კეპლერი და სხვ.

ლეონარდო და ვინჩი უარყოფდა არისტოტელეს სფეროების  
არსებობას. იგი ამტკიცებდა, რომ დედამიწა არ არის სამ-  
ყაროს ცენტრში და რომ მას ბრუნვითი მოძრაობა ახასიათებს.  
შეუა საუკუნეების გამოჩენილი მეცნიერი ნიკოლოზ კუზანელი  
კი ამბობდა, რომ დედამიწა მოძრაობს და სამყაროს არ შეიძ-  
ლება პქონდეს ცენტრი, რადგან იგი უსასრულოა.

ასე თუ ისე, შეუა საუკუნეების ზოგიერთი მეცნიერი ახლოს  
იყო ჭეშმარიტებასთან, მაგრამ თუმცა მათი შეხედულებები  
პტოლომეს გეოცენტრული სისტემის წინააღმდეგ იყო მი-  
მართული, კონკრეტულად არავინ ცდილა მეცნიერულად  
დაესაბუთებინა სამყაროს აგებულების ამ სისტემის მცდარობა.

თვრამეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც არისტაქ სა-  
მოსელი სამშობლოდან გააძევეს და მასხარად აგდებული მეც-  
ნიერის შეხედულებებმა ახალი ძალით შეუტია სარწმუნოებას.

1473 წელს პოლონეთის ქალაქ ტორუნაში დაიბადა ნიკო-  
ლოზ კოპერნიკი, რომელსაც წილად ხედა მეცნიერების ჭეშ-  
მარიტ გზაზე გამოყვანა. ძველ ბერძენ მეცნიერთა შრომებზე  
და საკუთარ შეხედულებებზე დაყრდნობით კოპერნიკმა შემდე-  
ვი დასკვნები გამოიტანა: „ცის თაღის ხილული დღე-ღამური  
ბრუნვა, აგრეთვე დღისა და ღამის ცვლაც გამოწვეულია დე-  
დამიწის ბრუნვით საკუთარი ღერძის ირგვლივ. მზის ხილული  
წლიური გადაადგილება ვარსკვლავების მიმართ არის დედა-  
ვი



მიწის მზის გარშემო მოძრაობის შედეგი. ყველა პლანური მიზანი მოძრაობის დედამიწაც, მოძრაობს მზის ირგვლივ წრიულ ორბიტაზე.“

თავისი შეხედულებების გამო კოპერნიკი აცხადებდა: იშისათვის, რომ არ იფიქროთ, თითქოს მე მხოლოდ ჩემს შეხედულებებს ვაღრცელებდე, შეადარონ ჩემი ახსნა ფაქტებს, მაშინ დარწმუნდებიან, რომ იგი კარგად უთანხმდება მათ.

კოპერნიკის მოძლვრებამ დაფორიაქა სამღვდელოება. ლუთერმა სასტიკად გაილაშქრა მეცნიერის წინააღმდეგ: „ლაპარაკობენ ვიღაც ახალ ასტროლოგზე, რომელიც ამტკიცებს, რომ დედამიწა მოძრაობს, ხოლო კა და მზე უძრავია. ახლა, ვისაც კი სურს თავის თავი ჰკვეიანად მოგვაჩვენოს, ცდილობს გამოივინოს რაღაც განსაკუთრებული. აი, ეს სულელიც ცდილობს ყირამალა დააყენოს ასტრონომია“.

კოპერნიკი არ შეუშინდა ასეთ დაცინვებს და მეგობართა რჩევით 1543 წელს გამოსცა თავისი შრომა „ციურ სფეროთი მოძრაობის შესახებ“. რამდენიმე დღის შემდეგ დიდი მეცნიერი გარდაიცვალა. პტოლომეს გეოცენტრული სისტემა კი შეიცვალა კოპერნიკის პელიოცენტრული სისტემით, რომლის მახედვითაც მზემ თავისი ადგილი დაიკავა სამყაროში. მართალია კოპერნიკის აზრით მზე უძრავი იყო და პლანეტები მის ირგვლივ მოძრაობდნენ, მაგრამ ეს შეხედულება თავისთვალ პროგრესული იყო იმ პერიოდისთვის. კოპერნიკის შრომა დაწერილი იყო რთული მათემატიკური ენით და პირველ ხანებში არც კი იდევნებოდა, მაგრამ შემდეგ, როცა მისი შინაარსი გაიგეს, სამღვდელოებამ აკრძალა იგი. მაგრამ რა შეაჩერებდა აღამიანთა აზროვნებას. ვერავითარი ბორჯილები და კო-



ცონები ვერ ჩაახშობდნენ გამოღვიძებულ მეცნიერებას რომელიც  
ლიც სულ უფრო მეტი ძალით უტევდა რელიგიას. პირადობება

კოპერაციის იდეები განაცილარა იტალიელმა ჭორდანა-  
ბრუნომ. იგი მონასტერში იზრდებოდა და სასულიერო პირი  
უნდა გამოსულიყო, მაგრამ როცა კოპერაციის მოძღვრებას  
გაეცნო, მიატოვა მონასტერი და დიდი პოლონელი მოაზროვ-  
ნის მიმდევარი გახდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა იტალიაში  
ინკვიზიტორთა კოცონები ზეცას სწვდებოდა. ინკვიზიტორებმა  
დევნა დაუწყეს ბრუნოს და იგი იძულებული გახდა შვეიცა-  
რიაში გამგზავრებულიყო. „სულიერმა მამებმა“ არც იქ მოას-  
ვენეს მღელვარე სულის მქონე მეცნიერი, შეიძყრეს და ცა-  
ხეში ჩასვეს. ჭორდანომ შესძლო ციხიდან გაქცევა და საფრან-  
გეთში გადაიხვეწა, საღაც მას რამდენიმე ხანს საფრანგეთის  
მეცე პენრის მესამე და მისი დედა, წარმოშობით იტალიელი,  
ეკატერინე მედიჩი მფარველობდნენ. ბრუნომ მოკლე ხანში  
დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი ლექციებს კითხულობდა  
ტულუზის უნივერსიტეტში და მაღლე სორბონის უნივერსიტე-  
ტის პროფესორობაც შესთავაზეს, მაგრამ მეცნიერმა ამ საპატიო  
თანამდებობაზე უარი განაცხადა, რადგან უნივერსიტეტის  
პროფესორები ვალდებული იყვნენ სისტემატურად დასწრე-  
ბოდნენ საეკლესიო წირვას. ამის გამო ურთიერთობა ბრუნო-  
სა და ეკლესიას შორის აქაც გამწვავდა. ამას ისიც დაერთო,  
რომ ბრუნო საჯარო დისპუტით გამოვიდა კოპერაციის იდეე-  
ბის დასაცავად და უნივერსიტეტის პროფესორებიც გადაიმტე-  
რა. ამ პერიოდში საფრანგეთში მწვავე ბრძოლა იყო კათოლი-  
კებსა და პუგენოტებს შორის. პენრის ნავარიელი იბრძოდა  
ტახტის ჩასაგდებად, კათოლიკების ბელადი, პერკოგი გიზი,  
ამზადებდა წმინდა ბართლომეს ღამეს. ბრუნოს ოლარ დაედგო:



მებოლა საფრანგეთში და ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი ინგლისში ში გადაიხვეწა. ლონდონში ჯორდანონ ბრუნომ გამოაქვეყნიათ ამ ვისი ცნობილი თხზულება „სამყაროს უსასრულობის შესახებ“, რომლის ძირითადი თეზისები შემდეგში გამოიხატებოდა:

დედამიწას აქვს ბურთთან მოახლოებული ფორმა, იგი შეწეულია პოლუსებთან და ბრუნავს მხის ირგვილებ.

მხე ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო.

დედამიწის ღერძი დაწეულია ორბიტის სიპრტყისკენ.

უძრავი ვარსკვლავებიც მზეებია და მათ ირგვლივაც ბრუნავენ პლანეტები.

სამყარო და მათი სისტემები იცვლებიან, მათ აქვთ დასაწყისი და დასასრული.

ბრუნოს ღექციები მაგნიტივით იშიდავდა ახალგაზრდობას, მაგრამ უფროსი თაობის პროფესორებმა პირი შეკრეს და მიაღწიეს მისი ღექციების აკრძალვას.

მრავალი თავგადასავლებისა და ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ ჯორდანონ ბრუნო მშობლიურ იტალიას დაუბრუნდა, საღაც აღუთქვეს რომ ხელს არ ასლებდნენ, მაგრამ 1592 წელს იგი შეიძყრეს.

„კავკასიის მყინვარებსაც კი არ ძალუდო ჩემი გულის ცეცხლის განელება!“ — განუცხადა დიღმა მოაზროვნემ ინკვიტორებს, რომლებმაც მას „უსისხლო სიკვდილი“ ანუ სეცხლზე დაწვა მიუსაჭეს. ამ საშინელი განაჩენის გამოტანისას მან ასე მიმართა შეკრებილ სამსჯავროს: „ოქვენ უფრო დიდი შიშით გამოგაქვთ განაჩენი, ვიდრე მე ვისმენ მას“.

1600 წლის 16 თებერვალს რომში, ყვავილების მოედანზე დიდი კოცონი გიზგიზებდა, რომლის შუაში აღმართულ ბოძზე მიგაჭვული ბრუნო სძლევდა აუტანელ ტკივილს და დაცინვით



გადმოჰყურებდა ბნელეთისა და უციცობის ბრძა მოციქულების შემცირების შესახებ. მათ გაიმარჯვეს, დაწვეს ბრუნო, მაგრამ ვერაფაზის დაკავშირდება მეცნიერულ იდეებს, რომელთა უარყოფას დიდმა იტალიელმა მოაზროვნემ ცოცხლად დაწვა იმჯობინა.

ღრმ დაამტკიცა ჭორდანო ბრუნოს შეხედულებათა სისწორე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული მოწინავე და კეშმარიტი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება სამყაროს რაობის შესახებ. ბრუნოს აუტოდაფედან 289 წლის გასვლის შემდეგ იმ ადგილზე, სადაც იგი ჩაიტერფლა, მადლიერმა იტალიელმა ძეგლი აუგეს.

აქ შეიძლება გავიხსენოთ უ. პაკსტონის სიტყვები: „იდეები საქვეყნოდ სჭირებული ქვემეხებზე უფრო ხმამაღლა, ასრები არმიებზე ძლიერია, პრინციპებმა უფრო მეტი გამარჯვებები მოიპოვა ვიდრე ცხენოსანმა ჭარებმა და საომარმა ეტლებმა“. კოპერნიკისა და ბრუნოს იდეები უფრო მეტი ძალით უტევდნენ რელიგიას. გალილეო გალილეიმ პირველი ტელესკოპი გამოიგონა და მთვარეზე მოების სიმაღლეებიც კი გაზომა. ამავე ტელესკოპის საშუალებით მან მზეზე ლაქები შეამჩნია და მათი მოძრაობის მიხედვით დასკვნა, რომ მზე ბრუნავს საკუთარი ღერძის ირგვლივ. გალილეი ანვითარებდა კოპერნიკისა და ჭორდანო ბრუნოს იდეებს, იყსებდა მათ საკუთარი დაკვირვებებით. ვერც ციხემ, ვერც განუწყვეტელმა დევნამ ვერ გატეხა მეცნიერის სული, მხოლოდ ფიზიკურად დაავრდომა იგი. 1632 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „დიალოგი ორი უმთავრესი—პტოლომეს და კოპერნიკის —სამყაროს სისტემების შესახებ“, რომელშიც იგი კოპერნიკის შეხედულებებს იცავდა. ამ წიგნის გამო რომის პაპის ურბან VIII ბრძანებით დაავადმყოფებული გალილეი სასამართლოს წინაშე წააყენეს და აი-



ძულეს უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე. სიცოცხლის უკრძალული ნასკნელ წლებში დაბრმავებული მეცნიერი ინკვიზიციის უფლისობრივი ტროლის ქვეშ განაგრძობდა შესანიშნავ გამოკვლევებს ფიზიკაში.

გამოჩენილმა გერმანელმა ასტრონომმა იოჰანე კეპლერმა აღმოაჩინა პლანეტების მოძრაობის კანონები და ნათელი გახდა კოპერნიკის პელიოდური ტრირული სისტემა. ეკლესია ორც ამ მეცნიერს აძლევდა თავისუფალი ცხოვრებისა და მუშაობის საშუალებას. იგი იძულებული იყო პრალაში გადასახლებულიყო და ნახევრად მშიერს ემუშავა თავის დიდ აღმოჩენებზე გამოჩენილ ჩეხ ასტრონომ ტიხო ბრაგესთან ერთად.

რელიგია ცეცხლით ებრძოდა მოწინავე მეცნიერებას. ვინ იცის, რამდენი პროვოკაციულად მოაზროვნე ადამიანი შეიწირა მან, შუა საუკუნეების სქელადლება სისხლით მორწყულ საკანებში. „დედამიწა რომ მრგვალი იყოს, ჩვენს საწინააღმდეგო მხარეს მცხოვრები ადამიანები როგორ ივლიან თავდაყირა, ოკეანეებიდან და ზღვებიდან კი წყალი გადაიღვრებოდათ. ადამიანებს და ცხოველებს, რომელთაც მოძრაობის უნარი შესწევთ, აქვთ კიდურები და კუნთები; დედამიწას არა აქვს არც კიდურები და არც კუნთები, მაშასადამე მოძრაობაც არ შეუძლია“. — ასეთი სულელური არგუმენტები მოჰყავდათ ეკლესიის მსახურებს. ძალიან კარგად აქვს ნათქვამი ანატოლ ფრანსს: „უვიცობა სწორედ იმიტომაა ასე საზიზღარი, რომ იგი ასაზრდოებს ცრურწმენებს... უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანებიც კი უნებლივ დამნაშავეები ხდებიან. რელიგიის ისტორია ამის აურაცხელ მაგალითს იძლევა: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რელიგიური ომები, დევნა, კოცონზე დაწვა, ბერ-მონაზვნური აღთქმები, საზიზღარი



წეს-ჩვეულებანი, არა იმდენად ადამიანთა ავზნეობროა თუ ამ  
დენადაც მათივე სისულელით. რომ დაფიქტდე იშენებულება  
ბებზე, რომლებიც უხსოვარ დროიდან და ჩვენს, ჯერ ისევ  
ბარბაროსულ დღემდე ბეღშავ კაცობრიობას გამოივლია,  
მის მიზეზს ჩვენ თითქმის ყოველთვის ვიპოვით ბუნების მო-  
ვლენათა ყალბ ახსნაში და რომელიმე რელიგიურ მოძღვრე-  
ბაში, რომლებიც ჩვენს გარემომცველ სამყაროს ველურსა  
და იბსურდულ ახსნას აძლევენ“.

დღეს ყველამ იცის ისაკ ნიუტონის მსოფლიო მიზი-  
დულობის კანონი. ნიუტონმა განიხილა მთვარის ბრუნვა  
დედამიწის ირგვლივ და ღამტკიცა, რომ მისი მოძრაობა გამო-  
წვეულია დედამიწის მიზიდულობით. მან დაამტკიცა, რომ  
სიმძიმის ძალა არის ის ძალა, რომელიც იძულებს მთვარეს  
იბრუნოს დედამიწის ირგვლივ. ესაა მსოფლიო მიზიდულო-  
ბის კანონის კერძო შემთხვევა. მზე იზიდავს პლანეტებს, ეს  
უკანასკნელი კი თავის მხრივ იზიდავენ მზეს. დედამიწა იზი-  
დავს მთვარეს, მთვარე—დედამიწას და ა. შ. ნიუტონმა დაას-  
კვნა, რომ მასათა შორის მიზიდულობის ძალა არსებობს, რო-  
მელიც პირდაპირ პროპორციულია მასების ნამრავლისა და  
უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის კვადრატისა. დე-  
დამიწაც იზიდავს თავის ცენტრისკენ მის ზედაპირზე გან-  
ლაგებულ სხეულებს: ოკეანებს, ზღვებს, შენობებს, ადამი-  
ანებს და სხვ. ქვევითო, რომ ვამბობთ, იგულისხმება მიმართუ-  
ლება ჩვენგან დედამიწის ცენტრისაკენ. თუ დედამიწას სფეროდ  
მივიჩნევთ, ეს მიმართულება რადიუსს დაემთხვევა. ასევე იჭ-  
ნება ჩვენს საწინააღმდეგოდ მყოფი ადამიანებისთვისაც, ანუ  
როგორც მათ უწოდებენ — ანტიპოდებისთვისაც. ამიტომა,  
რომ ისინი თავდაყირა არ დადიან და ოკეანებიდანაც  
წყალი არ იღვრება.

## ჰიპოთეზები, ჰიპოთეზები...

ჭეშმარიტება ინასკვება და იბადება  
მოპირდაპირე აზრთა დულიში.

კ ე ლ ვ ა ც ი უ ს ი

როდესაც ლაპარაკია დედამიწის გაჩენაზე, მხედველობაში აქვთ საერთოდ პლანეტების წარმოშობა. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კოსმოგონია—მეცნიერება ციური სხეულების წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

პირველი კოსმოგონიური პიპოთეზის აეტორი, რომელიც XVIII საუკუნეში გამოქვეყნდა, იყო პარიზის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, გამოჩენილი ბუნებისმეტყველი მატერიალისტი, ორგანული სამყაროს განვითარების შესახებ მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი უორე ბიუფონი.<sup>18</sup> მისი პიპოთეზის მიხედვით პლანეტები წარმოიშენენ უძრავი მზისა და მოძრავი კოსმიური სხეულის — კომეტის შეგახების შედეგად. კომეტის მიერ მზის ზედაპირიდან ამოგლეჭილი მატერიის გუნდებისაგან, რომლებიც თანდათან გაციდენენ, ჩიმოყალიბდნენ პლანეტები. ამ პიპოთეზის დასადასტურებლად ბიუფონი თავის ლაბორატორიაში გავარვარებამდე ახუ-



რებდა ლითონის და ქვის ბურთებს და აკვირდებოდა მათგან გაცივების ხანგრძლივობას. ამ ცდაზე დაყრდნობით შემდგრად მოთვალი დედამიწის ასაკი 75 თას წლად. ეს იყო ის დროის რომელიც, ბიუფონის აზრით, საჭირო იყო დედამიწის გასმი ცივებლად. როგორც შემდეგ დავინახავთ, ეს გამოთვლა ძაღლზე მცდარია, მაგრამ ამ ჰიპოთეზის დიდი დადგებითი მხატვა ის იყო, რომ აშკარად ილაშქრებდა ბიბლიის წინააღმდეგ რის გამოც სამღვდელოებამ აიძულა მეცნიერი უარი ეთქმდავის შეხედულებებზე.

1755 წელს გერმანელი მეცნიერი და დიდი ფილოსოფოვანი ემანუელ კანტი<sup>19</sup> აცხადებდა: „მომეცით მატერია და მე გიჩერთ ნებთ, როგორ უნდა წარმოიშვას მისგან სამყარო“. მან სამაც ყაროს განვითარების ჰიპოთეზაც გამოაქვეყნა, რომლის მიზანი ხედვითაც მზის სისტემა კანონზომიერი ისტორიული განვითარების შედეგია და ამიტომ დროთა განმავლობაში უნდა დაიღუპოს. ერთ სისტემაში გაქრება სიცოცხლე, მაგრამ სხვა სისტემაში წარმოიშობა. ამგვარად, სამყაროს წარმოშობის და ნგრევის პროცესს მთლიანობაში არა აქვს დასასრული კანტი ცველაფრის საწყისად ღმერთს თვლიდა, რომელმაც შექმნა მატერია და შემდეგ კი ბედის ანაბარა მიატოვა.

კანტის ჰიპოთეზის მსგავსი იყო 1796 წელს გამოქვეყნებული ლაპლასის<sup>20</sup> კოსმოგონიური ჰიპოთეზი. მსგავსების გამომათ აერთიანებენ და კანტ-ლაპლასის ჰიპოთეზის სახელის მოიხსენიებენ. ორივე მეცნიერი დედამიწისა და სხვა პლანეტების წარმოშობა-განვითარების დაღვენის ცდაში ემყარენ ბოლა მზის სისტემის აგებულების კანონზომიერებებს. ლაპლასის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ იგი კანტის საწინააღმდეგოდ, უარყოფდა ლვთაებრივ ძალას. ამ ჰიპო-



თოვზების მიხედვით ჯერ არსებობდა უზარმაზარი გაიშვიაფარიცხული ბეჭელი ნისლეული, შემდგარი გავარვარებული გაზებისტექნიკურთხევა ბრუნავდა მქვრივი ბირთვის ირგვლივ. ბრუნვის გამო მან მიიღო მრგვალი და ბრტყელი ფორმა. ნისლეული განუშევეტლივ განიცდიდა შემჭიდროებას, თან ბრუნვის სიჩქარეც ასატულობდა. ბოლოს, როდესაც ცენტრიდანული ძალა გადააჭიარებდა მიზიდულობის ძალას, პერიფერიული ნაწილები მოცილდებოდა ნისლეულს გაზოვანი რგოლის სახით, რომელიც კვლავ ძევლი ცენტრის ირგვლივ განაგრძობდა ბრუნებას, მაგრამ უკვე დამოუკიდებლად ძირითადი მასისგან. ასე თი რგოლები ერთიმეორის მიყოლებით გამოიყოფოდნენ. ასახერთვებაროვნების გამო ჩნდებოდა ცალკეული შემჭიდროებანი და რგოლები წყდებოდა. შემჭიდროებული ადგილები იზიდავდნენ ახლოს მყოფ ნაწილაკებს და ზრდას განიცდიდნენ. დროთა განმავლობაში ისინი გადაიქცნენ სფეროებად, რომლებსაც დღეს ცოორილებს, ანუ პლანეტებს ვუწოდებთ. ცენტრში კი დარჩა მზე. პლანეტები ბრუნავენ როგორც თავისი ძევლი, საერთო ცენტრის — მზის ირგვლივ, აგრეთვე აქლადგაჩენილი საკუთარი ცენტრის ირგვლივაც.

ეს ჰიპოთეზა მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა, რადგან სუსტად განვითარებულ მეცნიერებას არ შეეძლო მისი კრიტიკა, თუმცა კი ნაკლი ბევრი გააჩნდა. ლაპლასის მიხედვით, ნისლეულს ბრუნვის გამო სცილდებოდა გაზოვანი რგოლები. ეს რომ ასე ყოფილიყო, ნისლეულს ძალიან სწრაფად უნდა ებრუნა. თუ მზე ნისლეულის ბირთვული ნაწილი აგან ჩამოყალიბდა, მაშასადამე მისი ბრუნვის სიჩქარეც უფრო დაიდი უნდა იყოს. თანამედროვე გამოთვლებმა უჩვენა, რომ ამ გზით ჩამოყალიბებული მზე ასჯერ და კიდევ უფრო სწრაფად უნდა ებრუნა.




ფად უნდა ბრუნავდეს, ვიდრე ბრუნაუს. კანტ-ლაპარავის მუზეუმი თეხა ვერ ხსნილა მზესა და პლანეტებს შორის უძვიშვილებულ რაოდენობის მომენტის განაწილებას.

კოსმოგონიურმა ჰიპოთეზებმა მრავლად იჩინა თავი XI საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდ ეკუთვნის ბელგიელი მეცნიერის ლიგონდესის შეტეორისტის მიერთება, რომლის მიხედვითაც ნისლეულში არსებუნარის გუნდში აღვილი უნდა ჰქონოდა მათ შეჯახება და შეერთებას. ამის გამო ნაწილაკები თავს იყრიდნენ ძალის ჩაბრტყელებულ მბრუნავ ბირთვში, საიდანაც დროთა ვა მავლობაში წარმოიშვა პლანეტები. მსგავსი იყო ამერიკელ მეცნიერების მულტონისა და ჩემბერლენის ჰიპოთეზები. რომელთა მიხედვით პლანეტები წარმოიშვა მზის ირგვლივ მბრუნავი მყარი ნაწილაკების შეერთებით. ეს ნაწილაკები განდა იმ ნივთიერების გაცივების შედეგად, რომელიც მზის მოისროლა ვეებერთელა პლოტუბერანცის სახით.

1916 წელს გავრცელდა ინგლისელი მეცნიერის ჯინსის ჰიპოთეზა. ჯინსის მიხედვით პლანეტების ჩამოყალიბება შედეგნაირად მიმდინარეობდა: მზეს დაუახლოვდა რომელიმე ვარსკვლავი, მზეზე გაცილებით დიდი, და ახლო მანძილზე არა მას. მზის ნახევარსფეროს ვარსკვლავისკენ მიქცეულ ნაწილი ვარსკვლავის მიზიდულობის ძალის გავლენით მოწოდის და მზეს და ვარსკვლავისკენ გაემართა, მაგრამ ვერ დაუწიოს და მზის ირგვლივ დაიწყო ბრუნვა (სურ. 3). სწორედ მზიური ნივთიერებისგან წარმოიშვა პლანეტები. ამავე დრო მზიდან ამოგლეჭილი რკალური მასის ცენტრში ნივთიერების რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე პერიფერიებში და სწორედ ამის გამო წარმოიშვა ცენტრულ ნაწილში დიდი ზომის პლ



ნეტები (იუპიტერი, სატურნი), პერიფერიებში კი უფრო მცველეობული ზომის (ვარეთ ნაწილში პლუტონი, ურანი და ნეპტუნი, შეგანაწილში კი მერკური, ენერა, ღედამიშა და მარსი).



სურ. 3 პლანეტების წარმოშობა  
ჭინსის პიპოთების მიხედვით  
ვარს ეკრა მბრუნავი გაზისა და მტვრის ბირთვისებური ღრუბე-

ჭინსის პიპოთებია დამყარებული იყო შემთხვევით მოვლენაზე. იგი უარყოფდა პლანეტების ჩამოყალიბების კანონზომიერებას. მეცნიერებათა განვითარებამ დამტკიცა მისი სისუსტე. საბჭოთა მეცნიერის პარიისკის გამოკვლევებმა საბოლოოდ დაადგინეს ჭინსის პიპოთების უსაფუძვლობა.

თანამედროვე კოსმოგონიური პიპოთების ძირითადი ბირთვი პლანეტების წარმოშობის კანონზომიერებაა. აღსანიშნავია გერმანელი ფიზიკოსის ვეიცჟეკერის და საბჭოთა აკადემიკოსის ო. შმიდტის პიპოთები, რომლებიც მეორე სამამულო ომის წლებში გამოქვეყნდა.

ვეიცჟეკერის პიპოთების შინედვით მზეს ოდესლაც



ლი, მისი მასა მზის მასის 1/10-ს შეადგენდა. პლანეტურიკონკორდა  
ყალიბდნენ ამ ღრუბელში გაფანტული ნივთიერების შექმნასთვის  
სა და თანდათან ზრდის შედეგად. ვერცხევირის ჰიპოთეზაშ  
ზედმეტი ხელოვნურობის გამო ვერ მიიღო აღიარება, მაგრამ  
მისმა ძირითადმა ბირთვმა—პროტოპლანეტურმა გაზია და  
მტვრის ღრუბელმა, რომელიც ჰიპოთეზის მიხედვით მზეს  
ეკრა და საიდანაც პლანეტები ჩამოყალიბდნენ, ბიძგი მისცა  
დასავლეთის მეცნიერებს შემდგომი მუშაობისათვის.

საბჭოთა მეცნიერის ოშმიდტის ჰიპოთეზის მიხედვით, პლა-  
ნეტები და მათ შორის დედამიწაც ჩამოყალიბდნენ კოსმიური  
მტვრისა და გაზის გიგანტური ნისლოვანებიდან, რომელიც  
მილიარდი წლების წინ ეკრა მზეს. ნისლოვანების შემადგენე-  
ლი ნაწილაკები მოძრაობდნენ მზის ირგვლივ, ერთმანეთს ეხ-  
ლებოდნენ და მათი მოძრაობის ენერგია სითბურში გადადი-  
ოდა. სიჩქარე თანდათან ეცემოდა. ეს პროცესი მრავალ მი-  
ლიონ წელს გაგრძელდა და თანდათან ჩამოყალიბდა პლა-  
ნეტები. ზრდის პროცესში დედამიწის წიაღში დაიწყო რადიო-  
აქტიური პროცესები, რასაც თან სდევდა სითბოს გამოყოფა.  
დედამიწამ გათბობა დაიწყო. ამას მოყვა გაზებისა და წყლის  
გამოყოფა, რომლებიც მიწის ზედაპირზე ამოვიდნენ და  
შექმნეს თანდათან ჰაერისა და წყლის გარსები. შმიდტის  
ჰიპოთეზის „ცივს“ უწოდებენ.

დეკარტის, ლაიბნიცის, კანტ-ლაპლასისა და სხვათა ჰიპო-  
თეზების მიხედვით დედამიწა და სხვა პლანეტებიც გავარ-  
ვარებული, გამდნარი მასისაგან წარმოიშვნენ და შემდგომ  
თანდათან განიცდიდნენ გაცივებას. ასევე ფიქრობს საბჭოთა  
აკადემიკოსი ვ. ფესენკოვიც. ასეთ ჰიპოთეზებს „ცეცს“



უწოდებენ, დღეს მსოფლიო ასტრონომებისა და გეოფიზიკოსთა  
სების უმრავლესობა პლანეტების „ურვა“ წარმოშობის უნიტერიტეტის  
მხრეა.

მიუხედავდ იმისა, რომ მეცნიერებანი დღეს განვითა-  
რების უმაღლეს საფეხურზე დგანან, კაპიტალისტური სამყა-  
როს მრავალი მეცნიერის კონცეფციას საფუძვლად იდეალი-  
სტური შეხედულებები უდევს. ზოგი მათგანი მაინც ეჭიდე-  
ბა ღმერთს და რელიგიას. ინგლისელი მეცნიერი სმარტი თა-  
ვის წიგნში „დედამიწის წარმოშობა“, რომელიც 1951 წელს  
გამოქვეყნდა, წერს: „ბევრი ჩვენთაგანისათვის, მეცნიერთა-  
თვის და არამეცნიერთათვის, რწმენა ლეთაებრივ შემქმნელში  
ისევე აუცილებელია ახლა, როგორც წინათ.“ საბჭოთა მე-  
ცნიერთა მუშაობას კი საფუძვლად უდევს დიალექტიკური  
მატერიალიზმი, რომელიც უარყოფს ღმერთს და რაღაც ზე-  
ბუნებრივ ძალებს.

ჩამოთვლილი და მოკლედ განხილული ჰიპოთეზებიდან  
ჯერ-ჯერობით მხოლოდ ო. შმიდტის ჰიპოთეზაა მიღებული,  
მაგრამ არც იგი შეიძლება კეშმარიტებად ჩაითვალოს. ჰიპო-  
თეზები ბიძგს აძლევენ მომავალ გამოკვლევებს, მეცნიერებს  
მუშაობაში ენმარებიან და ახლა, როცა ადამიანის გენია კოს-  
მოსში გაიჭრა, ალბათ მაღვე დადგინდება კეშმარიტება მზის  
სისტემისა და მასთან ერთად ჩვენი მშობლიური პლანეტის  
გაჩენისა და ჩამოყალიბების შესახებ.

## ცისცარი პლანიტის გარეგნობა

დედამიწას აქვთ შხოლოდ მიახ-  
ლოებითი ფორმა ბურთისა, იგი  
შეწიულია პოლუსითან და ბრუ-  
ნავს შზის გარშემო.

ჭორდანო ბრუნო

დასაწყისში ვახსენეთ, რომ ეგვიპტელებს დედამიწა მწიო-  
ლიარე მამაკაცად წარმოედგინათ, ინდოელებს კუსა და სპი-  
ლოებზე დაყრდნობილ სხეულად და სხვ. დღეს ყველამ ვი-  
ცით, რომ დედამიწა პოლუსებთან ჩაბრტყელებულ სფეროს  
წარმოადგენს. როცა დედამიწას ვახსენებთ, მაშინვე თვალწინ-  
გლობუსი წარმოვიდგება. ძველთაგანვე მეცნიერებს სხვადა-  
სხვა ფორმის სხეულად ესახებოდათ დედამიწა. მიღეთელი  
თალესი ფიქრობდა, რომ მას ბურთის ფორმა ჰქონდა, ანაქ-  
სიმანდრეს აზრით კი იგი ცილინდრისებური იყო. არისტოტე-  
ლეს დედამიწის სფერული ფორმის დასამტკიცებლად ის ფაქ-  
ტი მოყავდა, რომ ჩვენგან ზღვაში მიმავალი გემი თანდათან  
პორიზონტს მიღმა იმალება. დედამიწის სფერულ ფორმას  
ამტკიცებდა პითაგორაც. მაგრამ ყველაზე გაბედული აღმია-  
ჩნდა ადრე ნახსენები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამკა



ერათოსტენე, რომელმაც გადაწყვიტა დედამიწის სომების უკრანული  
მოთვლა. მან დედამიწის მერიდიანის გასაზომად გამოიჩინა თავად  
გენიალურად მარტივი ხერხი. გასაზომ ხელსაწყოს მოვალეო-  
ბას სწევდა ე. წ. სკაფე, რომელიც შედგება ცარიელი ნახევარ-  
სფეროსა და მის ცენტრში დამაგრებული სოლისაგან. ერა-  
თოსტენე არქიმედეს თანამედროვე იყო და კარგად იცნობდა  
ეპკლიდეს გეომეტრიას. იგი იქიდან გამოდიოდა, რომ დედა-  
მიწა ბურთისებურია და გადაწყვიტა სკაფეს საშუალებით გა-  
ეზომა მერიდიანის სიგრძე. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ  
ზაფხულის არდალეგის დღეს, 22 ივნისს, სიენაში (თანამედ-  
როვე ასუანი), სადაც თეითონ ცნოვრობდა, ზენიტში მყოფი  
მზე ულრჩესი ჭების ფსკერს ანათებდა, სკაფეს სოლი კი  
ჩრდილს არ იძლეოდა. ამავე დროს ალექსანდრიაში სოლს  
ჩრდილი ჰქონდა, რომლის მიხედვითაც დროს ანგარიშობ-  
დნენ. ეს ჩრდილი იმას ნიშნავდა, რომ ალექსანდრიაში მზე  
მცირე კუთხით იყო გადახრილი ზენიტიდან. ერათოსტენემ  
გაზომა ჩრდილის სიგრძე და მარტივი გეომეტრიული გამო-  
თვლებით დასკვნა, რომ სკაფეს სოლის სიგრძე ისე შეეფარ-  
დება სკაფეს გარშემოწერილობის სიგრძეს, როგორც მანძილი  
სიენასა და ალექსანდრიას შორის შეეფარდება დედამიწის გარ-  
შემოწერილობის (მერიდიანის) სიგრძეს. სოლის ჩრდილის სა-  
გრძე სკაფეზე ამ უკანასკნელის დიდი წრეხაზის 1/50 ნაწილს.  
შეადგენს, მაშასადამე, მონაკვეთა სიენასა და ალექსანდრიას,  
შორის დედამიწის დიდი წრეხაზის (მერიდიანის) 1/50 ნაწი-

ლის ტოლია. ერათოსტენემ გამრავლა მანძილი ამ ობენების/შორის 50-ზე და მიიღო მეტიდიანის სიგრძე — 27000 კმ-ით უფრო მეტია, სტადია,\* ანუ 39690 კმ. მეცნიერი სულ 310 კმ-ით უცდა. თუ მხედველობაში მივიღებთ რომ ერათოსტენეს მიერ გამოყენებული საყრდენი არ იყო ზუსტი (სიენა და ალექსანდრია ერთ სწორ ხაზზე არ მდებარეობდნ), გასაოცარია ასე მიახლოება ნამდვიალ ზომასთან. ერათოსტენემ დაწერა თანაულება „გეოგრაფია“, რომელშიც მოცემული იყო მეცნიერებათა ის-ტორიის მიმოხილვა პომეროსილან ალექსანდრე მაკედონებამდე, დედამიწის ფორმა და ზომები და დართული პერიდა პირველი გეოგრაფიული რუკა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ ასტრონომმა ჰიპარქმა<sup>22</sup> შემოიღო ცნებები „გეოგრაფიული გრძელი“ და „გეოგრაფიული განედი“.

სურ. 4. დრეკადი ფოლადის რგოლები ლერძის ირგვლივ სწრაფი ბრუნვის ფრთის იჭიმებიან ამ ლერძის მართობული მიმართულებით.

მან გამოიგონა ხელსაწყო ასტროლაბია, და წამოაყენა წინადაღება დედამიწის გარშემოწერილობას 360 გრადუსად დაყოფისა, როგორც ეს ოდესლაც პერიდათ ბაბილონელებს.

\* ჩველი ბერძნული სიგრძის სახომი ერთეული, 1 სტადია — 184 მეტრს.

შემდეგი დიდი მეცნიერი, რომელმაც განაგრძო მუზაობა გეოგრაფიული რუკის „შესაღებენად“, იყო ანტიკური სამყაროს უკანასკნელი გამოჩენილი ასტრონომი და გეოგრაფი კლავდიუს პტოლომეუსი. მან თავის წიგნში „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, მთელი თავი მიუძღვნა დედამიწის სფეროს სიბრტყეზე გამოსახვის ხერხს.

არაპი ასტრონომები აზუსტებდნენ ძველ ბერძენ მეცნიერთა მონაცემებს. მათ უფრო ზუსტად განსაზღვრეს დედამიწის ზომები.

XIII საუკუნეში ჩინეთიდან ევროპასა და არაბეთში გავრცელდა კომპასი, რომელიც ხელს უწყობდა მოგზაურებს ნაოსნობაში. მათ თან ჰქონდათ ბერების ან არაბების მიერ შედგენილი რუკები, რომლებიც ეელარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს და დაზუსტებას მოითხოვდნენ. ამ პერიოდისთვის სამხრეთ ევროპაში დაიწყო აღრეული ჩენესანსის პერიოდი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განვითარდნენ ქალაქები ვენეცია და გენუა, რომლებიც ვაჟრობას აწარმოებდნენ შორეულ ქვეყნებთან. XV საუკუნე დადი გეოგრაფიული აღმოჩენების საუკუნე იყო. ეს იყო ჩინელებისა და ევროპელების დაუცხრომელი მოგზაურობების საუკუნე. ჯენ ხეს, ქრისტეფორე კოლუმბის,<sup>23</sup> ჯონ კაბოტის<sup>24</sup> და სებასტიან კაბოტის,<sup>25</sup> დიასის<sup>26</sup> ვასკო და გამას,<sup>27</sup> ამერიკო ვესპუჩის<sup>28</sup> ვაბედულმა ექსპედიციებმა თანდათან დააზუსტეს დედამიწის ზოგი ნაწილის რუკები, მაგრამ დედამიწის სფეროსებურ ფორმაში მაინც ეჭვი ეპარებოდა მრავალს. მაგელანის ექსპედიცი-

ამ XVI საუკუნის დასაწყისში, უდიდესი გასატექნიკური მსხვერპლის საფასურად (ამ ექსპედიციაში მაგელანი მოქლეს ერთ-ერთი კუნძულის მცხოვრებლებთან შეტაკების დროს) ირგვლივ შემოუარა დედამიწას და საბოლოოდ გაფანტა მჰვები...

დღეს დედამიწის ფორმად მიღებულია ე.წ. ბრუნვითი ელიფსოიდი, ეს ის ფორმაა, რომელიც მიიღება ელიფსის ბრუნვით მცირე ლერძის გარშემო. ჭერ კიდევ XVII საუკუნეში ისაკ ნიუტონი მივიდა დასკვნამდე, რომ დედამიწას სფეროს მოყვანილობა აქვს, მხოლოდ პოლუსებთან იგი შებრტყელებულია, და ასეთ სხეულს მან სფეროიდი უწოდა, რომ მელიც შემდგომ ბრუნვითი ელიფსოიდის სახელითაა ცნობილი. გეოლოგები ამბობენ, რომ დედამიწას აქვს გეოიდის ფორმა, რომელსაც ქმნის წყლის დონის ზედაპირი, ანუ მატერიკების ქვეშ ოკეანეების ურთიერთშერწყმამდე გაგრძელებული წყნარ მდგომარეობაში მყოფი წყლის წარმოსახეითი ზედაპირი.

დედამიწის ელიფსოიდის ზომების განსასაზღვრავად საჭირო იყო საგრაფუსო გაზომვების ჩატარება, რაც შესანიშნავად შეასრულეს XVIII საუკუნის მიწურულში ფრანგმა მეცნიერებმა დელამბრმა<sup>29</sup> და მეშენმა.<sup>30</sup> ამ გაზომვათა საფუძველზე დელამბრმა, გამოთვალა ელიფსოიდის ზომები და შემდეგ — პარიზის მერიდიანის მეოთხედის  $1/10\,000$  ნაწილის, რაც საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა მეტრის უცვლელი სიგრძედ.

ამის შემდეგ მრავალი მეცნიერი ზომავდა დედამიწის საღიძეს. მათვან ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოგვყავს უფრო უმნიშვნელოვანესი.

დეტორი	გზო-მების წელი	დიდი ნახევრლერი	მცირე ნახევრლერი
	(წ)	(წ)	(წ)
დალაშვილი	1800	6.375.653	6.356.564
გალაძე	1819	6.376.896	6.355.833
ბესელი	1841	6.377.397	6.356.079
კლარკი	1866	6.378.206	6.356.583
კლარკი	1880	6.378.249	6.356.515
ჭავჭავაძი	1910	6.378.388	6.356.909
კრასნოსკი	1940	6.378.245	6.356.863

ექვსი მეცნიერის ამ სხვადასხვა მონაცემებიდან ერთმანეთს ყველაზე მეტად უახლოვდება პაიონირდის და კრასნოსკის გამოთვლები. პაიონირდის ელიფსოიდი დღეისათვის მიღებულია აშშ-ში, ესპანეთში, საფრანგეთში, ბელგარდი, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში და ევვიპტეში. საბჭოთა კავშირში 1946 წლამდე მიღებული იყო ბესელის ელიფსოიდი, ხოლო 1946 წელს იგი შეიცვალა კრასნოსკის<sup>31</sup> ელიფსოიდით, რომელიც საფუძველს წარმოადგენს გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სამუშაოთა ჩატარებისათვის.

ჩვენთვის დედამიწა უზარმაზარი სხეულია, თუმცა სამყაროს მასშტაბებით მას ქვიშის მარცვალს ადარებენ. მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი, რაც დედამიწის სიდიდეს თუ მისი ცალკეული შემაღენელი ნაწილების სიდიდეებს გვამცნობს:

დედამიწის მოცულობა —  $1083 \cdot 10^9 \text{ კმ}^3$

დედამიწის ზედაპირი მულიანად —  $510 \cdot 10^6 \text{ კმ}^2$

ოკეანის ფართობი —  $361 \cdot 10^6 \text{ კმ}^2$  ანუ 71 %

ზმელეთის ფართობი —  $149 \cdot 10^6 \text{ კმ}^2$  ანუ 29 %

პოლარული რადიუსის სიგრძე — 6356,8 კმ

ჩევატორული რადიუსის სიგრძე — 6378,3 კმ.

შეტიდიანის სიგრძე — 20004 კმ

ეკვატორის სიგრძე — 40·076 კმ

კონტინენტების საშუალო სიმაღლე — 850 მ

ოკეანეთი საშუალო სიღრმე — 3·800 მ

დედამიწის უმაღლესი წერტილი — ჭომილუნგმა

(ევერესტი) — 8.847 მ.

ოკეანეთი უღრმესი წერტილი — მარიანის

ღრმული — 11.034 მ.

როგორც არაერთხელ ვახსენეთ, დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ და მოძრაობს მზის გარშემო. რასა-კვირველია, არავითარი ისეთი ღერძი, როგორც გლობუსზეა, არ არსებობს, იგი მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახეოთია. ამ ღერძის ერთ სრულ შემობრუნებას დედამიწა ანდომებს 24 საათს. ბრუნვა მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ჩვენ გვეჩვენება, რომ მზე დილით ამოდის აღმოსავლეთით, მოძრაობს ცაზე და ჩაღის დასავლეთით. სინამდვილეში კი დედამიწა და მასთან ერთად ჩვენც ვმოძრაობთ დასავლეთიდან აღმოსავლეთით. მზის ირგვლივ ერთ შემოვლას ჩვენი პლანეტა ანდომებს 365, 1/4 დღე-ღამეს. წარმოუდგენელია ის მანძილი, რასაც ამ ხნის განმავლობაში ვაღის დედამიწა და მასთან ერთად ჩვენც. როგორც ცნობილია, დედამიწის სიჩქარე წამშა 29,8 კმ-ია. თურმე ერთი წლის განმავლობაში ივი გაღის 1 მილიარდამდე კალომეტრს. შემ რატომ ვერ ვგრძნობთ ასეთ უზარმაზარ სიჩქარეს? მატარებლის ან მანქანის მოძრაობას ადვილად ვამჩნევთ, რადგან ჩვენი თვალი აღიქვამს მათ გადაადგილებას საგზაო მოძების, შენობების, მთების, სხვა მრავალი თრაენტირის მი-



მართ. დედამიწის სიჩქარეს კი ვერ ვგრძნობთ, რადგან საუკუნეებით მომდინარეობის — გარსკვლავები და პლანეტები, ძალიან შორს არიან ჩვენგან. დედამიწის მოძრაობაზე მიუთითებს სხვა გარემოებებიც. XIX საუკუნეში კ. ბერმა 32 მოგზაურობის დროს შეამჩნია, რომ ჩრდილო ნახევარსფეროში მდინარეების მარჯვენა ნაპირები ცაცაბოა, ხოლო მარცხენა — დამრეცა, რაც მდინარეთა ხეობების ასიმეტრულობას იწევს. ეს იმით აიხსნება, რომ დედამიწის მოძრაობის შედეგად წყალი მარჯვენა მხარეს იხრება და ამ ნაპირს უფრო მეტად გამორეცხავს. სამხრეთ ნახევარსფეროში კი პირიქითაა. იგი ცნობილია ბერის კანონის სახელით. დედამიწის ბრუნვის დამამტკიცებელი საბუთი ბევრია. მაგალითად, 100 მეტრი სიმაღლის კოშკიდან ჩამოგდებული ქა ერთი სანტიმეტრით გადაიხრება აღმოსავლეთით, ზარბაზნიდან გასროლილი ჭურვის ტრაექტორია იხრება; დედამიწა პოლუსებთან ჩაბრტყელებულია. ივი რომ უძრავი ყოფილიყო, მას სფეროს ფორმა ექნებოდა. ყოველ სხეულს, ბრუნვის დროს, ცენტრიდანული ძალები აიძულებენ მას ფორმის შეცვლას. ასე დაემართა დედამიწასაც, ეკვატორითან გაიწია, პოლუსებთან კი ჩაბრტყელდა.

## ასაკი — ა მილიარდი წელი

ყველაფერს, რაც კი არსებობს ქვეყანაზე, აღამიანი იქნება თუ ცხოველი, ქვა თუ ციხე-სიმაგრე, მცენარე თუ ქანი, თაეისი ასაკი და ისტორია აქვს. ყოველთვის, როცა ლაპარაკია ასაკზე, მხედველობაში აქვთ გაჩენის, წარმოშობის, შექმნის ღრო. დედამიწაც ხომ გაჩენდა ოდესლაც. რა ასაკისაა ივა, როდის წარმოიშვა?

მრავალი კულტურა აღმოცენდა და გაქრა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ არა უკვალოდ. პირველყოფილი აღამიანების ცხოვრების პერიოდზე და მათი ყოფის წესებზე გვეღალადებიან მლვიმეებსა და ლია სადგომებში ნაპოვნი კაჯის იარაღები, მლვიმეთა კედლებზე აღმოჩენილი ნახატები, რომლებიც თავისი არსებობის ათეულ ათასობით წლებს ითვლიან. დამწერლობა 5 ათასი წლის წინათ წარმოიშვა, აღამიანი კი 800 ათას წელზე მეტია რაც არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ დამწერლობითი მასალა კაცობრიობის ცხოვრების უკანასკნელ, მცირე პერიოდს შეეხება. გასული საუკუნე აღსავსე იყო უდიდესი აღმოჩენებით. 1819 წელს პირველად გაშიფრეს ეგვიპტური იეროგლიფები; 1837 წელს კი ბაბილონის ლურსმული დამწერლობის გასაღებსაც მიაგნეს. პოვარდ კარტერს და ლორდ კარნარვონს ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ ბედმა გაულიმათ, მათ აღმოაჩინეს ტურანპამონის აკლ-

დამა მუმიითურთ და უიშვიათესი განძით. პენტის შლამის ფილმი „*კარის ლეგენდარული ტროადის აღმოჩენაში პომეროსის „ილიადა“ დაქმარა*“. მაგრამ ეს ყველაფერი ადამიანთა მაერ იყო შექმნილი და მრავალი საუკუნის შემდეგ ადამიანებმავე აღმოაჩინეს.

გაცილებით რთული იყო დედამიწის ასაკის დადგენა. ადამიანის გაჩენის დროიდან დღემდე გასული პერიოდი დაახლოებით მილიონ წელს ითვლის, მაგრამ ეს ერთის შეხედვით ხანგრძლივი დრო დედამიწის ასაკთან ისევე მოჩანს, როგორც ადამიანის სიცოცხლის ერთი წუთი მთელი კაცობრიობის არსებობის ისტორიასთან. როგორ უნდა გაეგოთ რა ხდებოდა დედამიწაზე ადამიანის გაჩენამდე? ეს საკითხი დიდხანს აღელევებდა მოწინავე ადამიანთა გონებას. დასაწყისში ვახსენეთ, რომ ირლანდიელი ეპისკოპოსი, ჯონ ლაიტფუტი, 1650 წელს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხელალებით აცხადებდა, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო 4004 წლის წინ, 23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე. ბიბლიის მტკიცებით სამყარო შეიქმნა 7500 წლის წინათ. ამიტომ იყო რომ რელიგიის შესვეურნი ულმობლად შეებრძოლნენ XVIII საუკუნის ფრანგ მეცნიერს, ეორჟ ბიუფონს, რომელმაც თავის წიგნში „ბუნების ეპოქები“ განაცხადა, რომ დედამიწა 75 ათასი წლის წინათ შეიქმნა. რელიგიის საწინააღმდეგოდ გამოდიოდა, რომ დედამიწის ასაკი თვეში აღმატებოდა სამყაროს ასაკი. ბიუფონის შრომიში დედამიწის ისტორია დაყოფილი იყო შეიდ პერიოდად და საერთოდ, მაუხედავად თავისი მცდარობისა, წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო გეოლოგიური მეცნიერების გარიყრაჟზე.

ორას წელზე მეტი წლის წინათ ასტრონომმა გალეომ გამოიქვა აზრი, რომ დედამიწის ასაკის განსაზღვრა შეიძლება იყეანის წყლის მარილიანობის შესწავლის საფუძველზე. თუ

ეცოდინებოდათ მარილების რა რაოდენობა ჩააქვს ზღვის გერმანული ტერიტორიების რეკონკისტის დროისათვეში. მარილების უმრავესობა მარილების მიერ გამოიყენებოდა, რომ მარილები და მარილების მიერ გამოიყენებოდა; იმდროინდელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ რა ზღვები და რეკონკისტის დროის მიერ გამოიყენებოდა 14—15 საუკუნეების შემდეგ გამოიინგარიშეს დედამიწის უკალი მდინარის მიერ ზღვებსა და რეკონკისტის შემდეგ გამოიყენებოდა ჩატარის მიერ ზღვების რაოდენობა — 158 ათასი ტონა. პირველი რიცხვების მიერ გაყოფით მიიღეს 89 მილიონი ტელი — რეკონკისტის ასაკი. ამის შემდეგ მეცნიერები მრავალჯერ აზუსტებდნენ აშ მონაცემებს, შეაქონდათ სხვადასხვა შესწორებანი და გამოიშვანეს დასკვნა, რომ რეკონკისტის ასაკი 100—350 მილიონი ტელი მიერ გამოიყენებოდა. ამაზე ზუსტად განსაზღვრავენ გვერდი მოხერხდა და აი რატომ: რეკონკისტის შემდეგ გამოიყენებოდა შეიძლებოდა პეტროვის განსხილ მარილთა ჩვენთვის უცნობი რაოდენობა; გარდა ამისა, რეკონკისტის შემდეგ გამოიყენებოდა შატება არა მარტო მდინარეების ხარჯზე ხდებოდა და ხდებოდა არამედ შეიძლება ვულკანების ამოფრქვევების ხარჯზეც გამასთან მდინარეთა მიერ რეკონკისტის მარილების ჩატარის სიჩქარე უძველეს ეპოქებში შეიძლებოდა სულ სხვაგვარი ყოფილიყო, ვიღრე ამჟამადაა. ამრიგად, გალეის მიერ შემოთავაზებული დედამიწის ასაკის განსაზღვრის „მარილიანი“ მეთოდის საშუალებით შეუძლებელი იყო კეშმარიტების დაზუნა, მაგრამ მან დიდი როლი ითამაშა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. უკვე ნათელი გახდა, რომ დედამიწის ასაკი ათასეული წლებით კი არა, მრავალი მილიონი წლით განისაზღვრებოდა.

სხვა მეცნიერებმა გადაწყვიტეს დედამიწის ასაკის გამო-



თველა ზღვის ფსკერზე დალექილი ქანების სისქის მიხედვით.  
1 შეტრი სისქის მქონე ასეთი ქანის დასალექად საჭიროა 3-4 წერვა გათასი წელი. რამდენი დავირდებოდა დედამიშის სქელი და-  
გარსის წარმოშობას? გამოთვლებმა უჩვენა—  
100—100 მილიონი წელი. არც ეს მეოთიდი იყო ზუსტი,  
რადგან ზღვის ფსკერზე დალექვა თანაბარი სიჩქარით არ  
უმიმდინარეობს.

III XVIII საუკუნის მიწურულისათვის გეოლოგია უკვე და-  
უმოსიდებელ მეცნიერებად იყო ჩამოყალიბებული, მაგრავ  
უკერ კიდევ არ არსებობდა მისი ისეთი მთავარი ნაწილები,  
რომელიც სტრატიგიურია — მეცნიერება ქანების შრეთა  
აშეფარდებითი ასაკის შესახებ და პალეონტოლოგია, რომელიც  
აშეისწავლის გადაშენებულ ცხოველთა განამარტებულ ნაშ-  
რობებს. და აი, ლარიბმა თვითნასწავლმა მიწისმზომელმა, ინ-  
და გლისელმა უალიამ სმიტმა არხის გათხრის დროს მისი კედლე-  
უების ამგები ქანების შრეებში შეამჩნია თრგანული ნაშრები  
და დაინტერესებულმა გამოარკვია, რომ მახლობლად მდებარე  
ის შრეებშაც ისეთივე ნაშრები იყო, ხოლო მოშორებით კი  
ა, განსხვავებული. სმიტმა მართებულად დაასკვნა, რომ ქანებში<sup>1</sup>  
ცვანამარხებული თრგანული ნაშრების შესწავლით შეიძლებო-  
ს და ზღვის ფსკერზე შრეთა დალექვის თანმიმდევრობის გან-  
ხრა საძღვრა. ამ გარემოებას თავის დროზე ჯერ კიდევ ლეონარ-  
დო და ვინჩიმ მიაქცია ყურადღება. ივი წერდა: „ჩვენ გვა-  
რა სწავლიან, რომ ეს ნიერები გაჩნდა მთებში, ვარსკვლავთა  
და ზეგავლენით, მაგრამ გვეკითხებით, სადაა ის ვარსკვლავი,  
ეს რომლებიც ახლა ქმნიან სხვადასხვა ასაკისა და სახეობის  
ეს ნიერებს?.. როგორ შეუძლია ასეთ მიზეზს ახსნა, თუ რატომ  
გვხდება ზოვ ადგილას გაქვავებული ფოთლები, ზღვის

წყალმცენარეები და ზღვის კიბორჩხალები?.. მე- ავრეთვე, სად გაქრა ზღვის წყალი, თუ კი ოდესის რეგულარული იყი მთელს დედამიწას და მთებს? განამარხებული ტერიტორიას ასეთი წარღვნების შედეგი კი არა, იმ ცხოველთა წინაპარი არიან, რომლებიც დღეს ზღვაში ცხოვრობენ“.

სწორი იყო აღორძინების ხანის მრავალმხრივი მეცნიერის და დიდი მხატვრის შეხედულება.

გეოლოგების მიერ დადგენილია, რომ შორეულ ეპოქებში ზღვა ხშირად ფარავდა ხმელეთის ზღვისპირა ნაწილებს. აპროცესს ტრანსგრესიას უწოდებენ. შეიძლება ბევრისთვის უცნაური და დაუჭერებელიც კი იყოს ის გარემოება, რომ ცარცულ პერიოდში თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორია ზღვით იყო დაფარული, რომლის ფსკერზეც ილექებოდის მძლავი კირქვება, დღეს რომ მთებად აზიდულა იმერეთში რაჭაში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვაგან. ზოგჯერ ზღვისპირას განლაგებული ქალაქები წყალქვეშ აღმოჩნდებიან ხოლმე. ასე დაემართა დიოსკურიას ახლანდელი სოხუმი მიდამოებში. ბერძენთა ცნობილი კოლონია შავი ზღვა ფსკერზე აღმოჩნდა. ესეც ტრანსგრესიის შედეგი იყო რამდენიმე წლის წინ არქეოლოგებმა აქვალანგისტების დახმარებით შეძლეს ზღვის ფსკერზე დიოსკურიის ქანდაკებები და საყოფაცხოვრებო საგნების ამოლება.

ხმელეთისა და ზღვის ურთიერთშეცვლის ფაქტები ჩვენ წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეშიც იყო ცნობილი. ფაქტებს მხატვრულ ლიტერატურაშიც კი მოიხსენიებდნენ რომაელ პოეტ ოვიდიუსს თავის „მეტამორფოზის“ მე-1 წიგნში უწერია:

შულად  
გიგანტის  
გიგანტის

„მინახავს:—ის, რაც იყო ხმელეთი, ვით გარდაიქცა წყლად ისიც მინახავს, ოკეანიდან ვით აღმოცენდა ხმელეთის ნაბეჭდის შორს ნაპირიდან ჩამარხულან ზღვის ნიჟარები, და მთისა წვერზე უძველესი რომ ნახეს ღუზა, ველად გაჭრილმა წყლის ნაკადმა, თავაწყვეტით ხეობაში გადაშვებულმა ეს გააკეთა. ეხედავ, უცრად წყალდიდობისგან, მთა გარდაიქცა ზღვად“.

მაგრამ დავუბრუნდეთ უილიამ სმიტს, რომელმაც დაკვირვებების საფუძველზე შეადგინა ინგლისის დანალექი ქანების სკალა და პარველი გეოლოგიური რუკა ჭრილებით.

ე. კოუვემზ და ა. ბრონიარმაზ<sup>34</sup> კიდევ უფრო განვითარეს სტრატიგრაფია და პალეონტოლოგია. პირველი ითვლება ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის მამაშთავრად, ხოლო უხერხემლოთა პალეონტოლოგიის საწყისები ე. ლამარკიდან მოღის.

ამ მეცნიერებათა განვითარებაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს ცალკე ბროშურის საგანს შეადგენს. ჩვენ კი შევეცდებით მოქლედ განვიხილოთ ის მეთოდები, რომლებიც ემსახურებიან დედამიწის მთლიანად, და მისი ქერქის ცალკეული უბნების ასაკის განსაზღვრას. დედამიწის დაბადების მოწმობის ამოკითხვა შეუძლიათ გეოლოგებს, პალეონტოლოგებს, გეოქიმიკოსებს, რომელთაც საამისოდ რამდენიმე მეთოდი გააჩინიათ.

წარმოიდგინეთ, რომ უყურებთ მღინარეს, რომელსაც ხეობა გაუჭრია და ჩაუღრმავებია. ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ ჯერ ის ქანები წარმოიშვა, ხეობას რომ აგებენ, შემდეგ კი მდინარემ გადარეცხა ნაწილი და შშვენიერი ხეობა გააჩინა.



მდინარე უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ეს ქანები! მდინარე  
ამღვრეულია, თანდათან ლექავს ატივნარებულ შიგაუკეთება  
რომელიც შორიდან აქვს მოტანილი. ეს დალექილი მასალა  
დროთა განმავლობაში ქანად გადაიქცევა. რასაკვირველია, იგი  
უფრო ახალგაზრდა იქნება, ვიდრე ის ქანები, რომლებზეც  
წელან გვქონდა საუბარი. ვთქვათ საღმე ხეობაში ენახეთ  
მვიშაქვა, რომელსაც ზევით თიხა ავრიცელებს. ძალაუნებურად  
დავასკვნით, რომ თიხა უფრო გვიან დაილექა, ვიდრე ქვიშაქვა  
და მაშასაღამე, იგი უფრო ახალგაზრდაა. ეს იქნება შედარები-  
თი მეთოდი. დასკვნა უფრო მტკიცე იქნება, თუ გამოგიყენები  
პალეონტოლოგიას, რომელიც შეისწავლის განამარხებულ  
გადაშენებულ მცენარეთა და ცხოველთა ნაშთებს. სხვადასხვა  
დროს სხვადასხვა მცენარეები და ცხოველები ცხოვრობდნენ.  
მათი ნაშთების შესწავლით შეიძლება გავიგოთ თუ რა ასაკისა  
ის ქანი, რომელიც ამ ნაშთებს შეიცავს. ეს არის პალეონტო-  
ლოგიური მეთოდი. ზღვის ცხოველთა განამარხებული ნაშთე-  
ბი, რომლებსაც დღევანდელ ხმელეთზე პოულობენ, უტყუარი  
საბუთია იმისა, რომ ოდესალაც ამ აღვილზე ზღვა იყო. მეც-  
ნიერებმა დაადგინეს, რომ ცოცხალი ორგანიზმები მთელი  
თავისი არსებობის მანძილზე ნელა, მაგრამ განუწყვეტლი  
იცვლებოდნენ. თანდათან ცხოველთა თუ მცენარეთა ერთი  
სახეობა გადაშენდებოდა და შეიცვლებოდა სხვა სახეობებით.  
დგებოდა დრო, როდესაც ცხოველური და მცენარეული  
სამყაროს სურათი მთლიანად შეიცვლებოდა. სიცოცხლის  
ფორმების ასეთი ცვლა ხშირი იყო, რის შესწავლამაც მეც-  
ნიერებს საფუძველი მისცა დაეყოთ ორგანული სამყაროს  
ისტორია დროის რამდენიმე დიდ მონაკვეთად, რომლებსაც  
ერას უწოდებენ. ერები დაყვეს პერიოდებად, რომელთაგან



თითოეული ათეულობით და ასეულობით მიღიონ წელს ქვეყნის უკავშირის ცავს. ყოველი პერიოდისათვის დამახასიათებელია სიცოგნიუსტიკურისა და საკუთარი, განსაკუთრებული ფორმები. ყოველავე ამას, ერთად აღებულს, გეოგრაფიულობის სკალა ეწოდება (სურ. 5.).



სურ. 5. გეოგრაფიულობის სკალა

დედამიწის ქერქის ამგები ქანების ასაკის დადგენის ყველაზე ზუსტი მეოთოდია რაღიაქტიური მეცნიერების უკანასკნენი ხანს ექვებდნენ ისეთ ბუნებრივ პროცესს, რომელიც განსაზღვრული საჩქარით მიმდინარეობს დროის დიდ მონაკვეთებში—ასეული მილიონი წლების მანძილზე. ასეთი პროცესია ურანის თავისთავადი, ე.წ. სპონტანური დაშლა. რაკეტების და საპლანეტოამორისო მოგზაურობების საუკუნის ეს მძიმე მეტალი დიდი ხნის განმავლობაში უმოქმედოდ იდო მეცნიერთა ლაბორატორიების თაროებზე და მას მხოლოდ იაფი ყვითელი და რუხი სალებავების დასამზადებლად იყენებდნენ. და აა, ერთხელ ფრანგმა მეცნიერმა ანრი ბეკერელმა <sup>25</sup> შეამჩნია უცნაური რამ: „შავ ქალალში განვეული ფოტოქალალი, რომელიც ურანის ნატეხის ქვეშ იდო, გაშავდა. ასე შემთხვევით აღმოჩნდა, რომ ურანი ასხივებს თვალით უხილავ სხივებს, რასაც მისი რაღიაქტიური დაშლა იწვევს. როგორ შიძინარეობს ეს პროცესი? ურანის ატომებს აქვთ რთული აგებულება და ახასიათებთ თავისთავადი აფეთქება. აფეთქებისას წამში 20—25 ათასი კილომეტრი სიჩქარით გამოისროლება სხვა ელემენტის—ჰელიუმის ბირთვები და ელექტრობის უმცირესი ნაწილაკები—ელექტრონები. გარდა ამისა, აღვილი აქვს უხილავ გამოსხივებას, რენტგენის სხივების მსგავსად; ამ უხილავ სხივებს გამა-სხავები დაარქვეს. ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს და 100 მილიონი წლის შემდეგ ერთი კგ ურანიდან რჩება 985 გრამი. წარმოიშობა 13 გრამი ტყვია და 2 გრამი ჰელიუმი. ლაბორატორიებში იკვლევენ ურანის შემცველ ქანებს და იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობითაა მათში ურანული ტყვია, იგებენ რა ღრმა დასჭირდებოდა ამ ტყვიის წარმოშობას. ურანი ამ შემთხვევაში



აბსოლუტური ასაკის განმსაზღვრელი მექანიზმია. ასეთ ნიშმებად გამოიყენება სხვა ელემენტებიც, მაგალითად დაშლის პერიოდი 1 მილიარდ 310 მილიონი წლის ტოლია. ამ პროცესის საბოლოო პროდუქტია გაზი არგონი, რომელიც დიდხანს რჩება ზოგიერთი ქანის ფორმებში.

ტოკიოს უნივერსიტეტის დოქტორმა კ. კიგოსიმ ამ ოთხი წლის წინ დამუშავა ვულკანური ქანების ასაკის განმსაზღვრის ახალი მეთოდი—თორიუმის რადიაქტიური იზოტოპის—იონიუმის საშუალებით, რომელიც წარმოიშობა ურან—234-ის დაშლის შედეგად. იონიუმის დაშლის პერიოდი 80 ათასი წელია. მას ადრეც იყენებდნენ დანალექი ქანებისა და კარბონატების ასაკის დასადგენად, მაგრამ ვულკანური ქანების გეოქიმიურ კვლევებში იგი პირველადაა გამოყენებული. კიგოსის თანახმად, ქანში არსებული ბუნებრივი წარმოშობის იონიუმის რაოდენობა პროპორციული უნდა იყოს თორიუმ—232-ის რაოდენობისა, ხოლო ურანის დაშლის შედეგად მიღებული იონიუმის რაოდენობა პროპორციული უნდა იყოს ურან—234-ის ან თორიუმ—234-ისა. ამ პროპორციის გამოყენების კიგოსი ითვლის იონიუმის რაოდენობას, რომელიც მიღებულია მისი დაშლისას ქანის წარმოშობის დროიდან, და რადგან დაშლის სიჩქარე ცნობილია, ადვილია თვით ქანის ასაკის გამოთვლაც. ამის დასადასტურებლად მას მოყავს ასეთი მაგალითი: ასაკი პერიოდის ნატეხისა, რომელიც შეიცავდა განამარტებული ხის ნატეხს, ნახშირბადის მეთოდით 35700 წელს ითვლიდა, ხოლო ამავე ნიმუშის ასაკი იონიუმის გამოყენებით 37600 წელი გამოვიდა. გეოლოგიური ასაკის დადგენაში ამ



სხვაობას, 1900 წელს, ფაქტიურად მნიშვნელობა არა კი მცირდება  
ამიტომ კი გონისის მეთოდი გამოსაყენებელია. პილატონია

რაღაც წელი ნახშირბაძის მეთოდი ვახსენეთ, ორიოდე  
სიტყვით ისიც ავხსნათ, რაში მდგომარეობს იგი. ნახშირბაძის,  
ანუ C - 14-ის მეთოდს გამოიყენებენ ცალკეული ქანის ან  
განამარხებული პალეონტოლოგიური ნაშთების ასაკის დასად-  
გენად. ამ მეთოდის საშუალებით, რომელიც ნობელის პრემიის  
ლაურეატს პროფ. უ. ლიბბის (კალიფორნიის უნივერსიტეტი)  
ეკუთვნის, შესაძლებელია ქანის ასაკის განსაზღვრა 400 მილი-  
ონი წლის სიზუსტით, რაც გეოლოგიური ქრონოლოგიისათვის  
საკმაოდ დიდ სიზუსტეს წარმოადგენს. ამ მეთოდის არსი შემ-  
დეგში მდგომარეობს: მცენარეები ატმოსფეროდან შთანთქა-  
ვენ ჩვეულებრივ და რაღიაქტიურ ნახშირბაძს. მცენარის  
სიცოცხლის მანძილზე მათი შეფარდებითი რაოდენობა მცენა-  
რეში და ატმოსფეროში ერთნაირია; მცენარის დაღუპვის შემ-  
დეგ კი იწყება მასში შემავალი რაღიაქტიური ნახშირბაძის  
დაშლა და 5560 წლის შემდეგ მისი რაოდენობა ნახევრდება.  
დარჩენილი რაოდენობის მიხედვით იგებენ ასაკს. ამ გზით  
დაადგინეს ტაიმირზე ნაპოენი მამონტის გვამის ასაკი 11 ათას  
წლად.

1967 წელს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის თა-  
ნამშრომლებმა ვ. ბუხამ და ე. ნეუსტუპნიმ გამოაქვეყნეს  
წერილი, რომლითაც სერიოზული შესწორებები შეაქვთ ნახ-  
შირბაძის (C - 14) მეთოდში. ზევით აღწერილი უ. ლიბბის  
მეთოდი ემყარებოდა C - 14-ის წარმოშობას მუდმივი სიჩქა-  
რით; ჩეხმა მეცნიერებმა კი დაამტკიცეს, რომ იგი დამოკიდე-  
ბულია დედამიწის მაგნიტური ველის ინტენსივობაზე; ატმოს-  
ფეროს ზედა ფენებში C - 14 წარმოშობა კოსმოსური სხივე-



ბით ატმოსფეროს ბომბარდირების შედეგად, დედამიწის უსაკუთრება  
ნიტური ველის ინტენსიურობის შესუსტებასთან ერთად კონ-  
მოსური სხივების ნაკადი ძლიერდება, ამასთან ერთად ძლიერ-  
დება C - 14-ის წარმოშობის ტემპიც. უკანასკნელ წლებში  
გამომწვარ არქეოლოგიურ ობიექტებში შთენილი მაგნეტიზ-  
მის გაზომვის გზით შესაძლებელი გახდა პალეომაგნიტურ  
ველის ინტენსიურობის განსაზღვრა. ეს მეთოდი გამოიყენეს  
სხვადასხვა ქვეყანაში და მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ უკა-  
ნასკნელი 8500 წლის მანძილზე მაგნიტური ველის ინტენსიუ-  
რობა იცვლებოდა მისი დღევანდელი დონის 0,5-1,5-მდე. ამას  
ეყრდნობიან ვ. ბუხა და ე. ნეუსტუპნი და გვთავაზობენ 6  
ათასი წლის ხანდაზმულობის ობიექტების ასაკის განსაზღვრი-  
სას შევიტანოთ 750 წლის შესწორება, რაც შეესაბამება მაგნი-  
ტური ველის ცვლას. მაგრამ ამ მეთოდს და სიზუსტეს თუ დი-  
დი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიისათვის, მას არ შეიძლება  
ჟურადღება მიექცეს გეოლოგიური ასაკის დადგენისას, სადაც  
საქმე გვაქვს რამდენიმე ათეულ მილიონ წელთან და ამრიგად  
უ. ლიბბის მეთოდი ჯერ-ჯერობით ნიჩშეუცვლელად განაგრ-  
ძობს არსებობას, როგორც ცალკეული ქანების ასაკის გან-  
საზღვრის ყველაზე ზუსტი მეთოდი.

სხვადასხვა მეთოდების საშუალებით დედამიწის ასაკად,  
მისი ვარსკვლავური პერიოდიდან დღეს-დღეობით მიჩნეულია  
საშუალოდ 5—6 მილიარდი წელი.

## მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაპინ

მიწისძერების დაკვირვება გვეუბნება, რომ ქერქსქვეშა ფენას სიხისტე ფოლადისებური იქნება, ხოლო გოლოგიური მოვლენების მიხედვით უნდა დავასკვნაო, რომ მისი სიმტკიცე ბლანტი სითხისის პგავს.

ა. ჯანელიძე

პირველი წარმოდგენები დედამიწის აგებულების შესახებ 2000 წლის წინ გაერცელდა ძეველ საბერძნეთში. ჩასაკვირველია, ეს წარმოდგენები ძალზე პრიმიტიული იყო და სინამდვილისგან შორს იღვა. საბერძნეთის კირქვით აგებულ მთებში ძალიან ბევრი მღვიმეა მიწისქვეშა მდინარეებით. ბერძენში მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ დედამიწა, მისი სილრმეები, ასეთი სიცარიელეებისგან შედგება, რომლებშიც წყალი, ჰაერი და ცეცხლი მოძრაობს. მიუხედვად იმისა, რომ დღეს ეს შეხედულება უახრობად გვეჩვენება, მან თითქმის 2 ათას წელს გასძლო.

XVIII საუკუნეში ფრანგმა მეცნიერმა ბუგერმა<sup>36</sup> პირველმა გაზომა მთის მიზიდულობის ძალა და დასკვნა, რომ დედამიწის წიალი გაცილებით უფრო მკვრივი უნდა იყოს, ვიდრე მთის ამგები ნივთიერება. შემდგომში დადგინდეს, რომ დედამიწის დიდი სილრმეების ამგები ნივთიერება 5-ჯერ მდიმეა

წყალშე და ისიც დადგინდა, რომ იქ არც სიცარიელეებია, აუსაფართან  
წყალი და არც ცეცხლი.

მეცნიერები იკვლევდნენ ვულკანების მიერ ამოფტრქვეულ  
გასას და ბუნებრივია, გამოიტანეს დასკვნები, რომ დედამიწის  
სილრმეებში არის მაღალი ტემპერატურის მქონე ნივთიერება-  
ამიტომ იყო, რომ ლაპლასის ჰიპოთეზამ, რომლის მიხედვითაც  
დედამიწა ზედაპირიდან თანდათან ცივდება, ხოლო შიგნერში  
კი პირველად სითბოს ინარჩუნებს, მაგრად მოიკიდა ფეხი და  
ჩვენს საუკუნემდე არსებობდა, როგორც ჭეშმარიტება. ცნო-  
ბილი საბჭოთა მეცნიერი ვ. ვერნადსკი<sup>37</sup> წერდა, რომ: „... იმ  
სითბოს ძირითადი წყარო, რომელიც სსნის დედამიწაზე მიმ-  
დინარე ყველა გეოლოგიურ პროცესს, არის ატომური რადი-  
აქტიური სითბო და არა თანდათან გაცივებული პლანეტის  
ნარჩენი სითბო, როგორც ფიქრობდნენ სულ ცოტა ხნის წინა-  
თაც კი ... წინათ ამ სითბოს სსნიდნენ კოსმოგონიური ჰიპო-  
თეზებით ოდესალაც გამლლვარი პლანეტის შესახებ, რასაც  
სამწუხაროდ აქამდე ასწავლიან ჩვენს სკოლებში“.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი უკვე კოსმოსში გაიჭრა  
და უშუალოდ იწყებს მოვარისა და მახლობელი პლანეტების  
კვლევას, ბევრი რამ თვით დედამიწის წიაღის აგებულების  
შესახებ და დიდ სილრმეებში მიმდინარე პროცესების ირგვ-  
ლივ ჯერ კიდევ ბუნდოვანია. მართალია, გეოლოგიურმა მეც-  
ნიერებებმა მრავალი რამ გამოარკვიეს და დააზუსტეს დედა-  
მიწის აგებულებაში, მაგრამ ბოლომდე არ არის შეცნობილი  
ნივთიერებების შედგენილობა და მდგომარეობა ჩვენი პლანე-  
ტის დიდ სილრმეებში, მის ცენტრში; ზუსტად არ არის დადგე-  
ნილი ამ ნივთიერების მოძრაობის და ცვლილებების წამმარ-  
თვი კანონები. ყოველივე ამის დადგენა კი მეცნიერებათა



უმნიშვნელოვანესი საქმეა, რადგან სწორედ ამასთან უკავშირობის შირებული სასარგებლო ნამარხების წარმომადის და ძალი სივრცობრივი გავრცელების კანონზომიერებათა დადგენა, მა-წისქვეშა სითბოს გამოყენების შესაძლებლობანი, აგრეთვე ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ კაცობრიობის მრისხანე მტრე-ბის—მიწისძერებისა და უცლკანების მოქმედებას.

ინტერესმოკლებული არ იქნება ორიოდე სიტყვით თვალი გადავავლოთ დღევანდელ გეოლოგიურ მეცნიერებათა მონა-ცემებს დედამიწის აგებულებისა და მის სიღრმეებში მიმღ-ნარე პროცესების შესახებ.

მზის სისტემის პლანეტების წარმომაბაზე ზევით ვილაპა-რაკეთ. გავიხსენოთ, რომ შმიდტის პიპოთეზის მიხედვით პლა-ნეტები და მაშასადამე დედამიწაც, წარმოიშვა იმ კოსმოსური მტრისგან, რომელიც მზეს ეკრა ირგვლივ 5—6 მილიარდი წლის წინათ. მტვერი იყო ცივი, მისი ტემპერატურა მინუს 200°-ით განისაზღვრებოდა. მტვერი თანდათან სქელდებოდა, შემდეგ იგი დაშრევდა ეს შრეები გადაიქცონ დიდი სიჩქარით მბრუნავ ბურთებად და განლაგდნენ მზის ირგვლივ ორბიტებ-ზე. მზისგან მესამე ბურთია ჩეენი დედამიწა. თავდაპირველად იგი ძალიან ცივი იყო, მაგრამ რადიოაქტიურმა პროცესებმა, ურანის და რადიომის დაშლამ, თანდათან გაასურა დედამიწის ამგები ქანები და ბურთმა გადნობა დაიწყო. შემდეგ ზედაპირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაცივდა და წაოშოიშვ-კერქი. დღისათვის დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს დე-დამიწის ქერქის აგებულების ძირითადი სახე.

დედამიწის ქერქის ზედა ნაწილების შედეგენილობის დად-გენა შეიძლება იმ სინჯების ანალიზის საფუძველზე, რომლებ-საც იღებენ ღრმა ჭაბურღლილებიდან. ამჟამად ნავთობის ჭაბურ-




ლილების უდიდესი სიღრმე 8 კმ-ს აღემატება, მაგრამ როგორიცაა იგებენ, რისგან შედგება ქერქი უფრო ლრმად? ეს თურმე სიჭების გარეშეც შეიძლება დადგინდეს. მაგალითად, დარტყმებით გამოწვეული ბგერითი ტალღების შესწავლით მიწისძვრები და აფეთქებანი იწვევენ ასეთი ტალღების გავრცელებას მიწის ქერქში. არსებობს გასწვრივი და განივი ტალღები, რომლებიც სხვადასხვა სიჩქარით ვრცელდებიან დედამიწის ქერქის ამგებ ქანებში. გამოირკვა, რომ მათი გავრცელების სიჩქარე სიღრმესთან ერთად იცვლება. გასწვრივი ტალღები ვრცელდებიან 6,3 კმ/წმ სიჩქარით, შემდეგ კი, რაღაც გარკვეული სიღრმიდან მათი სიჩქარე ხდება 7,8 კმ/წმ. ასევე ემართება განივ ტალღებსაც: მათი სიჩქარე 3,7 კმ/წმ-დან 4,3 კმ/წმ ხდება. დასკვნის გამოტანა ადვილია—სიჩქარის შეცვლის ადგილზე არის სხვადასხვა სიმკვრივისა და შეიძლება სხვადასხვა ნივთიერი შედგენილობის მქონე შრეების საზღვარი. ასეთ გამოკვლევებს სეისმურს უწოდებენ.

არსებობს დედამიწის ქერქის ორი მთავარი ტიპი, მკუეთრად განსხვავებული ერთშანოւობისგან იგებულებით და განვითარების ისტორიით. ესაა კონტინენტური და ოკეანური ტიპები. პირველისათვის დამახასიათებელია დიდი სისქე—30—40 კმ ხმელეთის დაბლობ ნაწილებში, ზოგ მთიან მხარეში კი იგი 60—70 კმ-მდე იზრდება. ოკეანეთა ქვეშ ქერქის სიმძლავე სულ რაღაც 12—20 კმ-ია (წყლის სისქის ჩათვლით).

ქერქის ზედა ნაწილს აგებს ე.წ. გრანიტის შრე, რომელიც ოკეანეთა ფსკერზე ხშირ შემთხვევაში არც კი არის წარმოდგენილი. ქვედა ნაწილს კი შეადგენს ბაზალტის შრე. სეისმური გამოკვლევებით დადგინდა, რომ დედამიწის ბირთვი შედ-



გება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ქერქისგან, განვითარებული ბირთვისაგან. (სურ.6).



სურ. 6. ღედამიწის ძირითადი ნაწილები

ღედამიწის ქერქი, გეოლოგების ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ქანების მთელ იმ კომპლექსს, რომელიც განლაგებულია მოხორციელის ზედაპირის ზემოთ. მასის აგებულება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ქერქქვეშ მოთავსებული გარსისა, რადგან ღედამიწის ქერქი წარმოადგენს სასაზღვრო ნაწილს მყარი ღედამიწის, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს შორის. 1909 წელს იუგოსლავიელმა მეცნიერმა ა. მოხორციელიმა შეამჩნია, რომ მიწისძვრის დროს სეისმოგრაფები (მიწისძვრებზე და სეისმოგრაფებზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი)




აღხიშნავდნენ გრძივი ტალღების სიჩქარის ცელილებებს უწყვეტობა  
დამიწის რაღაც სიღრმიდან. მეცნიერმა დაადგინა, რომ ამ სა-  
ზღვარზე ღრმად ტალღების სიჩქარე არის 8 კმ/წმ და იგი დე-  
დამიწის ზედაპირიდან განლაგებულია 30 კილომეტრის სიღ-  
რმეზე. ასე აღმოჩნდა დედამიწის ზედა შრე, რომელიც მნიშ-  
ველოვნად განსხვავდება მის ქვეშ მყოფი გარსისაგან. სწორედ  
ეს ზედა ნაწილია დედამიწის ქერქი. საზღვარს კი, რომელიც  
ქერქს გარსისგან გამოყოფს, ეწოდება „მოხოროვიჩის საზ-  
ვარი“, ანუ, სეისმოლოგთა საერთაშორისო უარკონზე—მოხო.  
სეისმოლოგმა კონრადმა ანალოგიური დაკვირვებების საფუძ-  
ველზე დედამიწის ზედაპირისა და მოხოროვიჩის საზღვარს  
შორის დაადგინა კიდევ ერთი შორისეული საზღვარი, რომე-  
ლიც ცნობილია კონრადის საზღვრის სახელით. შემდგომი მეც-  
ნიერების აზრით ამ საზღვრის ზემოთ მოთავსებული იყო გრა-  
ნიტის შრე ზედ განლაგებული დანალექი ქანების წყებებით,  
ხოლო კონრადის საზღვრიდან მოხომდე—ბაზალტის შრე. უფ-  
რო ქვევით კი, დედამიწის ქერქქვეშ ე.წ. მანტია, რომელიც  
აგებულია ჰიპერბაზიტული ქანებით—ეკლოგიტებით, დუნი-  
ტებით, პერიდოტიტებით. უახლესი გამოკვლევებით უარ-  
ყოფილია კონრადის საზღვრის არსებობა. დადგინდა, რომ დე-  
დამიწის ქერქის შრეთა რაოდენობა 2-დან 4-მდე მერყეობს,  
იმისდამიხედვით, მთიან თუ ბაქნურ რაიონებთან გვაქვს საქმე.  
კონტინენტებზე, ბაქნების რაიონებში, დანალექი ქანების  
შრის ქვეშ უფრო ხშირად სამი ფენაა. ზედა ფენა, სეისმური  
ტალღების სიჩქარის მიხედვით, გრანიტის ტიპის ქანებითაა  
აგებული. უფრო ღრმა ფენები კი—გრანიტზე მკვრივი და მა-  
გარი ქანებით. მთიან მხარეებში დანალექი ქანების გარდა  
ქერქს აგებს ორი ფენა ქვედა ფენა ქმნის ე.წ. „მთების ფეს-



ვებს". ოკეანესთან მიახლოებისას ქერქის სისქე კუნიშენებულია და ზედა ფენა ისოლება. ასეთ ადგილებში თხელი ზღვი ქვეშ პირდაპირ „ბაზალტური“ ქანების მჯვრივი ფენაა წარმოდგენილი. ოკეანეთა ფსკერზე დანალექი ქანების სქელ ფენა მთლიანად ქრება, ხოლო „ბაზალტური“ ფენა თხელდება 5—10 კმ სისქემდე. მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ დედამიწის ქერქი რთული აგებულებით ხასიათდება. მისი ქვედა ნაწილების ნივთიერი შედგენილობის დადგენა მომავლის საქმეა. საბჭოთა პროექტით გათვალისწინებულია ზელრმა ბურღვა კარელიაში, კასპიის ზღვაში, კურილის კუნძულებზე, ასევე, აშშ-ს განსაზღვრული ქვეჩიათაროს ზელრმა ბურღვები ოკეანის ფსკერზე. ამ პროექტის ბის განხორციელება საბოლოოდ დააზუსტებს დედამიწის ქერქის, ცისფერი პლანეტის ამ ურთულესი და ჩვენთვის უახლოესი ნაწილის აგებულებას.

ჯერ-ჯერობით მიღებულია დედამიწის ქერქის შემადგენელი ნაწილების შემდეგი სახელწოდებები, შემოთავაზებული ავსტრიელი გეოლოგის ედუარდ ზიუსის მიერ: ზედა ნაწილს ეწოდება „სიალი“—(ძირითადი შემადგენელი ელემენტების, სილიციუმისა და ალუმინის საწყისი მარცვლების მიხედვით), ხოლო ქვედას—„სიმა“—(სილიციუმი და მაგნიუმი). სიალის სისქე—12—25 კილომეტრია. (სურ. 7).

ლითოსფეროში წნევა და ტემპერატურა იცვლება სილრმესთან ერთად. ამის მიხედვით ლითოსფეროს ყოფენ 3 ნაწილად კატამორფიზმის, ანამორფიზმის და მაგმის. კატამორფიზმი ზონისთვის დამახასიათებელია დაბალი ტემპერატურა და წნევა. ამ ზედა ნაწილის ქიმიურ რეაქციებში მთავარ როლს ასრულებენ წყალი, უანგბალი, ნახშირმჟავა და ნახშირბადი. აქაური



სურ. 7. დედამიწის ქერქში შემავალი ელემენტები

ქიმიურ რეაქციებს თან სდევს მოცულობის მატება; კრისტალური ქანები იშლებიან, ქიმიურად იცვლებიან და საბოლოო ანგარიშში თიხებად იქცევიან. გარდა ქიმიური დაშლისა, ამ ზონაში მიმდინარეობს ქანების მექანიკური დაშლის პროცესიც. რას შედეგადაც ვიღებთ ქვიშებს, ლოდნარს, ხვინჭებს და სხვ. ანამორფიზმის ზონისათვის დამახასიათებელია უფრო მა-




ღალი ტემპერატურა და წნევა, ქიმიური რეაქციების შემთხვევა ქით, მოცულობის შემცირებით მიმდინარეობს. ღამის განვითარებული მაგმური კერიდან ამოდიან. ამ ზონაში თიხებ კვლავ კრისტალურ ქანებად იქცევიან. ორივე ამ ზონის ათვე საერთო ისაა, რომ ნივთიერება მათში მყარ მდგომარეობაშია.

მაგმის ზონა ხასიათდება ძალიან მაღალი ტემპერატურა და წნევით. ეს უკვე „სიმას“ ზედა ფენაა. იგი დაახლოების 30—60 კმ-ის სიღრმეზე ბაზალტისგან შედგება. ბაზალტი ქვეშ უფრო „მყარი“ მაგმის სამყაროა ე.წ. პერიდოტიტი. საჭიროა გეოლოგი ს. კუზნეცოვი წერს, რომ ამ ნაწილში გაბრტონებული კოლონსალური წნევა მაგმის ნივთიერებას ავავებ პლასტიკურ, ზოგან კა მყარ მდგომარეობაში. კარგი შედარები მოჰყავდა ინგლისელ გეოლოგ გრეგორის, როცა ამბობდა, რო დედამიწა ნიკელის ფოლადის ბირთვია, დაფარული წილოვანი ქერქითო. (სურ. 8).

დედამიწის ქერქები არის გამდნარი ქვიერი მასა ანუ „სილიკატური ხსნარი“; იგი გადახურებულია დნობის ტემპერატურაზე მეტად და თუ აქ რაიმე მიზეზის გამო წნევა შემცირდა, მაგმა მაშინვე თხევად მდგომარეობაში გადადის, მისი მოცულობა მატულობს და უზარმაზარი ძალით იქრება დედამიწის ქერქის ზედა ნაწილებში. დედამიწის სიღრმეებში გამდნარი მასების არსებობის უტყუარი საბუთია ვულკანების მოქმედება, როცა გვეარვარებული და გადახურებული წყლის მრთქლთან და გაზებთან ერთად ამოინთხევა გამდნარი ქვიერი მასა — ლავა.

2900 კმ სიღრმეზე უცნაურ მოვლენას აქვს ადგილი: გასწი



სურ. 8. დედამიწის აკებულების ზოგადი სქემა.

რივი ტალღების სიჩქარე 13,6-დან 8,1 კმ/წმ-მდე ეცემა. ამ საზღვრის გავლის შემდეგ კი სიჩქარე კვლავ მატულობს და დედამიწის გულში 11,3 კმ/წმ ხდება. განივი ტალღები კი მოხორციელის საზღვრის ქვემოთ ვეღარ ვრცელდებიან. დედამიწის გულში სიმკვრივე 10—11-ის ტოლია; თითქოს უნდა გაზრდილიყო ტალღების სიჩქარეუ? მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასე არ არის. ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუჭრელია. ფიქრობენ, რომ სიმკვრივის მქვეთრი ზრდა გამოწვეული უნდა იყოს ან ბირთვის შედგენილობის შეცვ-



ლით, შუალედი ვარსის შედგენილობასთან შედარებულად  
ბირთვის შემადგენელი ნივთიერების თვისებებისაფუძვლა  
რომელიც უზარმაზარი წნევის და ტემპერატურის პირობებ-  
ში იმყოფება. დღეს ამბობენ, რომ ნივთიერება დედაბიწვე-  
სილრმეში პოტენციურად თხევალ მდგომარეობაშია:

## დამზარი და დაფირცლილი ჩაღარები

სან-პეტერბურგის ქალაქია, რომელის მოსახლეობა მთლიანად დაიღუპა; ბევრი მათგანი კი შეიძლებოდა ამჟამადაც ცოცხალი ყოფილიყო.

პარუნ ტაზიევი  
აქტერები ცეცხლში».

ძელი რომაელები ხედავდნენ, რომ სიცილიის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულები ცეცხლს აფრქვევდნენ. ერთი ამ კუნძულთაგანი მათ ღმერთი-მჭედლის, ვულკანის, სამყოფელოდ მიაწნდათ და ამ კუნძულსაც ვულკანო უწოდეს. სწორედ ეს სახელწოდება გამოიყენეს მეცნიერებმა მიწისქვეშე-თიღან თხევადი, ცეცხლოვანი მასის—ლავის ამონთხევასთან დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობის აღსანიშნავად, რაც ვულკანიზმის სახელითაა ცნობილი, ხოლო ცეცხლის მფრქვეველ მთებს ვულკანები უწოდეს.

ზოგჯერ მაგმა, ეს ცომისებური მასა უშუალოდ დედამიწის ზედაპირზე ამონთხევა ლავის სახით და ქმნის ვულკანებს. ლავის გაცივების, აგრეთვე სხვა ამოსროლილი ვულკანური მასალის დალექვის შედეგად ჩნდება ამონთხეული ანუ ეფუზური ქანები; სხვა შემთხვევაში დედამიწის ქერქში სიღრმიდან შემოჭრილი მაგმა ზედაპირზე ამოუსვლელად ქერქშივე ცივდება და ქმნის სიღრმეულ ანუ ინტრუზულ ქან. თ. კინაძე



ნებს. ამ მეორე მოვლენას პლუტონურს უწოდებენ კარიბური განვიხილავთ ძირითადად ვულკანურ მოვლენებს უშა-ვულკანებს, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს უფრო საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

ვიდრე ვულკანების წარმომშობ მიზეზებზე ვილაპარაკებდეთ, ინტერესს მოქლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ კაცობრიობის ისტორიისათვის ცნობილ გრანდიოზულ ამოფრქვევებს, ვულკანების „კოლექციას“.

ვულკანები სხვადასხვა ქვეყანაში გვხვდება და მათი ამოფრქვევებიც სხვადასხვა ღროს ხდებოდა. ზოგი მათგანი ახლაც მოქმედებს, ზოგმა კი შეწყვიტა მოქმედება ან, როგორც იტყვიან, ჩაქრა. მაგრამ უფრო საინტერესო მაშინაა ყველაფერი, როდესაც საკუთარი თვალით იხილავ; ამიტომ ჩვენ მოგვიხდება ცოტაოდენი ლირიკული წიაღსვლა, ექსკურსი ღროსა და სივრცეში . . .

### ვ ვ რ თ ა პ

... ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წლის სექტემბერი. ინტერესით ვათვალიერებთ იტალიის უძველეს ქალაქებს: პომპეას, ჰერკულანუმს, სტაბიას, ოპლონთისს. სვეტებიანი ქუჩები, დიდებული არქიტექტურა, ამფიტეატრები, მარმარილოს შესანიშნავი ძეგლები . . . ეს ქალაქები მთის ძირშია გაშენებული. სახლები ფერდობებზეც შეფენილა. დუღს სიცოცხლე, ჰყვავის რომაული კულტურა. მთის ფერდობებზე მოსარლეობას ბაღები გაუშენებია. მთის წვერზე კი მოზრდილი, ბრტყელძირიანი ჯამისებური ჩაღრმავებაა, სადაც მშვენიერი

ტბის პირას რომაელთა ლეგიონი წვრთნის ატარებს. პეტრების დღის საუკუნის წინ ჩენების წელთაღრიცხვამდე, 74 წელს, სწორედ აქ გამავრდნენ სპარტაკის მეთაურობით აჯანყებული მონები, აქ ატარებდნენ დროის მეტ ნაწილს იულიუს კეისარი, პომპეუსი, ნერონი; აქვე ცხოვრობდნენ ციცერონი და ვერგილიუსი...

უცირად ყველას აკრთობს ძლიერი გუგუნი. შემკრთალი ადამიანების მზერა ვეზუვის მთისკენაა მიმართული. გუგუნი ძლიერდება და მთის წვერიდან ვეება ღრუბელი ამოდის. ივი თანდათან იზრდება და იტალიური ფიჭვის—პინეას ფორმას იღებს; მერე შავდება. მალე სანაპიროზე და ზღვაში ფერფლმა და ქვებმა დაიწყო ცვენა. დალამებისას გუგუნმა იქლო. დალის შვიდი საათი იქნებოდა, როცა ზღვამ უკან დაიხია, როგორც ძლიერი მიწისძვრის დროს იცის ხოლმე. შავ ღრუბელს ელვასავით კვეთდა ცეცხლოვანი რკალები. ღრუბელი თანდათან ქვევით დაეშვა, ფერდობები ჩამოიარა და...

მალე მზემ ამოანათა და ჩეენს წინაშე საზარელი სანახაობა გადაიშალა. ირგვლივ მხოლოდ თეთრი ფერფლი ჩანდა. აღარც ამწვანებული ბალები, აღარც ქუჩები და სასლები. ყველაფერი წვიმაში არეულმა ცხელი ფერფლის ტალანტმა დაფარა. აი რას წერდა ამ ამბის მომსწრე ვინმე ფრანჩესკო დელ ნერო მეგობრისადმი მიწერილ წერილში:

„არ ვიცი, იყავით თუ არა თქვენ პოცოლოში; მშვიდის ექვს გასროლაზე, ქალაქის მიღმა, ვაკე იწყებოდა. მას ნახევარი მიღი სიგანე ჰქონდა; მთის მარჯვნივ იგი ყურეს ერტყმოდა. ახლა ეს ვაკე და მთის ნაწილიც ცეცხლოვან ყელადაა ქცეული. 28 სექტემბერს, შუადღის 12 საათისათვის, ზღვა პოცოლოსთან 600 იდაყვის მანძილზე სმელეთად იქცა ისე,

რომ მცხოვრებლებს შეეძლოთ ურმებით გამოეტკნდა-მშემძლი-  
ფსკერზე დარჩენილი თვეზი. 29-ში ამ აღვილზე მიწამ დაი-  
წია, მერე გაბერვა დაიწყო და საღამოსთვის პატარა მთა  
წარმოიშვა. გამოჩნდა ცეცხლი და საშინელი ხმაურით გაჩნ-  
და ცეცხლოვანი ყელი, რომელიც ბევრ მიწას და ქვებს ის-  
როდა. ისინი მთის ირგვლივ ეცემოდნენ და ერთნახევარი მი-  
ლის მანძილზე ზღვა დაფარეს. ირგვლივ ყველაფერი ფერ-  
ფლმა დაფარა. ოქვენ ერ იცნობთ ზღვას; მას ახლა გადახ-  
ნული მინდვრის იერი აქვს იმიტომ, რომ ზედ ნახევარი ხე-  
ლისგულის სისქის ქერქია ქვებისა, რომლებსაც აქ რაპილის  
უწოდებენ. იგი ზედაპირზე ცურავს.“ ამ მთას, რომელსაც  
ფრანგებსკო დელ ნერო აღწერს, მონტე-ნოვოს (ახალ მთას)  
უწოდებენ. ვეზუვის ამოფრქვევებისას დაიღუპა რომაელი ბუ-  
ნების მეტყველი პლინიუს უფროსი. იგი ფლოტის სარდალიც  
იყო და კატასტროფისას ხალხის დასახმარებლად გამურა.

ისტორიამ იმდენად მიივიწყა რომაელთა ეს უძველესი ქა-  
ლაქები, რომ იღარც კი იცოდნენ, საღ მდებარეობდნენ ისინი. მხოლოდ 1713 წელს, შემთხვევით, ჭის თხრისას წააწყდნენ ჰერ-  
კულესისა და კლეოპატრას ქანდაკებებს. დაიწყეს გათხრები  
და არქეოლოგებს თვალწინ წარმოუდგათ პომპეა, თავისი ქუ-  
ჩებით და სახლებით. პომპეის ლილი ნაწილი ამჟამად გაშენ-  
დილია. ქალაქის შენობებში კარგადაა დაცული კულტურის ძეგ-  
ლები, მოხატული კედლები, საყოფაცხოვრებო საგნები და  
სხვ.

ამ გრანდიოზული ამოფრქვევის შემდეგ ვეზუვი კიდევ დიდ-  
ხანს მძვინვარებდა, ცოტა ხნით „მიიძინებდა“ და მალე კვლავ  
იწყებდა მოქმედებას. ზოგჯერ ფერფლს და ქვებს თან მოსდევ-  
და ლავის ნაკადი, რომელიც მთის ფერდობზე გაღმოედინება-



და. XIV საუკუნეში ვეზუემა 300 წლით „მიძინა“ შემდეგ კაბლაგ ამოქმედდა და მას შემდეგ ამ ვულკანის „ძილის“ ჰერციგითა დი 5—8 წელს არ აღემატება. 1944 წლის მარტში ამოფრქვევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ლავამ დაანტრია ქალაქი სან-სე-ბასტიანი და რამდენიმე მახლობელი სოფელი. ვეზუემა 1964 წლის 11 მაისსაც „დაპირა გამოლვიდება“. მიწა შეინძრა; მოსახლეობამ ივრინო სამი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი, რამაც ეკლესიების ზარების ჩაეკვირა გამოლვიდება. მალე მთა აბოლდა კიდევ, მაგრამ იქაურთა საბედნიეროდ ვეზუემა ამაზე შეწყვიტა თავისი მოქმედება და კაბლავ მიძინა“.

იტალია ვულკანების ქვეყანაა. ვეზუეის გარდა აქ არის სტრომბოლი, ვულკანი, ეტნა და სხვ., რომლებიც ამჟამადაც აქტიურად მოქმედებენ.

კუნძული-ველკანი სტრომბოლი, რომლის ფართობი 13 კვ-მ-მდეა, ზღვის დონიდან 926 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული. მისი ქვედა ნაწილი, 2274 მეტრი სიმაღლისა, ზღვაშია ჩამაღული. ამ ვულკანის აფეთქება ყოველ 10—15 წუთში ხდება. იგი საუკუნეების მანძილზე არ წყვეტს მოქმედებას, თუმცა ამოფრქვევები არც ისე ძლიერია. მის კრატერში მუდმივად დუღს ლავა. ვულკანის თავზე ყოველთვისაა ორთქლის სვეტი, რომელსაც ლავა ქვევიდან სხვადასხვა სიძლიერით ანათებს. განსაკუთრებით ლამაზი სანახავია ღამით. ეს განათებული სვეტი 100 კილომეტრის მანძილზე ჩანს და მეზღვაურები მას ხმელთაშუაზღვის ბუნებრივ შექმნას უწოდებენ.

ვულკანო ლიბარის კუნძულების ჭავჭავი ყველაზე სამხრეთით მდებარეობს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ძველ რომაელთა წარმოდგენით ამ მთაში ცხოვრობდა და ღმერთებისათვის აბჯარს ჰელდა ღმერთი-მცედელი ვულკანი. ამ მთის სიმაღლე



500 მეტრია. ჩვენი წელთაღრიცხვის 330 წლიდან დღემდგაცნული ბილია ამ ვულკანის 15 ამოფრქვევა. უკანასკნელი დუშავე 1880 წლებში ამოიფრქვა, მას შემდეგ კი იგი მხოლოდ გაზიარდა გამოყოფს, ზოგჯერ კი უფრო მეტ აქტიურობასაც იჩინს.

ეგროპის ყველაზე დიდი მოქმედი ვულკანია ეტნა, რომელიც სიცილიის კუნძულზე მდებარეობს. მისი ამოფრქვევები ნახსენებია ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის დოკუმენტებში. უფრო დეტალურად მისი ამოფრქვევები ცნობილია მე-16 საუკუნიდან და ამ უკანასკნელი 350 წლის მანძილზე იგი ყოველ 6 წელიწადში იფრქვევა.

ეტნის სიმაღლე ზღვის დონიდან 3200 მეტრია, ხოლო ფუძის დიამეტრი—65 კილომეტრი. ამ ვულკანს თავისებური ამოფრქვევები ახასიათებს. აქ ლავა ამოდის არა მთავარი კრატერიდან, არამედ მრავალრიცხვანი გვერდითი, ანუ პარაზიტული კრატერებიდან, რომელთა რიცხვი ორასამდეა. ეს აიხსნება ეტნის დიდი სიმაღლით. ვულკანური ენერგია ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის კრატერის პირამდე ლავის ამოსაყვანად და ამოსანთხვევად. ლავის სვეტი აწვება ვულკანის შიდა კედლებს, დაწოლის შედეგად ჩნდება ნაპრალები, საიდანაც ლავა ინთხვევა.

ეტნის უძლიერესი ამოფრქვევა მოხდა 1669 წლის მარტ-აპრილში, რომელიც მთელი ორი თვე გაგრძელდა. ასევე მოხდა 1950 წლის ნოემბერში, როცა 37 გვერდითი კრატერიდან საშინელი ხმაურით ინთხეოდა ლავა. ლავის ნაკადის სიგანე ნახევარი კილომეტრი იყო, ხოლო სისქე—10 მეტრი. იგი საათში 40 მეტრი სიჩქარით მიეღინებოდა და გზაზე წვავდა და ანალგურებდა სოფლებსა და ბალვენახებს.

მოქმედ ვულკანთა სამყაროს წარმოადგენს სამხრეთ-აღმო-სავლეთი აზია: ინდონეზიის არქიპელაგი, ფილიპინები, იაპონია, აქედან, ყველაზე მდიდარია ვულკანებით ინდონეზიის არქიპელაგი. ეს რამდენიმე კუნძულზე განლაგებულია დედამიწის ცე-ცხლისმფრქვეველი მთების თითქმის ნახევარი. ინდონეზიის არ-ქიპელაგის 500-ზე მეტი ვულკანიდან 177 მოქმედია, რომელ-თაგან ყველაზე ცნობილია ვულკანი კრაკათაუ.

კრაკათაუ მდებარეობს ზონდის სრუტეში, კუნძულ სუმბავა-ზე, რომელიც განლაგებულია იავისა და სუმატრას კუნძუ-ლებს შორის. 1684 წლიდან კრაკათაუ სიცოცხლის არავითარ ნიშანწყალს არ იძლეოდა. მხოლოდ 1883 წელს გამოცოცხლ-და იყო. ისმოდა მიწისქვეშა გუგუნი, კრატერიდან კვამლისა და ფერფლის ბოლქვები ამოდიოდა. 20 მაისს დაიწყო ამოფრქვევა, რომელიც 27 აგვისტომდე გაგრძელდა. დასაწყისშივე კვამლის სვეტი 11 კილომეტრ სიმაღლეს აღწევდა, ხოლო გრავინგის ხმა 30 კილომეტრზე ისმოდა. ამ კუნძულზე ფაქტიურად სამი ვულ-კანი იყო: ჩაკატა, დანანი და პერბუათანი; უკანასკნელმა ორმა არსებობა აგვისტოს დამდეგისთვის შეწყვიტა, ისინი ზღვაში შთაინთქა. 26 აგვისტოს დაიწყო გრანდიოზული ამოფრქვევა. ფერფლისა და კვამლის სვეტი უკვე 33 კილომეტრ სიმაღლემდე ივარდა და იქიდან ეცემოდა სუმატრას და იავას. თვით კუნძუ-ლი კრაკათაუ დაიფარა ფერფლის სქელი ფენით.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე გაისმა საზარელი აფეთქე-ბის ხმა და კუნძულის ნახევარზე მეტი ჰაერში ავარდა. ზღვაში დიდი ლრმული გაჩნდა და წარმოიშვა 38 მეტრა სიმაღლის ვეება ტალღა. იგი შეიჭრა მეზობელ კუნძულებზე, ზღვაში გაიტაცა



ადამიანები და ლანგრია შენობები. მთლიანად განატესტოდა კულტურული ძეგლების 275 სოფელი და დაიღუპა 36 ათასი კაცი. ჭავალების აგრეთვე ქალაქები შერაყი, ანუერი, ბენთმი, მოისპო ტყევები, იქ, სადაც დანანის კრატერი იყო, გაჩნდა 300 მეტრი სიღრმის მქონე ღრმული. ჰაერში ამ აფეთქებისას ასროლილ იქნა 18კმ ვულკანური პროდუქტი, რომელმაც 500 კმ რადიუსით დაფარა ტერიტორია, ხოლო აფეთქების ხმა გაიგონეს 4000 კმ მანძილზე. აფეთქების ტალღამ დედამიწას შვიდჯერ შემოუარა და იგი მსოფლიოს ყველა მეტეორისადგურმა აღნიშნა. აფეთქების შედეგად წარმოშობილმა ზღვის ტალღამ 570კმ/საათში გადაკვეთა წყნარი ოკეანე, მიაღწია ამერიკის დასავლეთ ნაპირებამდე და ატლანტის ოკეანეშიც გაიჭრა. საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალმა ტალღამ გადაკვეთა ინდოეთის და ატლანტის ოკეანეები. იგი საფრანგეთის სანაპიროებთანაც კი გამოჩნდა და მა-აწყდა ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს. ატმოსფეროში ასროლილი ფერფლით გამოწვეული ლამაზი აისი ორ წელს გაგრძელდა.

კრაკათუს აფეთქება უძლიერესია ვულკანიზმის ისტორიაში და თითქოს სიცხიზლისკენ მოუწოდებს ადამიანებს, რომლებსაც ეს მთა „მდუმარე მთაღ“\* მიაჩნდათ.

1815 წელს მალაის არქიპელაგის კუნძულ სუმბავაზე აფეთქდა ვულკანი ტამბორო. აფეთქების გრძელება 900 კმ-ით და შორებულ სუმატრაზე გაიგონეს. ვულკანის რაიონში 50 კმ რადიუსით დღე ლამედ იქცა. ზღვა ერთი მეტრი სისქის პეტზის ქერქით დაიფარა და გემები დიდი გაჭირვებით მოძრაობდნენ. ამ აფეთქების შედეგად 12 ათასი კაცი დაიღუპა. თუ

\* კრაკათაუ აღგილობრივი მოსახლეობის ენაზე „მდუმარე მთას“ ნაშენებს.



ვულკანი დაინგრა და გაჩნდა კრატერი, რომლის დიამეტრი 11 კმ იყო. აფეთქების შედეგად ამოსროლილი მასალის რაოდენობა 150 კუბურ კილომეტრს აღწევდა.

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტიდან სულ 24 კილომეტრითაა დაშორებული ვულკანი მერაპი. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3000 მეტრია. მთის ძირში ნაყოფიერი ველებია და აქ მცხოვრებ ტაბილინის მოსახლეობის ყოველთვის ხიფათი ელის. 1930 წლის 30 დეკემბერის ამოფრქვევის შედეგად აქ დაიღუპა 13 ათასი კაცი. უფრო საზარელი ამბავი დატრიალდა 1954 წელს, 18 იანვარს. ნახევარსათიანი მიწისქვეშა გუგუნის შემდეგ დაიწყო ფერფლის „წვიმა“, რომელმაც დღე დააბნელა. ამას მოყვა ტალახის დელგმა და ლავის ნავალი. გავარვარებული ღრუბელი საათში 135 კმ სიჩქარით დაეშვა და გზაზე ყველაფერი გაანადგურა.

ინდონეზიის არქიპელაგის კუნძულ ბალიზე ყველაზე მაღალი მთა ჰენუნგ-აჰუნგი ვულკანია. ესაა ადგილობრივ მცხოვრებთა წმინდა ადგილი და ამ მთას „კაცობრიობის მამას“ უწოდებენ. მისი სიმაღლე მერაპის მსგავსად 3000 მეტრია. ამ ვულკანის კატასტროფიული ამოფრქვევა მოხდა 1963 წლის მარტში, რომელსაც საკდესის კორესპონდენტი ბ. ივანოვი ასე აღწერდა იმავე წლის 27 მაისს გაზიერ „იზესტიაში“: „ეროვნულ უბედურებად იქცა ვულკან აჰუნგის ამასწინანდელი ამოფრქვევა, რომლის მსგავსი ინდონეზიის არ უნახავს კრაკათაუს 1883 წლის აფეთქების შემდეგ. უკანასკნელი მონაცემებით ვულკანმა უკვე დამარხა ათას ხუთასზე მეტი კაცი. ვრავალის ბედი უცნობია, ათასობით დაჭრილია, ბალის მცხოვრებლებით აიგსო ბალისა და იავის საავადმყოფოები და სამედიცინო პუნქტები.

ნაყოფიერი მიწის 50 ათას ჰექტარზე მეტი ქოქოსის პლან-



ტაციებით, ხილის ბალებით და ბრინჯის ველებით ფაფის ცაჭალი ფენისა და ფერფლის ქვეშა ჩამარხული ვულკანის მამდებარებელი ბარე რაიონებში. დანგრეულია მრავალი კაშხალი, ხიდი, გზა ვულკანის მახლობლად მდებარე ქალაქი კარანგასემი ლავის ნაკადებით პრაქტიკულად მოწყვეტილია გარე სამყაროს... მთელი სოფლები წალეკილია ფერფლთან შერეული წყლის ნაკადებით, საერთო ზარალს ანგარიშობენ 1,5 მილიარდ რუპიად".

ინდონეზიაში, დაწყებული 1800 წლიდან, ყოველ სამ წელი წადში ხდება ვულკანების ერთი კატასტროფული ამოფრქვევა, რომელთა შედეგად აქ დაღუპულია 135 ათასი კაცი, დანგრეულია ასეულობით სოფელი და განადგურებულია ნაყოფიერ მიწის ათასობით ჰექტარი.

ინდონეზიის ვულკანური რაიონის ჩრდილოეთით განლაგებულია ფილიპინების, ტაივანის და იაპონიის კუნძულების ვულკანები.

პირობითად გამოთვლილია, რომ ფილიპინების კუნძულებზე არსებული ვულკანების ერთ რიგში მოთავსებისას, მათი სიგრძე 1000 კილომეტრს მიაღწევდა . ეს არცაა გასაკეირი, რადგან ვულკანებს არქიპელაგის სამი მეოთხედი ნაწილი უკავიათ. კუნძულ მინდანაოზე მდებარეობს მთა-ვულკანი აპო (3140 მ.) აქ ყველაზე დიდი ვულკანებია კუნძულ ლუსონზე მაიონი და ტაალი, რომლებიც ხანგამოშვებით იფრქვევიან.

ფრიად საინტერესოა იაპონიის კუნძულებზე მდებარე ვულკანები. აქ 57 მოქმედი ვულკანია, რომელთაგან ყველაზე მაღალია ფუძიამა (3776 მ). ეს ვულკანი იაპონელთათვის წმინდა მთას წარმოადგენს და ამ სახელმწიფოს ემბლემაც კია. ფუძიამა 200 წელზე მეტია რაც არ მოქმედებს. ცნობილია მისი 1707 წლის ამოფრქვევა, როცა ფერფლის „წვიმა“



მთელ წელს გაგრძელდა. ერთი ამ ამოფრქვევის მოწმე წერილი იყო: „...ბოლოს და ბოლოს უულკანი დამშვიდდა. იქ, საჭადაულოთა და ამონინთხა, გაჩნდა უზარმაზარი კრატერი და წარმოიშვა ლავა ამონინთხა, გაჩნდა უზარმაზარი კრატერი და წარმოიშვა ახალი მთა ხოეისანი. მას შემდეგ, ცნობილმა მთამ, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა მთელს ჩინეთსა და კორეაში, დაკარგა თავისი მომხიბლავი იერი. რა სამწუხაროა“.

1952 წლის 16 აგვისტოს ტოკიოს სიმბიურით 400 კმ-ზე წარმოიშვა კუნძული-ვულკანი მეძინი, რაც იაპონურად „ნათელ ღმერთს“ ნიშნავს; მისი ერთ-ერთი ამოფრქვევის დროს დაიღუპა იაპონიის სათვალთვალო ხომალდი 31 კაცით. ერთ ღღე-ღამეში ამოფრქვევეისგან გაჩნდა კუნძული, რომელსაც 9600 კვ. კმ ფართობი ჰქონდა, ხოლო სიმაღლე—30 მეტრი. შემდეგ გაჩნდა მეორე, უფრო დიდი კუნძული. გახშირებულმა აფეთქებებმა ორივე კუნძული გააქრო, მაგრამ შემდგომში ამონთხეულმა ლავამ გააჩინა კუნძული-ვულკანი მეძინი. ამჟამად იგი გადარეცხილია წყნარი ოკეანის ტალღებით.

გრანდიოზული იყო ვულკან ბანდაის ამოფრქვევა 1883 წელს. მას 1000 წლის მანძილზე „ეძინა“ და როცა „გამოილებია“, იმდენად ძლიერად და კატასტროფულად იფეთქა, რომ მთის მოცულობა განახვრდა. მახლობელი სოფელი ვულკანის ნანგრევების ქვეშ მოყვა და დაიღუპა 500 კაცი.

არანაკლებ ძლიერი იყო ვულკან ასამას ამოფრქვევა 1783 წელს. ვებერთელა ლოდები ბუმბულივით მიფრინავდნენ ცაში. ერთ-ერთი ასეთი ლოდი ზომით  $36 \times 75$  ჩივარდა მდინარეში და კუნძული გააჩინა. ამ ამოფრქვევის დროს განაღვირდა 50 სოფელი და დაიღუპა მრავალი ათასი ადამიანი.

ახალზელანდიაში, ჩრდილოეთის კუნძულზე, რამდენიმე ვულკანია. 1886 წელს ტაუპოს ტბის მახლობლად ამოიფრქვა

ვულკანი, რომელმაც გაანადგურა ამ ქვეყნის უიშვიათესობის — კაერიანი ტუფის წითელი ტერასები ტრიტონის ტბაზე. ეს ვულკანი, ტარავერას სახელით ცნობილი, მხოლოდ წილას აფრქვევდა. მწვერვალის ირველივ წირმოიშვა 70 მეტრი სიმაღლის წილის კონუსები, ხოლო ამოსროლილი მასის საერთო რაოდენობამ ერთ დღე-დამეში 1,5 კმ<sup>2</sup> მიაღწია.

### ვულკანი სამა კუცულები

ვულკანების ამოფრქვევის ისტორიაში განსაკუთრებული დღი დგას მონ-პელეს გრანდიოზული და კატასტროფული ამოფრქვევა. ეს ვულკანი მდებარეობს მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფიდან ერთ-ერთზე — კ. მარტინიკზე 1902 წლის 21 მაისს ვულკანი დილიდანვე ბოლავდა. მთა თავზე მოვერცხლისფერო, ფერადი კომბოსტოს მსგავსი სქილი ღრუბელი იღვა. ვულკანის ძირში, ზღვისპირას განლებულ ქალაქ სან-პიერის მისახლეობა ამაღლებას დღესა წაულობდა და ხალხი ეკლესიებისაკენ მიემურებოდა.

ამ ღროს სან-პიერის ნავსადგურში რეიდზე ჩამოდი ინგლისის სატვირთო ხომალდი „როდამი“. მან გზაში ძლიერ ქარიშხალი გადაიტანა და ქანცმილეულ მეზღვაურებს უსროდათ წყნარ ნავსადგურში შესვლა. ხომალდის მანქანები ქერ გამორთული არ იყო, რომ ვულკანმა მონ-პელემ ამოფრქვევა დაიწყო. უეცრად წამოსული ფერფლის წვიმა ძღენად გახშირდა, რომ ქალაქში ჩამობნელდა და სახლები სინათლეები აანთეს. სულ მალე ქალაქი და ნავსადგური

შეგი კვამლის ღრუბელში ჩაიმალა. გუგუნი არ წყდებოდა მატერიალური გიშა ირყეოდა. 7 საათსა და 50 წუთზე ვულკანმა გამარტიულად დაიჭექა და მოისროლა ვეებერთელა მონაცემისფრო მოწითალო ღრუბელი. იგი მალე გაშავდა და ზეავივით დაეშვა სან-პეტერბურგისაკენ. ჰაერი ისე გახურდა, რომ მისი ჩასუნთქვა ტკი-კილს იწვევდა.

„როდამის“ კაპიტანმა ფრიმანმა იმ წამსევე გასტა ზლვაში გასვლის განკარგულება, მაგრამ ხომალდი აღგილიდან არ იძეროდა. ფრიმანს გაახსენდა, რომ ღუზა არ იყო ამოლებული. ამ ღრის ხომალდს გავარვარებული ჰაერის, გაზის და ფერფლის ტალღა დაატყდა თავს. ფრიმანი გემბანზე გამოვარდა და დაინახა, რომ ის მეზღვაურები და მტვირთავები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გემბანის დატოვება, მთლად დამშვარნი იქრუნჩებოდნენ აგონიაში მყოფნი. კაპიტანს ხელები დაეწვა, მაგრამ ვერ შეძლო ღუზის ამოწევა. დარჩა ერთადერთი გზა — ხომალდის ძალით გაეწყვიტათ ღუზის ჭაჭევი. პირებელი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. შეორე თავგანწირული ცდის ღრის ხომალდი აიტაცა ვეებერთელა ტალღამ, რომელიც ზლვაში ჩამოსულმა ლავის დიდმა ნაკადმა გამოიწვა; ღუზის ჭაჭევი გაწყდა და ხომალდი გაშლილი ზლვისკენ გაემართა. ირგვლივ იწვოდნენ და იძირებოდნენ ხომალდები. ქალაქი ცეცხლში იყო გახვეული. ყურე დუღდა. ფრიმანი ვერაფერს ხედავდა და ხომალდი ალღოთი მიყავდა ოკეანისაკენ. ხომალდზე მყოფი 23 მტვირთავიდან მხოლოდ 6 გადარჩა.

9 საათის შემდეგ კუნძულ მარტინიეს მახლობელი პატარა კუნძულის სან-ლუსიის ნაესადგურში ხალხმა დაინახა მომავალი „როდამი“. სან-პეტერის ნაესადგურში მყოფი 17 ხომალდიდან მხოლოდ ეს ერთი გადარჩა. პოსპიტლიდან გა-



მოსვლის შემდეგ კაპიტანმა ფრიძენმა მიიღო ჭრილობული იდის ეერცხლის მედალი. იმდროინდელი გაზეთები წერდნე რომ „ნაოსნობის ისტორიას არ ახსოვს ამ შემთხვევის მსე ვსი.“

სან-პიერში კი 40 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ ერთ კაცი გადარჩა, ზანგი პატიმარი, რომელიც მიწისქვეშა და ლეგში იყო დამწყვდეული. ამ კატასტროფიდან რამდენიმდების შემდეგ სან-პიერში ჩასულმა ხალხმა ნახა დამწვანე ადამიანების გვამები. დაღუპულებს პირზე ხელი ჰქონდა აფარებული. ეტყობოდა, რომ ვიდრე ცეცხლი მიაღწივა მათთან, ისინი გაგუდა გავარეარებულმა გაზის ტალღა რომელიც ცეცხლს წინ მიუძღვდა. მონ-პელე მთელი წლი განმავლობაში მოქმედებდა, დროდადრო ისროდა ფერფლორთქლს, ლოდებს. მისი კრატერიდან გაციებული, ბლანქ ლავის უზარმაზარი ობელისკი ამოიზარდა. მისი სიმაღლე 343 მეტრს აღწევდა, თითქოსდა დაღუპულთა ძეგლად აღმართული. იგი სწრაფად ციფლებოდა, ინგრეოდა და 1903 წელი ლოდების გროვად იქცა.

მოქმედი ვულკანების რიცხვს მიეკუთვნება ჰავაის ვულკანები მაუნა-ლოა და კილაუეა. პირველის სიმაღლე ზღვიდონიდან 4.160 მეტრია. საინტერესოა ის გარემოება, რომ ომანის სიღრმე ვულკანის ფუძესთან 4.500 მეტრს აღწევს, ეს საქმე გვაქვს მთასთან, რომლის ნახევარი ოკეანის წყალშია ჩამოსული. მაუნა-ლოა ბევრით არ ჩამოუვარდება დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ჯომოლუნგმას (ევერესტს), რომლის სიმაღლე 8.847 მეტრია. მისი კრატერის დიამეტრი 6 კილომეტრია. ამ ვულკანს, ისევე როგორც ჰავაის სხვა ვულკანებს, ლა-



ვის დიდი მდინარება ახასიათებს. 1855 წელს მაუნა-ლოს სიგრძით 112 კმ-ს შეადგინა კრატერიდან ამოსულმა ლავის ნაკადმა სიგრძით 112 კმ-ს შეადგინა აღწია. ხშირია ლავის შადრევანები, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 1 კმ-ს აღწევს.

მაუნა-ლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ვულკანი კილაუეა, რომლის კრატერის დიამეტრი 5 კმ-ია. კრატერის კიდიდან 200—300 მეტრით დაბლა, სიღრმეში. ლგას ლავის ტბა. ზოგჯერ ამ ტბიდან ზეცაში ათასამდე ლავის შადრევანს ისვრის, რაც გასაოცარ ჸანახაობას ქმნის. ზოგი ასეთი შადრევანი რამდენიმე წლის მანძილზე მოქმედებს განუწყვეტლივ. 1840 წელს კრატერი პირამდე გაივსო ლავით: კრატერის კედელში მოულოდნელად გაჩნდა ნაპრალი და აქედან ზღვისკენ დიდი სისწრაფით დაეშვა ლავის ნაკადი, რომლის სიგრძე 60 და სიგანე 25 კმ იყო.

ვულკან კილაუეას საინტერესო ამოფრქვევა მოხდა 1967 წლის 5 სექტემბერს. იგი მოულოდნელი არ იყო, რადგან კილაუეას ობსერვატორიის სპეციალური ხელსაწყოები ჯერ კიდევ 1967 წელს პპრილიდან აღნიშნავდნენ გაზრდილ ვულკანურ აქტივობას. ამოფრქვევის პერიოდისთვის დღე-ღამის განმავლობაში 200—400 მიწისქვეშა ბიძვი ივრებნობოდა. და ამ 5 სექტემბერს ლავის შადრევანი 70 მეტრის სიმაღლემდე ავიდა. ლავა, გამოანგარიშებით ამოდიოდა 40—65 კმ სილრიდან და მისი რაოდენობა 2 მილიონ კმ<sup>3</sup>-ს აღწევდა საათში. კრატერის ძირზე გაჩნდა 50 მეტრის სიღრმის ლავის ტბა. ამოფრქვევა 23 საათს გაგრძელდა და ამ პერიოდში ზედაპირზე ამოინთხა 35 მილიონი კმ<sup>3</sup> ლავა.

ფრიად საინტერესოა ისლანდიის ვულკანები. ეს ქვეყანა ცნობილია როგორც ვულკანებისა და ჰეიზერების ქვეყანა.



თვით კუნძულიც ვულკანური წარმოშობისაა. აქ გერმანული ნები: ჰეკლა (1558 მ), ტრელადინგია (1.491 მ), ასკია (1.412 მ). სნეფელი, კრაბლა და სხვ. ლოგმანის ქრონიკაში აღწერილია ჰეკლას ამონთხევა 1300 წელს. აი ნაწყვეტი იქიდან: „ცეცხლი ისეთი სიძლიერით ამოვარდა ჰეკლადან, რომ მთა გაიპო... ამ ცეცხლში ვეებერთელა კლდეები ისე მიქროდნენ, როგორც ნაკვერჩხლები ბრძმედში; ისეთი ხმაურით და გრიალით ეხლებოდნენ ერთმანეთს, რომ ჩრდილოეთ სანაპიროზე და სხვა აფგილებშიც კი ისმოდა... ქარი აღმოსავლეთიდან ქროდა და ფერფლის უზარმაზარი მასები მოჰქონდა და ისე დაბნელდა ზეცა, რომ არავინ იცოდა, დღე იყო თუ ღამე; ჩამოცვენილმა ქვიში კი მთელი დედამიწა დაფარა. ამ ორი ღლის განმავლობაში ბნელი წყვდიადის გამო ვერავინ გაბედა ჩრდილოეთ სანაპიროდან სათევზაოდ გასვლა...“.

ჰეკლას მძლავრი ამოფრქვევა 1913 წელსაც მოხდა.

## პ ლ ი კ ა

თითქოს უცნაურად გვეჩვენება, აფრიკა და ვულკანების ვეებერთელა კონტინენტი ყოველთვის წარმოგვიღებული პირამიდების, საპარის უდაბნოს ცხელი ქვიშების, ათასნაირი ცხოველებით საესე ჯუნგლების მხარედ. მაგრამ აქ ვულკანებიც ყოფილა, თანაც ათეულზე მეტი. მათი უმრავლესობა თავმოყრილია აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელთა შორის ფართოდაა ცნობილი კილიმანჯარო. ერნესტ ჰემინგუეიმ თავის შესანიშნავ მოთხრობას „კილიმანჯაროს თოვლიანი მთები“ წარუმდვერა ეპიგრაფი, რომელიც ასევე



შინაარსისაა: „კილიმანჯარო—შარადიული თოვლით დატუშებული რული მთიანი მასივია სიმაღლით 19 710 ფუტი, როგორც ამბობენ, აფრიკის უმაღლესი წერტილი. მასაის ტომი მის დასავლეთ პიკს „ნგაიე-ნგაიას“ უწოდებს, რაც „ლვთის ბინას“ ნიშნავს...“ დიალ, ეს დილებული მთა 6000 მეტრამდეა აზიდული ცაში. ბევრი მკვლევართაგანი მას ჩამქრალ ვულკანად თელის, მაგრამ იგი თითქოს ძილშია წასული. ხშირად ისმის ყრუ გრიალი და ფუმაროლებიც საკმაო რაოდენობით ამოდის მისი სხეულიდან. კილიმანჯაროს კრატერში არც თოვლია და არც ყინული მაღალი ტემპერატურის გამო.

კილიმანჯაროს ჩრდილო-დასავლეთით, კივუს ტბის მიდა-მოებში, აღმართულია 8 ვულკანი, რომლებიც ერთად ქმნიან კირუნგუს მთების ჯაჭვს. მათ შორის აქტიურია ორი ვულკანი, ნიამლაგირა და ნირაგონგო. პირველის სიმაღლე 3000 მეტრია და 2 კმ სიგანის კალდერით თავდება. მისი ყელი სავსე იყო ლავის ტბით, მაგრამ 1938 წელს ეს ტბა უეცრად გაქრა და რამდენიმე დღის შემდეგ დაწყებული ამოფრქვევა ორ წელიწადს გაგრძელდა. ნაპრალებიდან ამონთხეული ლავის ნაკადი 20 კმ სიგრძეზე გაიჭიმა და გზაზე გაანადგურა სოფელი. მას შემდეგ ვულკანი ხშირად იფრქვევა, თუმცა არა ისეთი სიძლიერით.

თავისებური ვულკანია ნირაგონგო. მისი სიმაღლე 3740 მეტრია. ვულკანის კრატერში ყოველთვისაა ლავის ტბა. ცნობილმა ვულკანოლოგმა ჰარუნ ტაზიევმა აფრიკის ვულკანების კვლევის პერიოდში ჩააღწია ნირაგონგოს კრატერში და კინოფირზე აღმეცდა ლავის მოთხეთუხე ტბა. ივი ასე აღწერს თავის წიგნში „კრატერები ცეცხლში“ ამ კრატერებში ჩასვლისას საკუთარ განცდებს: „მე თანდათან მეუფლებოდა  
6. თ. კიქნაძე



გამჭოლავი, თითქოს კანქვეშ შემაღწეველი და დაუკავშირდება შიში—ჯარისკაცის შიში კი არა, ცხეირით სასწავლის მოდის არის ჩარჭობილი და რომლის ირგვლივაც წვიმასავით მოდის ჰურვები; არც იმ ადამიანის შიში, კედლის უკან რომ მიყუ-  
რულა გულისგამაწვრილებელ ლოდინში, როდის შეწყდება  
ბომბების ვარდნა და დაუსრულებელი საპატიო ესკადრების  
გუგუნი, არც მთამსვლელის თრთოლვა, რომელიც ჩამო-  
საზვავებლად გამზადებულ ფერდობზე მოხვედრილა და ყო-  
ველ ნაბიჯზე, სუნთქვაშეკრული, შიშით იყურება ზევით;  
არა, უფრო ნაკლებ შეცნობადი იყო შიში, მე რომ მომიცა  
ლაგის პატარა ტბის პირას, ნაკლებ შეცნობილი, მაგრამ, შე-  
საძლოა, ბევრად უფრო ძლიერი.“

1959 წელს მეცნიერთა ჯგუფი კვლავ ეწვია ნირაგონგოს  
კრატერს და 36 საათი დაბყო ლავის ტბასთან. ცეცხლოვანი  
ნაპრალებიდან გრიალით ამოდიოდა გაზები, რომელთა ტემ-  
პერატურა  $1000^{\circ}$  იყო. ლავის ტბის პირას პატარი ისე იყო  
გახურებული, რომ ახლოს მისვლა ჩვეულებრივი ტანსაცმლით  
შეუძლებელი გახდა. ვულკანოლოგებს თან პქონდათ სითბო-  
მაიზოლირებელი ტანსაცმელი და მაინც მხოლოდ რამდენიმე  
წუთს შეიძლებოდა გაჩერება ტბის პირას. ტბიდან განუწყვე-  
ტლივ აღიოდა პატარი ლავის შადრევნები, რომელთა ტემპე-  
რატურა  $1100^{\circ}$  იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ  
ცეცხლის ზღვა ლელავდა და ლავის ტალღები გასაოცარ სანა-  
ხაობას ქმნიდნენ.

ვულკანოლოგებისათვის მეტად საინტერესო მხარეები წარმოადგენს სამხრეთ აშერის კორდილიერები, რომელსაც ანდებს უწოდებენ. ამ მაღალი მთების ზოლის გასწვრივ მრავალი მოქმედი და ჩამქრალი ვულკანია (სურ. 9). 1835 წელს თავისი მოგზაურობის დროს დედამიწის გარშემო გეგ „ბიგლით“ ჩარლზ დარვინი განცემულებული იყო ვულკანური მოქმედების გრანდიოზულობით ანდებში. მან დააღვინა, რომ იმ ღამეს, როცა კუნძულ ჩილოედან ვულკან ოსორნოს ამოფტევევას უმზერდა, 1200 კილომეტრის დაშორებით, ანდების ყველაზე მაღალი მწვერვალის — აკონკავუას რაიონში კიდევ ორი ვულკანი იყრქვეოდა. ეს დარვინმა ერთ მოვლენას — ანდების მთების ერთობლივ აწევის — დაუკავშირა.



სურ. 9 სამხრეთ აშერის ვულკანები



ანდების ვულკანებს სამ ჯგუფად ყოფენ; დაუმრავლესობა  
რათიულია: სამხრეთი ნაწილი—აკონკაგუამდე, ცენტრალუ-  
რი—ლულიალიაკოს და კოროპუნას მთებს შორის და ჩრდი-  
ლოეთი ნაწილი—სანგაისა და რუისის ვულკანებს შორის.

სამხრეთის ჯგუფის ვულკანებიდან საინტერესოა ვილარი-  
კა, რომელსაც 50 წლის განმავლობაში „ეძინა“ თოვლის ქუ-  
დის ქვეშ და იგი ჩამქრალი ეგონათ. 1948 წლის დეკემბერში  
მოხდა მისი საზარელი და მოულოდნელი აფეთქება. ვულკანის  
თავზე ოლიმართა ფერფლის მაღალი კონუსი. ირგვლივ ყველა-  
ფერი გავარვარებული სქელი ფერფლის ფენაშ დაფარა. მთის  
თოვლის ქუდი გადნა, წყალი ფერფლს შეერია და ცხელი და  
ჭუჭყიანი ნაკადები ფერდობებზე დაეშვა. მოგზაური ჰარვი-  
ნი, რომელიც ამ ამოფრქვევებიდან ორი თვის შემდეგ ეწვაა  
ვილარიკას, წერდა: „ჩვენ ავედით ცხელი ლავის დონემდე-  
იგი წვავდა ფეხსაცმელებს. სეები დამახინჯებულიყო და  
მოჩვენებებს ჰგავდნენ. არ იყო არც ბალაზი, არც ყვავილები:  
გეგონებოდა, რომ სიცოცხლემ სამუდამოდ მიატოვა ეს კოშ-  
მარული ფერდობი... ღამით, სარკმლიდან ვხედავდი წით-  
ლად განათებულ ცას, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ვულკა-  
ნი კვლავ სუნთქვდა“.

ისტორიამ შემოგვინახა ცენტრალური ჯგუფის ვულკანე-  
ბის ზოგიერთი ამოფრქვევების აღწერა. 1542 წელს ამოიფრ-  
ქვა ვულკანი მისტი (5842 მ). ლავაშ დაფარა მთის ძირში  
მდებარე ქილაქი ირკიბა. 1774 წელს კვლავ გაისმა ძლიერი  
გრევინვა, ვულკანი ამჯერად არ ამოფრქვეულა, მაგრამ მი-  
წისძვრამ შეარყია მახლობელი მიდამოები.

ამავე ჯგუფის მეორე დიდი ვულკანია ომატე, რომელიც  
1600 წელს ამოიფრქვა და მნიშვნელოვნად დაანგრია ქალაქი



არეკიბა ამოფტქვევის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მეტად 25 უღი  
წია ქალაქ ლიმამდე, რომელიც საკაო მანძილითაა დაშორე-  
ბული ვულკანიდან და იქ დიდი ნაპრალები გააჩინა. მთელ  
ამ ზოლზე, წყნარი ოკეანის გასწვრივ მრავალ აღვილას დაინ-  
გრა ქალაქები და სოფლები. ვულკანების ამავე ჭგუფის  
წარმომადგენელია უბინასი, რომლის სიმაღლე 5000 მეტრია  
და სხვა.

1803 წელს გერმანელი ნატურალისტი და მოგზაური  
ა. ჰემბოლდტი წერდა: „... ერთბაშად, ერთ ღამეში, მთის  
თოვლიანი საფარი გაქრა და გაოცებული მიდამოს თვალშინ  
მთის გაშიშვლებული, მონაცისფრო-შავი სხეული წარმოსდ-  
გა. ამოსროლით წილის წვიმის ცეცხლოვანი სვეტი მუქი  
წითელი ალივით აღიოდა უზარმაზარ სიმაღლეზე“. ეს აღწე-  
რა შეეხება ვულკან კოტოპახს, რომელიც ჩრდილოეთის ჭგუ-  
ფის ვულკანების წარმომადგენელია. მისი კონუსის ზედა ნა-  
წილი თოვლითაა დაფარული. სიმაღლე 5896 მეტრია, ხოლო  
კრატერის დიამეტრი 700 მეტრამდე აღწევს. კოტოპახის ამო-  
ფრქვევები ცნობილია XV, XVI, XVIII და XIX საუკუნე-  
ებში.

ჩრდილოეთის ჭგუფის მოქმედი ვულკანებია: ჩიმბორასო  
(6272 მ), სანგაი (5410 მ), რუისი (5400 მ), თოლიმა (5215 მ).

ჩილეში 30-ზე მეტი ვულკანია. 1960 წლის ცნობილმა  
ჩილეს მიწისძვრამ გამოიწვია ვულკანური მოქმედების გამო-  
ცოცხლება. თითქმის 10 ვულკანი, მანამდე 50 წლის მანძილ-  
ზე „მიძინებული“ ამოქმედდა. ისინი დიდი რაოდენობით  
ისროდნენ ფერფლს და ანთხევდნენ ლავას.

მექსიკაში 6 მოქმედი ვულკანია, ცენტრალურ ამერიკაში  
კი 26. აქედან 4 გამწკრივებულია კოსტა-რიკის ცენტრალურ



ნაწილში. მთა ძირები თითქოს ერთ მთლიან გრანიტულ ბეკს წარმოადგენს. ვულკან პოასის კრატერში წაომოაობილი ტბის ფსკერიდან ჩამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე სცემს ცხელი ჰქონდება. ცენტრალური ამერიკის ვულკანი ისალკო თითქმის განუწყვეტლივ მოქმედებს. აფეოქებები ყოველ 2—10 წუთში ხდება. ვულკანურ ბომბებს ზოგჯერ 2—14 კილომეტრ სიმაღლემდე ისვრის. ლავა იშვიათია. ისევე, როგორც სტრომბოლის თავზე, აქაც განუწყვეტლი წითელი აისია ვულკანის თავზე და ამიტომ ისალკო ცენტრალური ამერიკის ბუნებრივ შუქურას წარმოადგენს.

ვულკანები ალიასკაზეცაა. 1912 წელს მოხდა ვულკან კატმაის გრანდიოზული ამოფრქვევა. 160 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კადიაკში ჩამოცვენილი ფერფლის სიმძიმისგან შენობების სახურავები ინგრეოდა. 60 საათის განმავლობაში ქალაქში ბნელი წყვდიადი მეფობდა, რადგან მზის სხივები ვერ აღწევდა ფერფლის სქელ ფარდაში. ამოფრქვეული მასალის მოცულობამ 15 კუბურ კილომეტრს მიაღწია. ოთხი წლის შემდეგ ამ რაიონს ეწვიონენ მეცნიერები, რომლებსაც ფერფლის სქელი ფენით დაფარული მიდამოები დაწვდათ. ფერფლის ტემპერატურა ჭერ კიდევ 700 გრადუსს აღწევდა და მისი სიღრმეებიდან ათასობით ორთქლის ნაკადი ამოდიოდა. ამ რაიონს მეცნიერებმა „ათი ათასი კვამლის ველი“ უწოდეს.

ვულკანები არის ანტარქტიდაშიც. მაღალი მთა ერებუსი ვულკანია. დევისის ზღვის ნაპირთან აღმართულია ახალგაზრდა ვულკანი ჰაუსი, რომლის შავი სხეული ძალზე კონტრასტულად გამოიყურება მარადიული ყინულის ველების ფონზე.

1967 წლის დეკემბერში სუბანტარქტიკულ კუნძულ და-



სეპშენზე ამოიფრქვა ვულკანი, რის გამოც დროებით დაიტესტებული მახლობლად განლაგებული სიმი სამეცნიერო სადგური. ეს სა-დგურები იყო: ბრიტანეთის — დესეპტემბრ-აილენდი, ჩილისა — აგირე-სერდა და არგენტინისა — დესეპტემბრი. ამოფრქვევა-მდე სეისმოგრაფმა ჩილეს ბაზაზე ერთ თვეში 341 მიწისძვრა აღნიშნა. ვულკანის აფეთქებამ კუნძულზე გაანადგურა ტელე-ფონის ქსელის ნაწილი. ერთ-ერთი ახალი კრატერი გაჩნდა ჩილეს სადგურიდან 1 კმ დაშორებით. ამოფრქვევას თან სდევ-და ძლიერი ჰექტა-ჟუხილი და სეტყვა, შერეული ვულკანურ ფერფლთან. კვამლისა და ფერფლის სვეტი 10 კმ სიმაღლეზე ავიდა. სადგურის 52-ეე თანამშრომელი ვერტმფრენებისა და ჩილეს გემ „პილოტო პარდოს“ დახმარებით სამშვიდობოს გაიყვანეს. 10 დღის შემდეგ ბრიტანეთის გემმა „ჭონ ბისკომ-შემთხვევის ადგილზე მიიყვანა გეოლოგი გ. ელიოტი და გე-ომორფოლოგი კ. კლაპერტონი. ისინი გადასხდნენ ტელეფონის ყურეში ახლადგაჩენილ კუნძულზე, რომლის სიგრძე 1,5 კმ იყო, ხოლო სივანე — 750 მეტრი. კუნძული წყლის ზედაპირი-დან 70 მ სიმაღლეზე იყო აღმართული. იგი წარმოშობილიყო სამი კრატერისაგან. ფერფლის სისქე ინგლისის სადგურთან 5 სმ აღწევდა; ფერფლის ფენები ნახეს აგრეთვე 18 კმ-ით დაშორებულ კუნძულ ლივინგსტონზე (კ. სმოლენსკი) და 65 კმ-ით დაშორებულ კუნძულ გრინვიჩზე.

## ვულკანიზი ტეატრი

ვულკანები მარტო ხმელეთზე კი არ მდებარეობეს და იფრევევიან. ოკეანეთა ფსკერზე მრავლადაა ვულკანური წარმოშობის მთები და მოქმედი ვულკანებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა წყნარი ოკეანის ფსკერი, სადაც დღეისათვის ათასამდე წყალქვეშა მთაა ცნობილი. საბჭოთა ოკეანოლოგიური ბომალდის „ვიტიაზის“ 34-ე რეისის დროს ჩვენმა მეცნიერებმა კიდევ 30 წყალქვეშა მთა აღმოაჩინეს. ასე, მაგალითად, ჰავაის კუნძულების მახლობლად, 5300 მეტრი სიღრმიდან წყალქვეშ აღმართულია 4500 მეტრი სიმაღლის მთა; კუნძულ ტუამოტუს მახლობლად კი აღმოაჩინეს მანამდე უცნობი მთა 2000 მეტრი სიმაღლისა. წყნარი ოკეანის ფსკერიდან 3000 და 4500 მეტრ სიმაღლეზე აღმართულ მთებს უწოდეს პირველი საბჭოთა კოსმონავტების — გავარიანის და ტიტოვის სახელები.

წყალქვეშა ვულკანების პირველი ღეტალური გამოკვლევები საყვინთი ტექნიკის გამოყენებით ჩაატარა საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის გაერთიანებულმა ექსპედიციამ 1962—1963 წლებში. გამოკვლეულთა შორის ფრიად საინტერესო სანგიზეს კუნძულების ჭავუფის მოქმედი ვულკანი ბანუ-ვუხუ. იგი ცნობილია 1835 წლიდან და წყლის მიქცევის დროს ოკეანის ზედაპირზე 1 მეტრის სიმაღლეზე მოჩანს ხოლმე მა-



სი წვერი. უკანასკნელად იგი ამოიფრქვა 1919 წელს, ეჭვიცხული წყლიდან ამოსროლილმა ვულკანურმა ბომბებმა დაფარულშეიარავა ლობლად მდებარე მახენგეტანის კუნძულის პალმის ჭალები. გამოკვლეულით გამოიირკვა, რომ ეს ვულკანი ფუმაროლური მოქმედების შედეგად ოკეანის წყალში უოველწლიურად ლექავს  $9 \times 10^{12} - 9 \times 10^{13}$  ტონა რეინას და მარგანეცს.

ჩრდილო მერიეასა და ევროპას შორის 650 კმ სიგრძეზეა გაჭიმული აზორის კუნძულების ჯგუფი. ამ ჯგუფის 9 კუნძულს ერთი თვის განმავლობაში მეათე კუნძული შეემატა. 1957 წლის სექტემბერში კუნძულ ფაიალის მახლობლად მოჩდა წყალქვეშა ვულკანის ყველაზე ძლიერი ამოფრქვევა უკანასკნელი წლების მანძილზე. ამოფრქვევა დაიწყო ფაიალის კუნძულიდან 2 კმ-ის დაშორებით. კუნძულიდან მოთვალთვალე ადამიანებს ეგონათ, რომ ამოსროლილი შეეფების მიზეზი ეფშაპები იყვნენ; ამდენიმე საათის შემდევ კი იმ აღვილზე აღიმართა ორთქლის ვეება სვეტი, რაც წყალქვეშა ამოფრქვევაზე მეტყველებდა. კუნძული ისე იჩეოდა, როგორც ძლიერი მიწისძერის დროს, მის მახლობლად კი ოკეანის წყალი დუღდა. მალე წყლის ზედაპირზე ტუფის ყავისფერმა ზოლებმა დაიწყო ცურვა. ამ ამოფრქვევას შეესწრო ზემოხსენებული ჰარუნ ტაზიევი, რომელმაც თავის წიგნში „შეხვედრები ეშმაკთან“ ასე აღწერა ეს სანახაობა:

„დასაწყისში ამოფრქვევის ძალა ძალიან ღიღი იყო და უკვე დილით ტალღებიდან პატარა კუნძული მოჩანდა. ერთი დღე-ლამის განმავლობაში ამ წყალქვეშა ხახადან ამოსროლი მასალისაგან წარმოიშვა ბორცვი, სიმაღლით ას მეტრზე მეტი, და სიგანით ფუძესთან ათას მეტრამდე... კუნძული რამდენიმე ღღები ნახევარკუნძულად იქცა... არ იყო საში-



ნელი გრიალი, რაც ასე მოქმედებს მაყურებელზე. უკავშირობა  
ლიკო არაჩეეულებრივი სიჩქმე... უცნოური იყო შავი ბოძე,  
ზი, რომლებსაც განუწყვეტლივ ისროდა კრატერი. გეგონები-  
და, რომ ტუშის კოლოსალური შადრევნები გივანტურ მარა-  
ოებად მოულოდნელად იფრქვევა ეშმაკის კატაპულტიდან».

ამ ვულკანს კაპელინიუში უწოდეს. შისი ამოფრქვევების  
ენერგია წამში ათიდან ოცდაათ მილიონამდე ცხენის ძალას  
აღწევდა. კაპელინიუშის ამოფრქვევა 13 თვეს გაგრძელდა და  
წარმოიშვა ვულკანური ფერფლისაგან შემდგარი შავი მიწა  
ასეთივე ფერფლმა დაფარა მახლობელი კუნძულის ნაწილიც,  
ფერფლის სისქე ზოგან 11 მეტრს აღწევდა, ფერფლში ჩაიმარხა  
სოფელი კომპრიდო, ხოლო შუქურის ქედა ორი სართული  
მუქ ლავაშია ჩაფლული. ამჟამად ამ შუქურას ვეღარ იყენე-  
ბენ, რადგან იგი ოკეანისგან ახლაწარმოშობილი ვულკანური  
მთითაა გამოყოფილი.

## საბოლოო პაციურის ვულკანიზმი

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ვულკანიზმის შესწავლას. ერთის მხრივ ეს იმითაა გაპირობებული, რომ ჩვენში მრავლადაა როგორც მოქმედი, ისე ჩამქრალი ვულკანები, მეორის მხრივ კი ძველ ვულკანურ რაიონებთან დაკავშირებულია წიალისეული სიმდიდრეები, რომელთა წარმოშობაში გადამწყვეტი როლი პალეოვულკანიზმს ენიჭება. საბოლოო მეცნიერებმა გ. გორგოვამა, პ. პიიპმა, ვ. ვლოდავეცმა, გ. ძოწენიძემ და სხვებმა მრავალი აზალი ლირსშესანიშნავი გამოკვლევით გაამდიდრეს ვულკანოლოგია და პალეოვულკანოლოგია. ქ. პეტრეპავლოსკ-კამჩატკის ვულკანოლოგის ინსტიტუტი ინტენსიურ მუშაობას ეწევა კამჩატკისა და კურილის მოქმედი ვულკანების შესასწავლად.

კამჩატკას ტყუილად როდი უძახიან ცეცხლით მსუნთქევი მთების მხარეს. მა ნახევარკუნძულზე 129 ვულკანია, რომელთაგან 29 მოქმედია. კამჩატკის ვულკანები პირველად მოინახულა და ოღწერა ს. კრაშენიქოვმა მე-18 საუკუნეში. კამჩატკის ვულკანებიდან ყველაზე კარგად შესწავლილია კლუჩევსკი (სურ. 10), რომელიც ამავე დროს ნახევარკუნძულის უმაღლეს მთას წარმოადგენს (4850 მ). მისთვის დამახასიათებელია სწორი კონუსი, რომელიც მუდმივი თავისითაა დაფარული. აგებულებისა და ამოფრქვევების მიხე-



ସ୍ତର. 10. ପ୍ରକାଶନ କମିଶନ ବିଦେଶୀ ମାଲାମାଳା



დვით კლუჩევსკოი ძალიან წააგაეს ეტნას. უკანასკენის მოქმედებისას ადგილი 200 წლის მანძილზე იმ ვულკანის 20 ამოფრქვევაა რეგისტრირებული. კლუჩევსკოის ვულკანის მოქმედებისას ადგილი აქვს პარაზიტული კრატერების წარმოშობას, საიდანაც ლავა ამონთხევა და ჩნდება პარაზიტული კონუსები. ასე მოხდა 1932 წლის აგვისტოში, როცა მწვერვალიდან 16 კმ-ის დაშორებით, კონუსის ძირში, რამდენიმე პარაზიტული კრატერი გაჩნდა. ლავის ამონთხევას თან ახლდა უზარმაზარი ვულკანური ბომბები, რომლებიც ჰაერში ტრიალებდნენ. ფერფლის მჭიდრო მასებს შუბის ფორმა ჰქონდათ და კიბარისებს წააგავდნენ.

1945 წლის პირველი იანვრის დილის 5 საათზე მოხდა ვულკან კლუჩევსკოის ძლიერი აფეთქება. აფეთქების ობელისკი 1500 მ სიმაღლეზე აღიმართა. ჯერ კიდევ არ იყო გათვენებული და გავარვარებული ვულკანური ბომბების სიმრავლე ცეცხლოვანი წეიმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გრგვინვის სხა 150 კმ-მანძილზე ისმოდა. მთელ დღეს გრძელდებოდა ძლიერი ამოფრქვევა. ლავის ამონთხევა 22 ივნისამდე არ შეწყვეტილა. თოვლი და ყინული დნებოდა და წარმოიშობოდა ცხელი ტალაზის უზარმაზარი ნიაღვრები. გავიდა კიდევ 6 წელი და კვლავ ამოქმედდა ვულკანი. ამჯერად ამოფრქვევა 11 დღეს გაგრძელდა. ვულკანმა განაახლა მოქმედება 1954, 1956, 1960—1961 წლებში, მაგრამ მისი სიძლიერე ამჯერად ნაკლები იყო.

კლუჩევსკოის გვუფის ვულკანების ცენტრში აზიდულია ვულკანი „ბეზიმიანი“ (უსახელო). უკანასკენი 300 წლის მანძილზე, ე.ი. კამჩატკის აღმოჩენის შემდეგ, მისი მოქმედება არ იყო ცნობილი, და თი, 1955 წლის ოქტომბერში, მიწი-



ძვრების შემდეგ დაიწყო აფეთქებები. კრატერის სიმაღლე 1—2 კმ სიმაღლეზე გადატანილ იქნა 100 კმ მანძილზე. დღე იყო, მაგრამ ძლიერ დაბნელდა, რადგან მხის სხივები ვერ ატანდა ფერფლის სქელს ფარდაში. 30 მარტს ვულკანის ძლიერად იფეთქა და მთის სიმაღლეს 300 მეტრი მოაკლდა. აფეთქების სიძლიერეზე მეტყველებს ის, რომ ტალღამ 25 კმ დაშორებით მსხვილი ხეები წააქცია. ამ ამოფრქვევის დროს ვულკანის მიერ ამოსროლილმა მასალის რაოდენობამ 1,2 კმ<sup>3</sup>-ს მიაღწია. დ. გორშეოვის გამოთვლებით, ვულკან ბეზი-



სურ. 11. ვულკანის ამოფრქვევა კამჩატკაზე



გიანის 1956 წლის 30 მარტის ამოფრქვევისას გამოყოფილი ენერგია  $4 \times 10^{23}$  ერგის ტოლი იყო. ასეთი დიდი ენერგიული გამომუშავება შეუძლია კუიბიშევის ჰიდროელსადგურს მოე-ლი წლის მანზილზე. ამ აფეთქების ძალა ათეულჭერ აღმა-ტებოდა წყალბადის ბომბის აფეთქების ტალოის ძალას.



სურ. 12. ვულკანის ამოფრქვევა კამჩატკაზე

კამჩატკის ნახევარკუნძული მოქმედი ვულკანების მხა-რეა (სურ. 11, 12). ასეთი ვულკანებია: კარიმის, ტოლბაჩიკის, კიშიმენის, კინბინიჩის, უუპანის, კარიაკის, (სურ. 14), ავაჩის (სურ. 13), მუტნოვის, ქსუდაჩის, კოშელევის, იჩინსკის და სხვ. საინტერესო იყო ვულკან ტოლბაჩიკის ამოფრქვევა 1939—



1941 წლებში. წელიწადნასევრის განმავლობაში მუნიციპალიტეტის რი საკე იყო მოთეხთუხე თხევადი ლავით. ამოხოდნენის ძარითად პროდუქტს ღავა შეადგენდა. თავისი მოქმედების ხასიათით ტოლბაჩიკი ჰავაის ტიპის ვულკანების მსგავსია. მისი სიმაღლე 3085 მეტრია. უნდა აღინიშნოს, რომ ჰავაის ტიპის (ტოლბაჩიკა) და ვეზუვის ტიპის (კლუჩევსკოი) ვულკანების ასეთი სივრცობრივი მახლობლობა მანამდე ცნობილი არ იყო.



სურ. 13. ვულკანი ავაჩი

კამჩატკის ნახევარკუნძულიდან სამხრეთით, კუნძულ ხოკაიდომდე გაჭიმულია კურილის კუნძულების ჯავა. აუნზულებზე თავმოყრილია დედამიწის მოქმედი ვულკანუ-



სურ. 14. ვულკანი კარიავი

ბის 10 პროცენტი. მათი საერთო რაოდენობა კურილის კუნძულებზე ასამდეა, ჩამქრალი კიდევ უფრო მეტი. მარტო კუნძულ პარამუშირზე, რომლის სიგრძე 100 კილომეტრია, ხოლო სიგანე 15—25 კმ, 20 ვულკანია, მათგან 5 მოქმედი. ზოგი კუნძული მთლიანად წარმოადგენს ვულკანს. აღსანიშნავია ვულკანები: ალაიდი, ებეკო, სარიჩევის პიჯი, მენდელევისი, კრენიცინის, და სხვა. ყველაზე მაღალია ვულკანი ალაიდი (2300მ). ეს ვულკანი-კუნძული მდებარეობს კურილის ა. კუნძულებში.



ლის კუნძულების გაშვის ჩრდილო ნაწილში. 1790 წელს კუნძული ცნობილია მისი 5 ამოფრქვევა. ყველაზე მოულტმდებული ძლიერი იყო 1932—1934 წლების ამოფრქვევა კონუსის წყალ-ქვეშა ნაწილში გაჩენილი ნაპრალიდან. ამ დროს ზღვიდან ამოიზარდა 145 მ სიმაღლის მბოლავი კუნძული, რომელიც შემდგომ ალაიდის კონუსს შეუერთდა და ნახევარკუნძული იქცა.

კუნძულ პარამუშირზე მდებარე ვულკან ებეკოს ამოფრქვევები ცნობილია 1793 წლიდან, როდესაც რუსი მოგზაურები პირველად ეწვივნენ კურილის კუნძულებს. მის უკანასკნელი ძლიერი ამოფრქვევა მოხდა 1934—1935 წლებში. ვულკანის ყელიდან ამოდიოდა თხევადი გოგირდი და იფრქვეოდა ვულკანური ბომბები. ფერფლის ღრუბლებმა მთლიანად დაფარეს მახლობელი კუნძული შუშშუ.

გრანდიოზული იყო კრენიცინის ვულკანის ამოფრქვევა 1952 წელს. იგი მანამდე ჩამქრალი ეგონათ. აფეთქებათა ხმა 100 კმ-ზე ისმოდა. ჩამოცვენილი ფერფლის სისქემ 8 სმ-ს მიაღწია. 30 კმ-ით დაშორებულ კ. პარამუშირის მოსახლეობა ხედავდა ცეცხლოვან აფეთქებებს, რომელიც არტილერიის კანონადას ჩამოჰვავდა.

## პავილინის მიწისებული გოლიათები

იმ ვულკანებს, რომელთა მოქმედება ცნობილი არ არის ისტორიულ დროში, ჩამჭრალს მიაკუთვნებენ. სინამდვილეში ვულკანების ამ კატეგორიას შეიძლება ისეთი ვულკანები მიეკუთვნოს, რომელთა ვულკანური აპარატი მთლიანად დანგრეული და გადარეცხილია. ეს ისეთი ვულკანებია, რომლებიც განლაგებული არიან უძველეს ვულკანურ რაიონებში და



სურ. 15. ჩამჭრალი ვულკანი იალბეზი



სურ. 16. ჩამქრალი ცულკანი ყაზბეგი

იფრქვეოდნენ წინა გეოლოგიურ პერიოდებში (მაგალითად, ყირიმის, იშიერბაიკალის, უნგრეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ღილი ბრიტანეთის და სხვ).

უფრო ახალგაზრდა ცულკანებს, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ფორმა, მიძინებულს უწოდებენ, რაღვან ვერავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ისინი არ განაახლებენ ამოფრქვევას როდისმე. ასეთი ცულკანებითაა ცნობილი კავკასია. აქა: იალბუზი (სურ. 15), ყაზბეგი (სურ. 16). ბევრი ცულკანია ყელის პლატოზე, თეთრი არაგვის სათავეებში: ღილი და პატარა ნეფისკალო (სურ. 17), ხორისარი, ქაბარჯინა საკოხე,




სურ. 17. ჩამერიალი ერლკანები პატარა (შარიცხნივ) და ღიღი  
(შარევნივ) ნეფისკალო

უფრო დასავლეთით: ფილარხოზი, სირხოზი (სურ. 18), შარხოზი, შადილხოზი და სხვ. (სურ. 19). არანაკლებ რაოდენობითაა სეთი ტიპის ერლკანები მცირე კავკასიონზე, გავახეთის მელკანურ ზეგანზე: ღიღი აბული, სამსარი, თავკვეთილი,

შავნაბადა, შიშტეპე, ბულალდალი, გოდორეჲშვისა-ფამილია  
(სურ. 20).

საინტერესოა იალბუზის ისტორია. როგორც ცნობილია,  
ეს ორთავა გოლიათი ევროპის უმაღლესი მწევრვალია



სურ. 18. ჩიმქრალი ვულკანი სირხოხი

(5633 მ). კარგადაა შემონახული მისი აღმოსავლეთი კრატერი კონუსით. იალბუზის უკანასკნელი მონტერქვევა რამდენიმე ათასი წლის წინ მომხდარია. სტრაბონის „გეოგრაფიაში“, რომელიც ჩევენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს მიეცუთვნება, იალბუზი მოქმედ ვულკანადაა მოხსენებული.



სურ. 19. ეულკანები ქსნის და ოფირი არაგვის სათავეების რიცონში

უკანასკნელი ისტორიული წყარო, რომელშიც იალბუზი მოქმედ ვულკანად არის წარმოდგენილი, XVI საუკუნეს შეკუთხება. ესაა სებასტიან მიუნსტერის „კუსმოგრაფია“. 1903 წელს რუსმა გეოლოგმა ვ. დუბიანსკიმ იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე ასვლისას უნაგირასთან იკრძნო გოგირდოვანი გაზის სუნი, ხოლო მეტეოროლოგებმა ა. გუსევმა და ვ. კორჩუნმა, რომლებიც 1934 წელს პირველები ავიდნენ იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე, ნახეს თბილი ორთქლისა და გოგირდოვანი გაზის გამოსავლები. 1961 წელს შეისწავლეს მულკანური გაზები, სიმძიმის ძალა და დაასკვნეს. რომ ამგა-მაღაც იალბუზის ქვეშ შედარებით მცირე სილრმეზე არის



სურ. 20. სამხრეთ საქართველოს ეულკანები

გამლევარი ქანების კერა, რომლის ტემპერატურა 5000-ზე მეტია, ხოლო მისი სავარაუდო მოცულობა — 400 კმ<sup>3</sup>. ისიც დაადგინეს, რომ იალბუზი 1000—2000 წლის წის იფრქვეოდა.

კავკასიის მეორე დიდი ეულკანია ყაზბეგი (5047 მ). მისი შესწავლისას გამოიჩინა, რომ იგი მეოთხეულ ჰერიოლში მოქმედებდა. ლავის ნაკაღები ამოინთხეოდა გამყინვარების ეპოქაშიც. ამ ეულკანის კონუსი აგებულია გამყინვარების შემდგომ წარმოშობილი ქანებით. შემონახულია ცნობები, რომ ყაზბეგი X—VIII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კიდევ შოლავდა.



ამ საუკუნის დასაწყისში ზოგი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ თბილისის მიდამოებშიც მრავლადაა ჩამქრალი ვულკანები.  
მაგალითად: შავნაბადა (რომელზეც თელეთის მონასტერი დგას), ქოროლლის (კოჯრის), სოღანლულის, დათიეს გორა და სხვა. ქართველი მეცნიერ-გეოლოგების: ა. ჯანელიძის, გ. ძოწენიძის, პ. გამყრელიძის, ნ. სხირტლაძის და სხვათა გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ თბილისის მიდამოებში ჩამქრალი ვულკანები არ არსებობდნ და ზევით ჩამოთვლილი „ვულკანები“ გეოლოგიურ წარსულში მომხდარი შორეული ვულკანური ამოფრქვევების ლავური განფენების ნაშთებს ან უზარმაზარ ლოდებს წარმოადგენენ. აი რას წერს აკადემიკოსი გ. ძოწენიძე თბილისის მიდამოებში არსებული „ჩამქრალი ვულკანების“ შესახებ:

„... თბილისის მიდამოების ლავები იმ ძლიერი ვულკანიზმის სუსტი გამოძახილია, რომელსაც ეჭარა-თრიალეთის ქედის აღვილას ჰქონდა ფართო გავრცელება ეოცენურ დროში. ე. ი. 60—70 მილიონი წლის წინათ.“\* და შემდეგ „კოჭრის, შავნაბადისა და სოღანლულის ლავები არ წარმოადგენენ ჩამქრალ ვულკანებს, რადგან მათ არც ვულკანური კონუსის ჩაიმენითი გააჩნიათ და არც ლავის ამომყვანი ყელი ჩანს მათ ახლოს; არც ასაკით არიან ეს ლავები ახალგაზრდა ვულკანიზმის წარმომადგენლები. ისინი მეოთხეული ან გვიან მესამეულ დროს კი არ არიან გაჩენილი, როგორც ჩამქრალი ვულკანების უმეტესობა, არამედ აღრე მესამეულ ზღვაში მოქმედი ვულკანების განფენების ნაწყვეტებს წარმოადგენენ და

\* გ. ძო წერნიძე. არსებობს თუ არა თბილისის მიდამოებში ჩამქრალი ვულკანები. თბილისი, 1956.



მათი ამომყვანი არხები, ალბათ, სადღაც ახლო უკუკიშებიშვილის მაგრამ არა იქ, სადაც ახლა ამ ლავებს ვხედებით. ძეველი ვულკანიზმის ნაშთები კი საქართველოში უამრავია არა მარტო აქარა-თრიალეთის ქედზე, არამედ სამხრეთ ისეთიდან დაწყებული რაჭაზე, ლეჩეუმზე, სამეგრელოზე, სვანეთზე გავლით აფხაზეთამდე. გვაქვს კადა უფრო ძეველი ვულკანიზმის ფართო ზოლი, რომელიც იურულ პერიოდში წარმოიშვა, და ახლოებით 130—140 მილიონი წლის წინათ: ძეველი ვულკანიზმის ნაშთები სხვაგანაც მრავლად მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე.“

სულ ახალგაზრდა მეოთხეული ასაკის ლავებია ხრამის მასივზე. თუ მდინარე ქციის ან მისი შენაკადების ხეობებს ავუკვებით, დავინახავთ, რომ მათი ღრმა კანიონები ჩაჭრილია მუქი ფერის ფორმებან ქანებში, რომლებიც თითქოს ბრძმებული გაუტარებიათ. ესაა გაცივებული ლავები, ზოგად სალი, ზოგან სვეტებად დანაწევრებული, ან ბაგირივით დაჭრებილი. ეს ლავები ბაზალტურია და მათ ადვილი მდინარება ახასიათებდათ. მათი ზედაპირი გაცივების გამო მყარ ქერქად იქცეოდა, მის ქვეშ კი ლავა განაგრძობდა მოძრაობას და გრეხდა, ანაოჭებდა გაცივებულ ქერქს (სურ. 21).

ვულკანური მხარეა სასომხეოიც. მისი ფართობის თითქმის ორი მესამედი დაფარულია ლავებით. აქა ვულკანები არაგაცი, ალაგეზი, დიდი და პატარა არარატი თურქეთის ფარგლებში. არარატის უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა XI საუკუნეში, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კატასტროფული ჩამონვრევა მისი მწვერვალის ნაწილისა, რაც 1840 წელს მოხდა, გამოწვეული იყო არა მიწისძვრით, არამედ ვულკანური მოქმედებით.



სურ. 21. ეულკანური ბომბების ნიშუშები ახალქიოლაქის რაიონიდან

როგორც საქართველოს, ისე სასომხეთის ეულკანური მხარეები ახალგაზრდა ეულკანური რაიონებია.


ეულკანების „კოლექციის“ მიმოხილვა გვსურს დავამთავ-  
როთ ცეცხლისმფრქვეველი მთების მამაცი მყვლევარის, პარუნ  
ტანიევის წიგნის „კრატერები ცეცხლში“ ღამატების ბოლო  
ამზაცით, რომელშიც იგი პოეტებს უსაყვედურებს, რომ მათ

ჯერ-ჯერობით არ მიუზღავთ საკადრისი ნაწილმოქმედ-შექმნების  
ამ დიდი მოვლენისადმი.

„პოეტები? როგორც სახეთა წყარო, მათ ძალზე მცირედ  
გამოიყენეს დედამიწის მოთუხთუხე ქვაბები. მხოლოდ „საუ-  
კუნეთა ლეგენდაში“ ვიქტორ ჰიუგო წამით აჩერებს წევნს  
ყურადღებას მონოტომბოს საშინელ ზღურბლზე, ასევე ბორ-  
ლერი „ბოროტების ფერების“ რამდენიმე სტროფში მიმარ-  
თავს ამონთხეულ ლავებს, რათა გამოხატოს ხორციელი ნდო-  
მის აღტუინება, წმინდა ანტონს რომ სტანგავდა უდაბნოში.  
რაც შეეხება დანტეს, ასე გვინია, რომ მის პოემაში, მიმღე-  
ნილს ჭოჭოხეთის მარადიული ცეცხლისადმი, ადგილი უნდა  
მიჩენოდა ვულკანებსაც... ტოსკანელი ლტოლვილი თავის მო-  
გზაურობათა ხანაში არასოდეს ყოფილა სიმხრეთ იტალიაში,  
შეიძლება დავუმატოთ—სამწუხაროდ. მხოლოდ გენის გამჭრ-  
ახობამ მისცა მას შესაძლებლობა „თოვლის ცეცხლის“ იუ-  
წერაში შეექმნა გავარვარებული ლაპილების წვიმის შთაბეჭ-  
დილება, და ცოცხლად წარმოედგინა ცოდვილთა ტანგვა-  
წამება, რომლებიც განწირულნი არიან გავარვარებულ  
ნიადაგის მიერ მარადიული უბადრუკი ცეკვისათვის, ზუს-  
ტად ისევე, ისინი რომ მდგარიყვნენ ცხელ ნიადაგზე  
კრატერის კიდეესთან ამოფრქვევის დროს. დანტე ალიგიერ-  
მა აგრეთვე აღწერა ცეცხლოვანი კედელი, ნამდვილი ლავური  
ნაკადი, რომელშიც უნდა გაეარა, რომ ბეატრიჩესთან მისული-  
ყო, და რომლის წინაშეც მისმა სხეულმა უკან დაიხია. თვით  
რემბომაც კი ვერასოდეს მოძებნა მსგავსი სახეები... მაშ ასე  
პოემა ვულკანებზე ჯერ კიდევ დასაწერია.“

## ცულელის დარჩევალი მთვარის ტიპები

ცულელის მოქმედება დამოკიდებულია დელამიწის ქერქის ამ ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაზე, ასაკზე, მაგმის თავისებურებაზე და სხვა. არც ერთი ცულელის მოქმედება არ ჰყავს მეორისას, მაგრამ მაინც ხერხდება რაღაც მსგავსებათა გამოძებნა მათ ცალკეულ ჭიუფებს შორის, რომლის მიხედვი-



სურ. 22. ცულელების მოფრენების უმთავრესი ტიპები (ა. პოლმსის მიხედვით). 1. ნაერთოვანი ანუ ისლანდიური ტიპი, 2. ჰაერის ტიპი,  
3. სტრონგიმბოლის ტიპი, 4. ცულელის ტიპი, 5. ვეზუვის ტიპი, 6. მონ-ცელის ტიპი, 7. პლინიური ტიპი

თაც მეცნიერები გამოყოფენ ამოფრქვევათა 9 უსწავლას ტიპს (სურ. 22). მოკლედ განვიხილოთ ეს ტიპზე მართვულ თავისებურებანი.

ვულკანოს ტიპი. ვულკანები, რომლებიც ბლანტ ლავას ამოანთხევენ, ძირითადად ტრაქიტულს და ანდეზიტურს; შიეკუთვნებიან ვულკანოს ტიპს, ამავე სახელწოდების ერლვანის შიხედვით ლიპარის კუნძულებზე. ამონთხეულ ლავას სწრაფად ევერის ქერქი, ცივდება და მყარი სახით კრატერშივე ცვივა. ამოსროლოლი ლავის ნაგლეგები ჰაერშივე მყარქერქიან ვულკანურ ბომბებად იქცევიან, შიგნით ჭერ კიდევ თხევადნი და პლასტიკურნი არიან. სშირად ლავა საცობივით ეცობს ვულკანის ყელს, მის ქვეშ გროვდება გაზები, რომლებიც დიდი ძალით არღვევენ საცობს და ჰაერში ბომბებს ისერიან. მას შიპვება ლაპილები და ფერფლი. ამ ტიპის ამოფრქვევების ზოგჯერ ვეზუვისა და ეტნისაც ახასიათებთ, თუმცა ისინი სხვა ტიპს მიეკუთვნებიან.

ვეზუვის ტიპი. ამოფრქვევების ეს ტიპი ახლოს დას ვულკანოს ტიპთან, მაგრამ განსხვავდება მისგან ძალიან ძლიერი აფეთქებებით. ლავის ამონთხევის შემდეგ გვერდით ნაპრალებიდან და კრატერებიდან, როცა წნევა ლავაზე მთავარ კრატერში მკვეთრად ეცემა, ლავა ფეთქდება და დიდ სიმაღლეზე იფრქვევა მანათობელი ხუჭუჭა დრუბლების სახით, საიდანაც შემდეგ ფერფლის „წვიმა“ მოდის.

ვეზუვი და ეტნა ე. წ. შერეული ვულკანების კლასიური ნიმუშებია. მათ სტრატოვულკანებსაც უწოდებენ, ასეთ ვულკანების კონუსი აგებულია შრეებრივი ქანებით; ჩაფინოვანი ვულკანური ფერფლისა და გაცივებული ლავის ნაკადების მორიგეობით. ვეზუვის აგებულებაში მთავარ



როლს ტუფები ასრულებენ, ეტნის კონცერტი კი აგებული და გამოიყენება  
ლავური ნაკადებით.

ზემოთ აღწერილი ვეზუვის 79 წლის ამოფრქვევა, რომაელ-  
თა რამდენიმე ქალაქი რომ გაანადგურა, ცნობილია  
პლინიური ამოფრქვევის სახელით, ძველი რომაელი მეცნიერის  
პლინიუსის პატივსაცემად, რომელიც შეესწრო ამ ამოფრქვევას  
და შესანიშნავად აღწერა იგი. ამ ტიპისათვის დამახასიათებე-  
ლია ძლიერი აფეთქებები და ნამსხვრევი მასალის უზარმაზარი  
რაოდენობა. გაზიან და ორთქლთან ერთად ჰაერში ვარდება-  
ფერფლის დიდი მასა სვეტის მსგავსად, რომელიც ზევით  
ფართოვდება. ძლიერი აფეთქებები ანგრევენ ვულკანის კო-  
ნუსს. ამ ტიპს ეკუთვნის ვულკანი ტამბორო კ. სუმბავაზე,  
კრაკათაუ ზონდის სრუტეში, კოსევინა ნიკარაგუაში, კატმაი-  
ალასკაზე და სხვ.

სტრომბოლის ტიპი. ასეთ ვულკანებს ახასიათებთ ვანუ-  
წყვეტელი მოქმედება. ამოფრქვევაში ფერფლი არ მონაწილე-  
ობს. ლავა ბაზალტურია, ბლანტი, მაგრამ მოძრავი. აფეთქებე-  
ბით გამოიყოფა გაზები და ლავასთან ერთად ჰაერში ატყორც-  
ნილი წარმოშობს ბომბებს. დიდი ხანია რაც შეამჩნიეს, რომ  
სტრომბოლის ამოფრქვევათა რითმი დამოკიდებულია ამინდ-  
ზე. კარგ ამინდში, როცა ატმოსფერული წნევა მაღალია, პაუ-  
ზები ამოფრქვევებს შორის უფრო ხანგრძლივია და პირიქით,  
ცუდ ამინდში წნევა მცირდება და პაუზებიც ხანმოკლეა. ასე-  
თი ტიპის ვულკანებს სტრომბოლის გარდა მიეკუთვნება იზალ-  
კო სან-სალვადორში, სანგაი ანდებში, რომლის მოქმედება  
1728 წლიდან არ შეწყვეტილა. დაახლოებით ასეთივე ამოფრ-  
ქვევები ახასიათებს კლუჩევსკოის, ზავარიცის, ავაჩის ვულკა-  
ნებს კამჩატკის ნახევარკუნძულზე. ზოგიერთი მეცნიერი



ვულკანოსა და სტრომბოლის ტიპის ამოფრქვევებს უწევთაშორიშვილი, ამოფრქვევის პლინიური ტიპის ქვეტიპებად.

**შავაის ტიპი.** არსებობენ ვულკანები, რომელთა ამოფრქვევებში ძირითად როლს ლავა ასრულებს. ლავა თხევადი, ბაზალტურია, მცირე რაოდენობით შეიცავს გაზებს და ამიტომ ამოინთხევა წყნარად. აფეთქებების გარეშე, გაზების ღრიებითი დაგროვების შემთხვევაში ჩნდება ლავის შადრევანი. ასეთი ვულკანებისათვის დამახასიათებელია ღიდი ზომის კრატერი, რომელშიც მუდმივად დუღს ლავის ტბა. როდესაც კრატერი პირამდე იქსება, ლავა გადმოედინება ფერდობებზე, მას ადვილი მდინარება ახასიათებს და ვრჩელ ნაკადებს ქმნის. ჰავაის ტიპის ვულკანების ფერდობები ძალიან დამრეცია, ფორმით გიგანტურ ფარს ჩამოჰვავენ და მათ ფარისებურ ვულკანებსაც უწოდებენ. ამ ტიპის ვულკანებს მიეკუთვნება მაუნა-ლოა და კილაუეა ჰავაის კუნძულებზე, ტოლბაჩიკი კამჩატკაზე, აფრიკის ვულკანები ნიამლაგირა და ნიჩაგონვო, ისლანდიის ზოგიერთი ვულკანი და სხვ.

ვამოყოფენ კიდევ კატმაის ტიპის ამოფრქვევებს. ეს ვულკანი ალასკაზე მდებარეობს და ახასიათებს ძალზე ბლანტი მჟავე ლავა, რომელიც ამოფრქვევისას ქაფდება, იფანტება და კრატერიდან ამოდის ვულკანური ქვიშისა და ჰემზისაგან შემდგარი მშრალი, გავარევარებული ნაკადის სახით.

ამოფრქვევათა ბანდაისანის ტიპისათვის დამახასიათებელია აფეთქებები ლავის გარეშე. ძლიერი აფეთქებების შედეგად, რასაც მაგმური კერის თავზე დაგროვილი წყლის ორთქ-



ლი იწვევს, პაერში ავარდება ვულკანის კონუსის ნაწილი უწყლესობა  
წყლის ორთქლი.

განსაკუთრებულ აღგილზე დგას ამოფრქვევების ისლან-  
დიური ტიპი. ამ შემთხვევაში ლავის ამონთხევა ხდება ნაპრა-  
ლების საშუალებით და არა კრატერიდან.

ზოგი ვულკანის ყელი სიმშეიდის პერიოდში ამოვსებულია  
ვაცივებული ლავით და ფხვიერი მასალით. ამოფრქვევის, ანუ  
პაროქსიზმის დროს ყელიდან იფრქვევა მყარი ვულკანური  
მასალის უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც ზვეით ასვლის  
ნაცვლად ფერდობზე ეშვება ერუპტიული ზვავის სახით, რო-  
მელსაც მაღალი ტემპერატურა აქვს. ეს ზვავი შედგება გავარ-  
ვარებული გაზებისა და მყარი პროდუქტებისაგან. სწორედ  
ასეთმა ღრუბელმა, რომელიც დიდი სისწრაფით დაეშვა მონ-  
პელედან და თან წინ გახურებული პაერის ეეება შეკუმშულ  
ტალღას მიერკეცბოდა, სამ წამში გაანადგურა ქალაქ სან-პიე-  
რის 40 ათასი მაცხოვრებელი. ზოგ შემთხვევაში კრატერში  
ამოიზრდება ექსტრუზიული გუმბათი ან ლავური ნეკი. ასეთი  
ამოფრქვევები ახასიათებს მონ-პელეს და ამ ტიპის ვულკანე-  
ბი ცნობილია პელეს ტიპის სახელით. ამ ტიპს მიეკუთვნები-  
თ: სუფრიერი სან-ვინსენტის კუნძულზე, შეველუჩი, ნაწილობ-  
რივ ავაჩი და სარიჩევის პიჯი კამჩატკაზე.

## რაზომ იცრდვისა ვულკანი?

„... იდუმალის ვეებერთელა რეანით ვართ გარე-  
მოცელი და რაც უფრო მეტი ვიცით, მით უფრო  
შეტ გამოცანას გვისახევს ბუნება“.

ე. ობრუ ჩეკა

ვულკანიზმი ბუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გრან-  
დიოზული მოვლენაა. მეცნიერთათვის იგი წარმოადგენს ნა-  
თელ ფანგარას დედამიწის მიუწვდომელ წიაღში ჩასახედად,  
ჩვენი პლანეტის ჩამოყალიბებისა და ევოლუციის გზის მაჩ-  
ვენებელს.

ვულკანური პროცესები არ არის რაღაც შემთხვევითი  
ან საყოველთაო მოვლენა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული  
მიწისძვრებთან, მთათა წარმომშობ პროცესებთან, ერთი სი-  
ტყვით, დედამიწის ქერქის მოძრაობის პროცესებთან და თავს  
იყრის განსაკუთრებულ რაიონებში.

ამჟამად ვულკანოლოგები 600-ზე მეტ მოქმედ და უფრო  
მეტ ჩამქრალ ვულკანს ითვლიან. ისინი განლაგებული არიან  
ათასეულ კილომეტრებზე დედამიწის ქერქის შესუსტებულ  
ნაწილებში. ვულკანების დიდი უმრავლესობა თავმოყრილია  
ე. წ. „ცეცხლოვანი სარტყლების“ გასწვრივ, როგორიცაა  
ხმელთაშუა ზღვისა და წყნარი ოკეანის; გარდა ამისა არის



კიდევ რამდენიმე ვულკანური ზოლი: ოკეანეთა სიღრმეების ცენტრალურ აფრიკაში, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეების სანაპირო ზოლში.

ხმელთაშუა ზღვის „ცეცხლოვანი სარტყელი“ განედური მიმართულებისაა. იგი იწყება საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის ჩამქრალი ვულკანების რაიონებიდან, გაივლის ხმელთაშუა ზღვის მოქმედი ვულკანების ზოლს აპენინების ნახევარკუნძულზე და სიცილიაში (ვეზუვი, ეტნა, სტრომბოლი, ვულკანო, სანტორინი და სხვ.), კავკასიის ჩამქრალი ვულკანების ზოლს (იალბუზი, ყაზბეგი, კაბარჭინა, ხორისარი, აბული, სამსარი, თავკვეთილი, არარატი, ალაგეზი, არაგაცი და სხვ.), ირანისა და ბელუჯისტანის ჩამქრალი ვულკანების მხარეს (საველანა, საპენდა, ბონანი, კუხ-ტუფტანი, გამონაკლისია დემავენდი ირანში, ელბრუსის მთიანეთში, რომელსაც მოქმედად თვლიან); შემდგომ ეს სარტყელი მიემართება პიმალაისკენ, გაღაღის ბირჩაში (3უპა), ბენგალიის ყურის კ-ბზე (ნარკონდამი და ბარენი), გაივლის ახალგაზრდა მოქმედი ვულკანების მხარეს—მალაის არქიპელაგს (ალსანიშნავია, რომ იავის 100-ზე მეტი ვულკანიდან 19 მოქმედია, სუმატრაზე—11, მცირე ზონდის კუნძულებზე კი 15). ხმელთაშუა ზღვის „ცეცხლოვანი სარტყელის“ დიდი ტოტი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ჩამქრალი ვულკანების მხარეა ალტაი, აღმოსავლეთი საიანები, მონლოლეთი, მანჯურია, შორეული აღმოსავლეთი.

მეორე ვულკანური ზოლი, წყნარი ოკეანის „ცეცხლოვანი სარტყელი“, ამ ოკეანეს ორივე სანაპიროს მიუყვება. დასავლეთ სანაპიროს რეალი იწყება ფილიპინების კუნძულებიდან და მიემართება ჩრდილოეთით (მოქმედი ვულკანე-



ბია ტაალი და ალბაი ბონბონის ტბის კ-ზე), ტორო, ტერიტორიული, სხვ. ჩრდილო მოლუსკების კ-ზე). გაივლის კუნძულ ფორმოზას, იაპონიის კუნძულების მრავალრიცხოვან ვულკანებს (ფუძიამა, ბანდაისანი, უზენდაკე და სხვ.), კურილის კუნძულების ვულკანურ ჯაჭვეს, რომელიც 80 ვულკანისაგან შედგება და მთავრდება კამჩატკის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ვულკანებით (კლუჩევსკოი, ავაჩი, ბეზიმიანი, ტოლბაჩიკი და სხვ.).

წყნარი ოქეანის აღმოსავლეთ სანაპირო ვულკანური რეალი გრძელდება კამჩატკის ნახევარკუნძულის შემდეგ, ალეუტის კუნძულებზე, გაივლის ალასკას (11 მოქმედი ვულკანით — ანიაკჩა-კი, მოუნტ მარტინი, კატმაი და სხვ.) და ჩრდილო ამერიკის კორდილიერებს (ლასენ-პიკი, ვრანგელის მთა, ბლეიკბორნი, სენფორდის მთა და სხვ.), მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ვულკანებს (მექსიკაში 8 მოქმედი ვულკანია, ხოლო ცენტრალურ ამერიკაში — 26); შემდეგ ეს ზოლი უხვევს აღმოსავლეთით, გადადის მცირე ანტილის კუნძულების ვულკანებზე (მონ-პელე და სხვ.), გადადის სამხრეთ ამერიკაში (ანდები), გრძელდება კოლუმბიიდან პატაგონიამდე (ვულკანები: რუისი, თოლიმი, კოტოპახი, ჩიმბორასო, სანგაი, მისტი, ვილარიკა და სხვ.). ამ სარტყელსავე მიაწერენ ანტარქტიდის ვულკანებს (ერებუსი და ტერორი). შემდგომ იგი უხვევს ახალი ზელანდიისაკენ, გაივლის სოლომონის კუნძულების ვულკანებს და მთავრდება ახალ გვინეაში.

გარდა ამ ორი დიდი სარტყელისა ვულკანები მრავლადაა წყნარი და ატლანტის ოქეანეთა ფსკერზე (წყალქვეშა ამოფრქვევები) და ზედაპირზეც კუნძულების სახით. ასე მაგალითად, იაპონიის კუნძულებიდან წყნარ ოქეანეში მიემართება



1500 კმ სიგრძის ვულკანური განშტოება, წარმოდგენილი ვულკანური კუნძულებითა და ვულკანიზმის წყალქვეშა ფენტრებით. ატლანტის ოკეანის ფსკერზე გრძლადა გაჭიმული წყალქვეშა ვულკანიზმის ზოლი ჩრდილოეთიდან სამხრეთით. იგი იწყება იანმაიენის კუნძულის ვულკანებით, გადადის ისლანდიის ვულკანურ მხარეში, შემდეგ მოიცავს კანარის, მწვანე კონკის და აზორის ვულკანებს. ამავე ზოლს აკუთვნებენ წმინდა ელენეს, ამალების, ტრისტან-და-კუნიას ვულკანურ კუნძულებს. მის გაგრძელებად თვლიან ავრეთვე გვინეის ყურის ვულკანურ კუნძულებს, ვულკან კამერუნს გვინეაში, ე. ი. უკე აფრიკის ფარგლებში.

ცალკე დვას აფრიკის ვულკანური ზოლი (ყენია, დუფა, აფდერა, კილიმანჯარი, ნიამლაგირა, ნირაგონგო და სხვ.).

აღნიშნული ზოლებისათვის დამახასიათებელია ხშირი რღვევები, აშლილობანი, რაც იმის მაუწყებელია, რომ აქ უფრო ინტენსიურია დედამიწის ქერქის მოძრაობანი, მთათა-წარმომშობი პროცესები. ამ რაიონებში გაერცელებული ხშირი მიწისძვრებიც ზემოთქმულის დადასტურებაა. ფილიპინის კუნძულებთან არის საყოველთაოდ ცნობილი უდიდესი ოკეანური ჩაღრმავება — მინდანაო, იაპონიის, კურილისა და კამჩატკის გასწვრივ კი ტუსკარორას ჩაღრმავება. თუ მსოფლიო ფიზიკურ რუკას გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ კორდილიერებისა და ანდების გასწვრივაც თავმოყრილია ოკეანური ლრუმლები. ამ ადგილებში ხდება წონასწორობის დარღვევა, რაც იწვევს ქერქის გათხელებას, ნაპრალების გაჩენას, ქერქის ნაწილების აწევ-დაწევას და წიაღშე დაგროვილი უზარმაზარი პოტენციური ენერგიის, მქონე მაგმისა და გაზების ვულკანების სახით მონთხევას.



ასევეა კონტინენტის შიდა ვულკანურ მხარეებზე გულკანების წარმოშობა დაკავშირებულია მიწის ქერქის მოძრაობასთან. აფრიკის ვულკანები დაკავშირებულია აფრიკის დიდ გრაბენთან, რომელიც გაჭიმულია მდ. იორდანიის ხეობიდან წითელი ზღვისა და აფრიკის დიდი ტბების რაიონის გავლით ინდოეთის ოკეანისკენ. ეს გრაბენი წარმოადგენს დაწევის დიდ ზოლს და შემოფარგლულია ნაპრალთა სისტემით.

საინტერესოა ვულკანების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი ოკეანურ გარემოში. შესაძლოა, რომ მიწისძვრის დროს ოკეანის ფსკერზე გაჩნდეს დიდი ნაპრალი, რომელშიც ოკეანური წყალი ჩაედინება. ადვილი შესაძლებელია ნაპრალის ისეთ სიღრმეს მიაღწიოს, სადაც მაღალი ტემპერატურა, წნევა და ლავაა. წყლის წნევა ხელს შეუშლის ლავის ამონთხევას. მაღალი ტემპერატურის გამო წყალი ორთქლად იქცევა, დადგება კრიტიკული მომენტი, როცა ორთქლის უზარმაზარი ენერგია ვეღარ ინარჩუნებს პოტენციურობას და ლავასთან ერთად ამონთხევა. ასე მოხდა კრავათაუს აფეთქება, როცა ვულკანის მეტი ნაწილი დაინგრა. ვერსიები მრავალნაირი შეიძლება იყოს, ფაქტი კი ისაა, რომ ოკეანეთა ფსკერზე წარმოიშობა უზარმაზარი ქედები, რომელთა უმაღლესი მწვერვალები კუნძულების სახით (კურილის, ალეუტის და სხვ.) ამოდიან ოკეანეთა ზედაპირზე.

რომ შეგვეძლოს ხელოვნურად მიწის ქერქის გაბურღვა დიდ სიღრმემდე, ყველგან, სადაც კი მოვისურვებდით, გაჩნდებოდა ვულკანი. მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ მიწის ქერქის ქვეშ არის გამდნარი ქვიერი მასა ე. წ. მაგმა. მასში დიდი რაოდენობითაა წყლის ორთქლი და სხვადასხვა გაზი. როცა



ვამბობთ „გამდნარი მასაო“, ეს არ უნდა გავიგოთ აბსულუტურობა  
ტური მნიშვნელობით: სეისმური დაკვირვებების საფუძველზე  
ნივთიერება მიწის ქერქის ქვეშ ხასიათდება მყარი სხეულის  
თვისებებით, — სეისმურ ტალღებს ატარებს ისე, როგორც  
მყარი სხეული; ამავე დროს, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ,  
სიღრმესთან ერთად წნევა და ტემპერატურაც იზრდება.  
1400 გრადუსის პირობებში ყველა ქანი დნება. მაღალი წნევის  
გამო ქანების ღნობის ტემპერატურაც მაღლა იშევს. შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ დედამიწის სიღრმეში ნივთიერება მდნარია,  
და არცაა მდნარი. როგორც გეოლოგები, გეოფიზიკოსები  
იტყვიან, იგი „პოტენციურად ოხევად მდგომარეობაშია“.

საინტერესოა, როგორ ჩნდება მაგმა, რომელიც კვებავს  
ეულეანებს. ამ საყითხზე დიდი ხინია კამათობენ მეცნიერები.  
მეტამოდ ძირითადად სამი შეხედულებაა გავრცელებული, რო-  
მელზეც მოკლედ ვიტყვით. პირველი შეხედულებით მაგმის  
წარმოშობა დაკვირვირებულია წნევის ძლიერ და მკვეთრ დაწე-  
ვასთან დედამიწის ღრმა, ძლიერ გახურებულ პორიზონტებ-  
ში. თუ ქერქში გაჩნდება ღრმა რღვევა, წნევა შემცირდება და  
გადახურებული ნივთიერება სწრაფად ლლევება და გარდა-  
იქმნება მაგმად. მაგმის წარმოსაშობად ყველაზე კარგი პირო-  
ბებია 60—200 კმ-ის სიღრმეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დნება  
ბაზალტის გარსის და ზედა მანტიის უბნები. მეგვარად წარმო-  
იშობა ფუძე და ულტრაფუძე შედგენილობის მაგმა, ანუ,  
როგორც უწოდებენ, ბაზალტური და ოლივინ-ბაზალტური  
მაგმა.

მეორე შეხედულებით მაგმის წარმოშობა დაკვირვირე-  
ბულია დედამიწის წიაღის აღგილობრივ გახურებებთან, რის  
მიზეზადაც თვლიან რადიაქტიური ელემენტების გადიდებულ



შემცველობას დედამიწის ქერქის განსაზღვრულ კუნძულების ცნობილია, რომ ურანის ატომებში იმაღება წარმოუდგენლად დიდი ენერგია. ამ შეტალის სულ რაღაც 1 კილოგრამს შეუძლია მოგვცეს 1700 ტონა ბენზინის დაწვით მიღებული ენერგიის ექვივალენტური ენერგია. მთავარი ისაა, რომ ბუნებრივ პირობებში ეს ენერგია უაღრესად ნელა და შეუმჩნევლად გამოიყოფა. რამდენიც არ უნდა იყოს ურანი, მისი რაოდენობა სპონტანური ანუ თავისთვავადი დაშლის შედეგად ნახევრდება მხოლოდ ოთხნახევარი მილიარდი წლის განმავლობაში.

რადიაქტიური ელემენტები დედამიწის წიაღში უთანაბროდაა გაფანტული; ამასთანავე ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები. მიწის ზედაპირზე ან უმნიშვნელო სიღრმეებზე განლაგებულ რადიაქტიური ელემენტების საბადოები დაშლასთან ერთად გამოიყოფენ სითბოს, რომელიც ატმოსფეროში იყარება, მაგრამ რა ხდება დიდ სიღრმეებში?

თუ სითბოს გამოიყოფის კერა რამდენიმე ათეული კილომეტრის სიღრმეზეა მოთავსებული, ბუნებრივია, დიდი წნევის გამო, რასაც მრავალკილომეტრიანი სისქის ქანები იწვევენ, გამოიყოფილი და დაგროვილი სითბო ვერ ამოდის მიწის ზედაპირზე. სითბორი ენერგია ახურებს ქანებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გათბობა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, იგი გრძელდება ასეულ ათასობით და მილიონი წლების მანძილზე, ქანები საბოლოოდ გავარვარებამდე ხურდებიან და მათი ტემპერატურა  $1000^{\circ}$ -ზე ზევით აღის. დედამიწის ზედაპირზე  $1400^{\circ}$  საკმარისია, რომელიც არ უნდა იყოს ქანის გასაღნობად. სიღრმეში კი, უზარმაზარი წნევის გამო გახურებული ქანები მყარ მდგომარეობაში ჩჩებიან, მაგრამ საკმარისია გაჩნდეს დედამიწის ქერქში ნაპრალი, რომ წნევის შემცირების



გამო ეს გავიარვარებული ქანები სწრაფად დნებიან და შემოტკიცებული რაოდენობით გამოყოფენ გაზებს. გამლლვარი თხევადი შაგმა აირებთან ერთად ადის ნაპრალებში. ზოგჯერ იგი მიწის სიღრმეშივე ციცედება და წარმოქმნის ე.წ. ინტრუზიულ ქანებს, ხშირ შემთხვევაში კი ზედაპირზე ამოინთხევა ლავის სახით და წარმოშობს უცლკანებს. ამონთხეული ლავა გაცივების შემდეგ იქცევა ამონთხეულ ანუ ეფუზიურ ქანებად, როგორიცაა: სხვა-დასხვა გრანიტები, მუქი ბაზალტები, უცლკანური მინა ობსიდიანი და სხვ.

მაგმის წარმოშობის მესამე ჰიპოთეზა მთავარ მიზეზად მიიჩნევს ქანების გადნობას სიღრმეული წარმოშობის ძლიერ გახურებული აირების მიერ. მაგრამ საიდან და როგორ ჩნდება იირები ასეთ დიდ სიღრმეებზე? ფიქრობენ, რომ მათი წყარო მანტიის ქვედა ნაწილია, ან, შესაძლოა, პლანეტის ბირთვიც კი. აირები წარმოიშობა ნიერიერების გარდაქმნის ღროს დედამიწის ღრმა ნაწილებში შესაძლოა ამ სიღრმეებზე არსებული ბირთვული რეაქციების შედევგადაც, ან ქიმიური რეაქციებისა და ფიზიკურ-ქიმიური გარდაქმნების შედევგად. აქ შეიძლება დიდი კითხვის ნიშნის დასმა, რადგან დარწმუნებით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება; მეცნიერებას, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, რაიმე მოსაზრების ან ჰიპოთეზის დასამტკიცებლად უტყუარი ფაქტები სჭირდება.

## დაცირული და ზღვაში ჩაძირული ქალაქები

„დაიქცა ძერით, როსტომ იწყო შენებად, არჩილ  
შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესა ჩლმა ძვრით  
30 . . .“.

ვახუშტი ბაგრატიონი

თითქოს უზარმაზარ გრდემლს ვეებერთელა უროს ურტ-  
ყამდნენ ატლანტები მიწის სიღრმეებში. ყველაფერმა რყევა  
დაიწყო. შენობების ნგრევის ხმას მიწისქვეშა გუგუნი და  
გრიალი ფარავდა. სინათლე ჩაქრა. ქალაქი მტვრის კორიან-  
ტელში გაეხვია. ირგვლივ ნგრევა და წყვდიადი გამეფდა . . .

დილით, როცა მზემ ამოანათა, ქალაქი ნანგრევებად იყო  
ქციული. მიზეზი? — მიწისძვრა!

მიწისძვრა ბუნების ყველაზე საშინელი, ხანმოკლე და კა-  
ტასტროფული მოვლენაა. ვიღაცას გამოუთვლია, რომ უკანას-  
კნელი სამი ათასწლეულის განმავლობაში მიწისძვრებისგან  
15 მილიონზე მეტი კაცია დაღუპული. ამას დავუმატოთ კი-  
დევ ნგრევით მიყენებული მატერიალური ზარალი, რომლის სი-  
ლიდეც განუსაზღვრელია. გერმთიანებული ერების ორგანიზა-  
ციის მონაცემებით უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე  
მიწისძვრებისგან ყოველწლიურად 14 ათასი კაცი იღუპებოდა



საშუალოდ, ხოლო მატერიალური ზარალი წელიწადში ასეთი კანონით განიზომებოდა.

ინტერესმოქლებული არ იქნება, რომ თვალი გადავავლოთ ისტორიულ თუ თანამედროვე წყაროებით ცნობილ მნიშვნელოვან მიწისძვრებს და შემდეგ კი ავსნათ ბუნების ამ უმრისეანესი მოვლენის გამომწვევი მიზეზები, რამდენადაც იგი ცნობილია თანამედროვე მეცნიერებისათვის.

### ვ ვ რ ვ ა

ძელი საბერძნეთის ისტორიკოსთა მონაცემებით, 3000—2500 წლებს შორის ჩვენს წელთაღრიცხვამდე საშინელმა მიწისძვრამ შეარყია ტერიტორია მცირე აზიდან ჰერკულესის სვეტებამდე და ეგვიპტიდან თრაკიამდე. ასევე, 1900 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძლიერმა მიწისძვრამ გაანადგურა ატიკა, მთელი მოსახლეობა დაიღუპა ზღვიდან ხმელეთზე შემოჭრილი უზარმაზარი ტალღით (ცუნამი), რაც ისტორიაში ცნობილია ოგიგის წარლვნის სახელით. 300 წელიც კი არ იყო გასული ამ კატასტროფიდან, რომ თესალიის მთელი მოსახლეობა გაანადგურა მიწისძვრის შედეგად წარმოშობილმა ახალმა ტალღამ, რაც ცნობილია დევკალიონის წარლვნის სახელით. ფუქიდიდი და დიოდორ სიცილიელი წერენ, რომ 476 წელს ჩვ. წ.-მდე ძლიერმა მიწისძვრამ შეაჩერა პელოპონესიდან ბეოტიის დასაპყრობად მიმავალი ლაშქარი, რაღაც ლერთების გაფრთხილებას მიაწერეს იგი და მეომრები სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ მიწისძვრის დროს ზღვამ შთანთქა საპერძნეთის მრავალი ქალაქი, ხოლო ნახევარკუნძული ატლანტია კუნძულად იქცა.



ასმეერთე ოლიმპიადის მე-4 წელს (ანუ ჩვენშიძებულება წელს) კორინთოს ყურის სამხრეთ სანაპიროზე, ახტაში, ღარიშ  
მომხდარმა მიწისძვრამ მთლიანად გაანალგურა ქალაქი ბურა,  
ხოლო ქალაქი ჰალიქსი კი ზღვაში ჩაიძირა.

სამხრეთ საბერძნეთს დიდი კატასტროფა თავს დაატყუდა 1870 წელს. ეს მიწისძვრა აღწერილი აქვთ გეოლოგები ი. შმიდტს და მ. ნეიმაირს, რომლებიც ამ კატასტროფის უშუალო მოწმენი გახდნენ. აი როგორ აღწერენ ისინი ამ მიწისძვრას: „... 1 აგვისტოს, დილადრიან ვიგრძენით საშინელი ვერტაკალური დარტყმა, მას მოჰყვა ნიადაგის ბრუნვითი და რხევითი მოძრაობა, რაც 15—20 წუთს გაგრძელდა... რამდენიმე წარშოიცა, ქრისსო და დელფები ნანგრევების გროვებად იქცა ნაწილობრივ დაინგრა აგრეთვე არახოვა და ანფისა, აგრეთვა სხვანიც... 19 წუთის შემდეგ დედამიწა კვლავ ათროთოლდა და დღის 1 საათსა და 30 წუთისთვის ძლიერმა მიწისქვეშა დარტყმამ იავარჰქემნა ქალაქების ნარჩენები, მთებში კი დიდი ზვავები გამოიწვია... მიწის ურიცხვი მოძრაობა, გრიალი და ხმაური არ წყდებოდა არც დღე, არც ღამე და გაგრძელდა მთელი აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში... 25 ოქტომბერს მოსახლეობამ სახლები მიატოვა. ყველა ყურადღება მიიპყრო ჩრდილოეთის ციალმა, რომელმაც ყველა შეაშინა. ამ დროს გაისმა ახალი მიწისქვეშა დარტყმა ქალაქი ანფისა, რომელიც 1 აგვისტოს კატასტროფის შემდეგ მაინც გადარჩენილი იყო, თვალის დახამხამებაში დაინგრა... 1870 წლის ზამთრამდე დედამიწა განუწყვეტლივ განიცდიდა რხევებსა...“

ეს მიწისძვრა გამოირჩეოდა არაჩეცულებრივი ხანგრძლიობით მიწისძვრების ისტორიაში. მიწისქვეშა ბიძგები, გრია



ლი, რყევა თითქმის სამნახევარ წელს გაგრძელდა. ამ პუშტეული თდში მ. ნეიმაირმა 5 მილიონი გრიალი და 50 ათასი ბიძგი დაითვალა, რომელთაგან 300 დამანგრეველი იყო. მცირე მსხვერპლიანობა ამ მიწისძვრის შედეგად აისსნებოდა იმით, რომ მიწისძვრის რაიონებში არ იყო მსხვილი ქალაქები.

1894 წელი. ზამთრიდან დაწყებული გაზაფხულამდე აღარ ატიკის ზღვის სანაპირო ზოლში სუსტი ბიძგები იგრძნობოდა. 20 აპრილს კი მთელი საბერძნეთი შეარყია ძლიერმა მიწისძვრამ, ერთი კვირის შემდეგ უძლიერესი ბიძგის შედეგად ნაპირის დიდი ნაწილი ატლანტის სრუტეში ზღვაში შთაინთქა. აღრიატიკის ზღვის სანაპირო ზოლში 6 ათას კვადატულ კილომეტრ ფართობზე განლაგებული სოფლები ნაგრევებად იქცა. ამ დროს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ქარხნის მილები იქცეოდა, შენობები ინგრეოდა და ზევსის ტაძრის უზარმაზარი სვეტები ლერწამივით ქანაობდნენ. გეოლოგი სკუფოსი, რომელიც ამ მიწისძვრას მოებში შეესწრო, შემდეგ წერდა: „გევონებოდა, რომ უზარმაზარ, მდუღარე წყლით სავსე ქვაბის სახურავზე ვიდექით. დარტყმები ვერტიკალურად, ქვევიდან ზევით იგრძნობოდა. მე და ჩემს თანამგზავრებს, ჩემინის ბურთებივით ხან ზევით გვისროდა, ხან ძირს ვეცემოდით. 27 აპრილს საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე ჩენ 365 მიწისქვეშა დარტყმა დავითვალეთ“...

პომეროსმა თავისი პოემით უკვდავჭყო იტაკა, ხმელთაშუაზღვის იონიის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული. იტაკის მეტე ოდისეესი აქედან გაემგზავრა ტრიადის ომში და მრავალი წლის მოგზაურობისა და თავგადასავლების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის სამშობლოს. სწორედ ამ კუნძულს დაატყუდა თავს დიდი კატასტროფა 1953 წლის აგვისტოში. პირვე-



ლი ბიძგი 9 აგვისტოს იგრძნეს, რომელმაც ორადმიშვილი დაანგრია. კუნძულის მოსახლეობა შეშინდა, მაგრამ რიწისწერა აღარ განმეორებულა და დანგრეული შენობების აღდგენას შეუდგნენ. ლამემ მშევიდად ჩაიარა. არც მეორე დღეს მომხდარა რა რამე. ვეტის მოსახლეობამ უდრტვინველად დაიძინა; დოლით კი მათი დიდი უმრავლესობა ცოცხალი აღარ იყო... უძლიერესმა მიწისქვეშა ბიძგმა რამდენიმე წამში გაანადგურა კუნძული. კეფალონის და იტაკის კუნძულების ქალაქები და სოფლები ხანძარში და მტვრის კორიანტელში გაეხვია. მიწისძრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ვებერთელა ტალღა თავს დაატყდა ნაესადგურ ვეტის. მეზობელი კუნძულებიდან და კონტინენტიდან მოსული მაშველი რაზმები ეხმარებოდნენ დაჭრილებს, ნანგრევებიდან ამოპქონდათ დაღუპულთა გვაშება.

12 აგვისტოს დილას სახელდახელო პროცესიები გაემართნენ მახლობელი სასაფლაოებისკენ, შაგრამ იტაკის და კეფალონის მკვიდრთ არ ეწერათ თავიანთი დაღუპული ნათესავებისა და მეგობრების დასტულაფება. 9 საათსა და 23 წუთზე გამაყრუებელმა გრგვინვამ ამცნო მათ ახალი მიწისძრის დაწყება, რომელიც კატასტროფული გამოდგა. მიწის ზედაპირი ზღვა-სავით აღელდა, დაინგრა ყველაფერი, რაც კი პირველ ბიძგს გადაურჩა. გაჩნდა დიდი ნაპრალები, მეწყრები, ზვაცები, რომლებმაც რამდენიმე წამში მკვეთრად შეუცვალეს საჟ კუნძულებს. ნიადაგთან ერთად ზღვაში ცურაობდნენ ვენა ხები და ბალები. ენოსის მთა კეფალონიაში ორად გაიპო, ხოლო იტაკის ნაწილი თავის სოფლებიანად ზღვაში ჩაიძირა. ოდისეესის სამშობლო აღიგავა მიწისაგან პირისა.

ასეთი კატასტროფა მეშვიდეჯურ დატყდა თავს იონის



კუნძულებს. ძლიერი მიწისძვრები ამ კუნძულებშია განიცადეს 1592, 1636, 1767, 1825 და 1867 წლებში.

1956 წლის 9 ივნისს კიქლადის კუნძულებს ეგეოსის ზღვაში, ათენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ძლიერი მიწისძვრა დატყდა თავს. ორმა ძლიერმა ბიძგმა 13 წუთის ინტერვალით დიდი ზიანი მიაყენა კუნძულ სანტორინს, რომელზეც ამავე სახელწოდების ვულკანი მდებარეობს. მიწისძვრის შედეგად ვულკანის მოქმედებაც გაძლიერდა, იგი აფრქვევდა გავარვა-რებულ მტკერს და ფერფლს. მაგრამ ეს მიწისძვრა არ იყო ვულკანის ამოფრქვევის შედეგი; იგი გამოწვეული იყო ტექ-ტონიკური მიზეზებით, რომლებზეც შემდგომ გვექნება ლა-პარაკი. მიწისძვრამ გამოიწვია ცუნამი; 25 მეტრი სიმაღლის ტალღა საშინელი სისწრაფით გადავიდა ამორგოსის და ასტი-ფალების კუნძულების ნაპირებზე. ტალღის სიმაღლე კ. ფოლე-მანდრისთან 10 მეტრს აღწევდა, კ. პათმოსთან — 4 მეტრს, ხო-ლო კრიტოსის აღმოსავლეთ სანაპიროსთან — 2 მეტრს. ამ გიგანტურმა ტალღამ ჩაძირა 30 ხომალდი, დაიღუპა 53 კაცი, დაიჭრა 100, მთლიანად დაინგრა 500 სახლი და ძლიერ დაზიანდა 1500 შენობა.

1957 წლის 21, 25 და 26 აპრილს სამხა მძლავრმა ბიძგმა დაანგრია 3 ათასი სახლი, კუნძულ როდოსზე და თოვრგეთის სანაპიროზე დაიღუპა 20 და დაიჭრა 100 კაცი. პირველი ორი ბიძგი იმდენად ძლიერი იყო, რომ ივრძნეს 1 მილიონ კმ<sup>2</sup> ფარ-თობზე.

აღსანიშნავია, რომ 1947—1957 წლების მანძილზე საპერ-ქნეთმა განიცადა 9 ძლიერი სეისმური კატასტროფა.

იტალიას ვულკანების ქვეყანას უწოდებენ, მაგრამ არც მიწისძვრებითაა იგი „ლარიბი“. 1456 წელს ნეაპოლში მიწის-



ძვრისგან 30 ათასი კაცი დაღუპულა; 1783—1786 შემოწმებული განუწყვეტელმა ბიძგებმა, რომელთა რიცხვმა რეკორდი დააკარა (1187 ბიძგი), კალაბრიაში 60 ათასი კაცი იმსხვერპლა.

1908 წლის 28 დეკემბერს სიცილის უძველეს ქალაქ მესინის მოსახლეობას მშეიღად ეძინა. დილის 5 საათსა და 21 წუთზე მესინაში და რეგო-დი-კალაბრიაში დედამიწამ „თრთოლვა“ დაიწყო, რომელიც ათი წუთის განმავლობაში ძლიერდებოდა, შემდეგ კი შეწყდა. ორი წუთიც კი არ იყო გასული, რომ უეცარმა უძლიერესმა ბიძგმა გაანადგურა ქალაქები, სოფლები. მესინის თითქმის ყველა შენობა დაინგრა. ამ მიწისძვრისგან მესინაში და მახლობელ დასახლებულ პუნქტებში დაიღუპა 84 ათასი კაცი, თვით მესინაში კი 40 ათასი, ქალაქის მოსახლეობის მეოთხედი.

მაქსიმ გორკი, რომელიც ამ მიწისძვრის დროს კუნძულ კაპრზე იმყოფებოდა სამკურნალოდ, ასე აღწერა ეს კატასტროფული მიწისძვრა: „... დედამიწა ყრუდ გუგუნებდა, კვნესოდა, ფეხქვეშ იზნიქებოდა და დელავდა, აჩენდა ლრმა ნაპრალებს—თითქოს სიღრმეში გაიღვიძა და წრიალი დაიწყო საუკუნეების მანძილზე ძილში მყოფმა რაღაც ვეებერთელა ბრძამატლმა, იგი დაცოცავს იქ, სიბნელეში, იზნიქება მისი კუნთები და გლეჭენ დედამიწის ქერქს, შენობები ისრებოდნენ, მათ თეთრ კედლებზე დიდი ბზარები ჩნდებოდა ელვასავით, და კედლები ინგრეოდა, ნანგრევები აესებდა ვიწრო ქუჩებს და თავზე ეყრებოდა ადამიანებს ...

... მიწისქვეშა გუგუნი, ქვების გრიალი, ხის ლრკიალი ნოქავ-ლნენ მოთქმას შველაზე, შეშლილთა ყვირილს, დაჭრილთა კვნესას...

... ადამიანები და ქვები ირევიან გროვებად და სულ

უფრო ხშირად, უფრო ძლიერად თრთიან სახლები, ეკუთხურით გვები, მათ ძირში კვეთს რაღაც უხილავი ცელი — ვერაფერი ვერ აღუდგება წინ გიგანტურ მოქნევებს...

დედამიწა ლელავს, როგორც ზღვა, თავის მკერდიდან ყრის სასახლეებს, ქოხებს, ტაძრებს, ყაზარმებს, ციხეებს, სკოლებს, ყოველი ძერით ანადგურებს ასობით და ათასობით ქალს, ბავშვებს, მდიდარს და ღარიბს, უწიგნურთ და მეცნიერებს, მორწმუნებს და მათაც, ვინც ღმერთს უარყოფს”...

მიწისძერის ეპიცენტრი მდებარეობდა მესინის სრუტის ფსკერზე, სიცილიისა და კალიბრიის ნაპირებს შორის. მიწისძვეშა ბიძგის შედეგად სრუტეში წარმოიშვა 12 მეტრი სიმაღლის ტალღა, რომელიც ნაპირებზე გადმოვიდა. სრუტის ფსკერმა მკვეთრად იცეალა სახე, ნაწილმა კი ამოიწია. ტელეგრაფის წყალქვეშა კაბელები, რომლებიც სიცილიას კონტანენტთან აკავშირებდნენ, მრავალ ადგილას გაწყდა, თვით მესინის სანაპირო კი ზღვაში ჩაიმალა. საინტერესოა, რომ ამ დროს მესინის მახლობლად იდგა რუსეთის სამხედრო ესკადრა. რუსმა მეზღვაურებმა გადაარჩინეს 800 კაცი, რომლებიც შენობების ნანგრევებიდან ამოიყვანეს.

ბელგიელი ვულკანოლოგი პარუნ ტაზიევი, რომელიც თბილისში დაიბადა და ქვე გაატარა ბავშვობის წლები, კარგადაა ცნობილი საბჭოთა მეითხველისათვის როგორც მოქმედი ვულკანების გამბედავი მკელევარი. უკანასკნელ წლებში ივი მიწისძვრებითაც დაინტერესდა და 1962 წელს პარიზში წიგნიც გამოაქვეყნა სათაურით: „როცა დედამიწა თრთის“. ტაზიევი ერთგან წერს: „ასობით მსხვერპლიანი კატასტროფების ჩამოყვალის შემდევ მეითხველი. ალბათ, დიდ მნიშვნელობას იღია მიანიჭებს „სუსტი“ ბიძგებს (სამწუხაროდ, ძალიან მრავალრი-



ცხოვანს), როცა ზიანდება ან ინგრევა რამდენიმეტი უკავებელი მსხვერპლიც თითებზე ჩამოითვლება. მაგრამ ეს ხომ თითქმის ყოველდღიურად ხდება ჩვენი პლანეტის სეისმურად არა-მდგრად რაიონებში. ყველა ცდილობს არ იფიქროს ამაზე. მაგრამ ასეთი ცხოვრება დაუვიწყარი ტრავედიების ჯაჭვად რჩება მათთვის, ვისაც ნატეხების გროვიდან და მძიმე ლოდებს ქვემოდან ამაულია თავისი ბავშვის, ცოლის, დედის სხეული... ასეა იტალიაში, რომლის თანამედროვე სეისმურ ის-ტორიაში მესინის კატასტროფას მთავარი ადგილი უკავია; მაგრამ აქ, სადაც ძალიან ხშირად თამაშდება ადამიანთა ტანჯვეს ტრალედიები, მთელი ნახევარუნძული, რომ აღარაფერი ვთქვათ კუნძულებზე, განიცდის მომაკვდინებელ ბიძგებს: ემილია-რომანია, ლიგურია, ტოსკანა, პორტუგალია, კალაბრია».

ჰარუნ ტაზიევი ზემოთ აღნიშნული წიგნის მეორე გამოცემაში, ალბათ, შეიტანს იტალიაში მომხდარ ახალ კატასტროფას, 1968 წლის მიწისძვრას.

„იტალიის ტრავედია“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა განეოთმა „იზვესტიამ“\* ცნობა იტალიაში მომხდარი კატასტროფის შესახებ:

„სამხრეთ იტალიას თავს დაატყდა დიდი უბედურება, სუსტი მიწისქვეშა ბიძგები გადაიზარდა საშინელი ძალის მიწისძვრაში. განსაკუთრებით დაზარალდნენ მონტევაგო, მენფი, ჭიბელინა, პოჯორეალე, სალაპარუტა, სანტა ნინფა და სხვა დასახლებული პუნქტები. წინასწარი მონაცემებით დაიღუპ 500 კაცი, დაჭრილია 1000-ზე მეტი, 10 ათასამდე კაცი უსაწლე-

\* განეოთმა „იზვესტია“, № 13(15712), 1968 წ. 17 იანვარი.

კაროდ დარჩა. „მეგონა, რომ ჭოჭოხეთის თავზე დაფურინავდი, — ვანაცხადა სამხედრო მფრინავმა, რომელმაც ვერტმფრენით ვაღალუფრინა კატასტროფის რაიონებს. — ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს აქ ამ წუთში ატომური ბომბი აფეთქდა“.

მონტევაგოში დანგრეულია 800 სახლი. ნანგრევებიდან ჯერ-ჯერობით 213 გვამი ამოილეს. ჯიბელინა (დაბა) დანგრეულია 95 პროცენტით, მოკლულია 20, უგზო-უკვლოდ დაკარგულია 150 კაცი. სხვა ქალაქებშიც შენობები 80—90 პროცენტითაა დანგრეული. მსხვერპლის რაოდენობა არ იციან, რადგან ჯერ-ჯერობით კატასტროფის ადგილებამდე მხოლოდ ჰელიკოპტერით შეიძლება მიღწევა, ყველა გზა დანგრეულია“.

აი, რას წერდა „იზვესტიის“ კორესპონდენტი ლ. კოლოსოვი წერილში „ტრაგედია სიცილიაში“, რომელიც მან 19 იანვარს ტელეფონით გადმოსცა მიწისძერის რაიონიდან: „პალერმო ცხოვრობს როგორც საალყო მდგომარეობის დროს. ქუჩებში უჩვეულო სიცარიიელეა. ახალი მიწისქვეშა ბიძგების მოლოდინში ბევრმა დატოვა სიცილიის დედაქალაქი.“

შარაგზა, რომელიც პალერმოდან მიწისძერის რაიონში მიდის, ჯერ კიდევ ვერ იქცა დახმარების არტერიად, იშვიათად, ძალზე იშვიათად შეგხვდება საბარგო მანქანა წარწერით; „მიწისძერისგან დაზარალებულ ძმებს“... უკან რჩება პატარა ქალაქები, სადაც მიწისქვეშა ბიძგები ნაკლები სიძლიერის იყო. აქ ჯერ არ ჩანს დიდი ნგრევები.

მონტევიდეოში საღამოს ჩამოვედით. ამ დასახლებული პუნქტის ყოფილ ცენტრამდე მიღწევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელი ქალაქი შიგნიდან ააფეთქეს. ყველა სახლი, გამონაკლისის გარეშე, დაინგრა. აქ უფრო მეტი მეხანძრე და კარისკაცია, ვიდრე



სანტა-მარგერიტში, მაგრამ ისევ და ისევ ერთადერფენა უსამისეა  
შევე ექსკავატორი. ვიღას გადარჩენა შეიძლება ამ სამზე მე-  
ტი დღე-ლამის გასვლის შემდეგ? „ჩვენ უსარგებლო შრომას  
ვეწვეთ, სენიორ.—მითხრა ერთმა მეხანძრებმ,—აქ უნდა ააფე-  
თქო კედლების ნაჩენები და საფლავზე ერთი საერთო  
ჯვარი აღმართო“...

ასეა თუ არა, ამის თქმა ძნელია. მაგალითად, გუშინწინ  
აქ ნანგრევებიდან ამოიყვანეს მოხუცი ქალი. მას მოელი ოჯა-  
ხი დაელუპა, ძალზე მოხუცი ქალი კი, რომელსაც 104 წელი  
შეუსრულდა, სასწაულით გადარჩია. მეხანძრებმა ნანგრევებში  
მიაგნეს პატარა გოგონას, არავინ იცის, სად არიან მისი მშობ-  
ლები იმიტომ, რომ ნანგრევებში სხვა ცერავინ ნახეს.

ქალაქის შესასვლელში დგას დიდი და პატარა კუბოები.  
მსხვერპლის ძირითადი ნაწილი მოხუცები, ქალები და ბავშ-  
ვები არიან. აქვე ხდება გვამების ამოცნობა, გვამები კი სულ  
მოაქვთ და მოაქვთ...

მონტევაგოდან 2 კილომეტრზე, ცარიელ მინდორზე გაი-  
ზარდა კარვების დიდი ქალაქი. თითოეულ კარავში ოცი კაცია.  
გამხდარი სახეები, მიმქრალი თვალები. ყველა ჩურჩულით  
ლაპარაკობს, როგორც შიცვალებულის სახლში. რამდენიმე  
მოხუცი ქალი და კაცი შეგროვილა გადასატან სალოცავთან.  
ახალგაზრდა მღვდელი მტკრიან ანაფორაში იწყებს წირვის...  
მოვიდა პროდუქტებით დატეირთული საბარგო მანქანა დაზა-  
რალებულთათვის. არიგებენ მაკარონიან პაკეტებს, მაგრამ სად  
მოხარშონ? გარისკაცებმა მოიტანეს კარვები, მაგრამ დავიწყ-  
დათ საველე სამზარეულოები. აქა-იქ კოცონი ანთია, ადამია-  
ნები რიგ-რიგობით ათბობენ რძეს ბავშვებისათვის.

ასეთიცე მდგომარეობაა სხვა კარვის ქალაქებშიც, დასაპ-

ლებულ პუნქტებთან, რომლებიც მიაღწიანად დაანგრია მშენებლების ძვრამ.

დაიწყო სიცილიის ტრაგედიის შეორე მოქმედება, მათი ტრაგედია, ვინც გადარჩა მათ დაკარგეს ყველაფერი — მათ არა აქვთ არც საცხოვრებელი, არც ტანსაცმელი, არც ფული. „წარმომიშვა ახალი უძნელესი პრობლემა — დაზარალებული ქალაქებიდან ლტოლვილთა პრობლემა“. — განაცხადა და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის გენერალურმა დირექტორმა, იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბელიზარიომ. მისი მონაცემებით, ესახლვაროდ დარჩა 12 ათასი კაცი. საჭიროა ამ ხალხის არა მარტო გამოიკვება და შემოსვა, — აუცილებელია ფიქრი მათ მომავალზეც. საჭიროა მთავრობის სერიოზული ღონისძიებები სიცილიის დაზარალებული რაიონების ეკონომიკის აღსადგენად, ქალაქების მშენებლობისათვის, ჩრდილო-დასავლეთ სიცილიის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების დასადგენად.

ახლახან მიღებულია ცნობა, რომ იტალიაში მიღის დაზარება საბჭოთა ორგანიზაციებისგან, პროფესიონელებისგან, საბჭოთა წითელი ჯვრისგან, ახალგაზრდობისგან. კარვები, საბნები, მედიკამენტები, კვების პროდუქტები—ერთი სიტყვით, რაც პირველ რიგშია აქ საჭირო“.

იტალიაში მომხდარი ეს მიწისძვრა და მისი შედეგები ასე დაწერილებით იმიტომ აღვწერეთ, რომ სუთიოდე წლის წინ მოხდა იგი. კაცობრიობის ისტორიაში კი ერთ-ერთ უძლიერეს მიწისძვრად ლისაბონის 1755 წლის მიწისძვრა ითვლება. შემონახულია ცნობები, რომ პირენეის ნახევარ-კუნძული უფრო ადრეც განიცდიდა ძლიერ მიწისძვრებს,



მაგალითად, 1427, 1551, 1666, 1674 წლებში, როგორც დამუშავდა  
ლუპა 10 ათასი კაცი. ასევე, ძლიერ მიწისძვრებს აქ აღიალი  
ჰქონდა ლისაბონის მიწისძვრის შემდეგაც: 1757, 1790,  
1804, 1828, 1884, 1885 წლებში (როცა განადგურდა ანდა-  
ლუზია). მაგრამ დავუბრუნდეთ ლისაბონის მიწისძვრას.

1755 წლის 1 ნოემბერს, ლილას პორტუგალის დედაქა-  
ლაქი ყველა წმინდანის დღეს დღესასწაულობდა. ეკლესიები  
ხალხით იყო გატედილი. 9 საათი და 40 წუთი იყო, როცა  
მიწა მძლავრად იძრა და ქალაქი ნანგრევების კორიანტელში  
გაეხვია. ცოტა ხნის შემდეგ ზღვამ უკან დაიხია იმდენად,  
რომ ფსეურიც კი გამოჩნდა. ჩამდენიმე წამში ნაპირს 30  
მეტრი სიმაღლის ტალღა ეკვეთა, რომელიც საფრანგეთისა  
და ინგლისის ზოგიერთი სანაპიროდანაც კი დაინახეს. ამ  
გიგანტურმა ტალღამ წალეკა პორტუგალის სანაპირო  
ქალაქები და სოფლები და მაროკოს სანაპიროზეც კი რამდე-  
ნიმე ათასი კაცი გამოისალმა სიცოცხლეს. თვით ლისაბონში  
ამ ტალღამ და დანგრეულმა შენობებმა ქალაქის მოსახლეობის  
მეოთხედი — 50 ათასი კაცი იმსხვერპლა.

ლისაბონის ამ მიწისძვრის ძალაზე ისიც მეტყველებს, რომ  
მან ჩრდილო აფრიკამდე მიაღწია, მაროკოს ზოგიერთ ქალაქ-  
ში შენობებიც კი დაანგრია, ხოლო შვეიცარიაში, ისლანდია-  
ში, შოტლანდიაში, პოლანდიაში, გერმანიასა და სკანდინავიაში  
ტბებისა და ყურეების წყლის ჩევა გამოიწვია. წყლის ჩევა  
იმდენად ძლიერი იყო, რომ ამსტერდამში, როტერდამში და  
ლორტმუტში ხომალდების ლუზების ჭაჭვები დაწყვიტა.

პირენეის ნახევარკუნძული 1954 წლის 29 მარტსაც იძრა.  
თუმცა ეს მიწისძვრა ძლიერი იყო, მაგრამ მსხვერპლი არ მოჰ-  
ყოლია. მიწისძვრის ეპიცენტრი სამხრეთ ესპანეთში, გრანადის



გახლობელად მდებარეობდა; რყევები იკრძნობოდა მაღრეტენტულობის  
დროისათვის და ალექირამდე. ეს მიწისძვრა ეკუთვნოდა ლომა-  
ფოკუსურ მიწისძვრათა კატეგორიას, რაზედაც შემდეგ თავში  
გვეჩება საუბარი.

## ა ჯ ი ა

ძლიერი მიწისძვრების ვანსაკუთრებული სიხშირით გამოი-  
ირჩევა აზის კონტინენტი. მარტო სტამბოლში რომის იმპე-  
რიის პერიოდიდან დღემდე 12-ჯერ მოხდა კატასტროფული  
მიწისძვრა. ანტიოქია 9-ჯერ დაინგრა. 342 წელს დაიღუპა  
40 ათასი კაცი, 565 წელს — 30 ათასი. შემონახულია ცნობები,  
რომ ჩვენი წილთაღრიცხვის 17 წელს მცირე აზიაში მიწის-  
ძვრამ 13 ქალაქი დაანგრია. 1201 წლის ივლის-ავგისტორი  
კატასტროფულმა მიწისძვრამ მცირე აზიაში ასეულ ათასობით  
ადამიანი იმსხვერპლა. 1759 წელს ქ. ბაალბექში დაიღუპა 20  
ათასი კაცი.

არანაკლებ სეისმურ კატასტროფებს განიცდის ირანი.  
1641 წელს აქ დაიღუპა 30 ათასი კაცი, 1926 წლიდან 1960  
წლამდე 12 ათასი. 1957 წელს 2 ივლისს, ძლიერმა მიწისძვრამ,  
რომლის ეპიცენტრი ვულკან დემავენდის ძირში მდებარეობ-  
და, დაანგრია 500 სოფელი და მთებში დიდი ზვავები  
გამოიწვია.

1911 წლის 5 თებერვალს პამირში მომხდარი მიწისძვრის  
შედეგად მთიანი მასივის ნაწილი, რომელსაც 3 კუბური კილო-  
მეტრი მოცულობა ჰქონდა, ქედს მოწყდა და მდ. ბარტანგის  
ხეობისაკენ დაეჭანა. ამ ვეებერთელა ზვავმა მცხოვრებლები-



თურთ გაანადგურა ყიშლაყი უსოი და ვადაკეტა მუსახლესთა  
გი. ეს ბუნებრივი კაშხალი იძღვნად მკვრივი გამოდგა, რომ  
შრავალი თვის განმავლობაში წევეთ წყალსაც კი არ გამოუქა-  
ნას მეორე მხარეს. წარმოიშვა ტბა, რომელიც სწრაფად იზრ-  
დებოდა. ჩამდენიმე წლის შემდეგ ამ ტბამ დაფარა ყიშლაყი  
სარეზი, რომლის სახელსაც დღეს ეს ტბა ატარებს. სარეზის  
ტბის სიგრძე 50 კილომეტრს ილემატება, ხოლო სიღრმე  
500 მეტრია.\*

1897 წლის 12 ივნისს ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის  
ვეეპერთელა ტერიტორია 3 მილიონი კმ<sup>2</sup> ფართობის მქონე,  
უძლიერესში მიწისძერამ შეარყია. ჰიმალაის ძირში განლაგებულ  
ასამის პროვინციაში, 200 ათას კმ<sup>2</sup> ფართობზე დედამიწის ზედა-  
პირმა მკერთრად იცვალა სახე; იგი დაისერა გრძელი ნაპრალე-  
ბით, საიდანაც ამოსროლიმა ქვიშამ, ტორფმა და ტალახმა 3  
მეტრი სიმაღლის ბორცვები გააჩინა, მდინარე ბრაჟმაპუტრაზე  
გაირჩინა 3 მეტრი სიმაღლის მქონე ტალღამ, რომელმაც ნა-  
პირებს უდიდესი ზიანი მიაყენა. ფერდობებზე განლაგებული  
ტყეები ნიადაგიანად დაცურდნენ, 25 ათას კმ<sup>2</sup> ფართობზე  
აგურისა და ქვის შენობები მთლიანად დაინგრა. დაიღუპა  
1542 კაცი.

1934 წელს განმეორებითმა ძლიერმა მიწისძერამ ჩრდი-  
ლოეთ ინდოეთში კვლავ გააჩინა ნაპრალები, საიდანაც  
ამოსულმა თხელმა ტალახმა მთლიანად გაანადგურა ნათესე-  
ბი. 1950 წლის მიწისძერამ მოიცვა 3 მილიონ კმ<sup>2</sup>-ზე მეტი  
ფართობი, მთელი ინდოეთი, ზირმა, პაკისტანი, ტიბეტი და

\* ტბების წარმოშობა მიწისძერის შედეგად ხშირია. 1931 წელს ახალ-  
ზელანდიაში მიწისძერის შედეგად გაჩნდა ეგტაპის ტბა, 2 კმ სიგრძე-სიგა-  
ნის. 1938 წელს ეს ტბა გაქრა იგივე მიზეზით.



ჩინეთი. მიწისძვრის შემდეგ გაჩენილმა შეწყერებმა 70 უწყლიობობა ფელი გაანადგურა.

მაგრამ თავისი კატასტროფიზმით ბადალი არა ჰყავს განსუს (ჩინეთი) მიწისძვრას, რომელიც 1920 წელს მოხდა. დაიღუპა 200 ათასი კაცი, ქალაქები და სოფლები უკვალოდ შთაინთქა, რელიეფი მთლიანად გარდაიქმნა. დიდი მსხვერპლი გამოწვეული იყო მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით, რაღაც განსუს პროვინცია წირმოადგენს „ლიოსის ქვეყნის“ ცენტრს, ლიოსი კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაყოფიერების სიმბოლოა ჩინეთში. გობის უდაბნოდან მრავალი ათასეული და მილიონი წლების მანძილზე ქარებით გადმოტანილი და დალექილი მტვერი ქმნის ლიოსის დიდი სიმბლავრის ფენებს, რომელიც ფრიად ნაყოფიერი ნიადაგია. ამ მიწისძვრის შედეგად ლიოსის ვეებერთელა ბორცვები ამოძრავდა, გადაადგილდა და უამრავი მეწყერი გამოიწვია. მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობდა ლიოსში გამოთხრილ გამოქვაბულებში. ერთ-ერთ დიდ გამოქვაბულში ცხოვრობდა სახელგანთქმული მუსულმანური წინასწარმეტყველი მადლომოსილი თავისი 300 მიმღევარით. ეს გამოქვაბული ჩაიმალა ლიოსის მეწყერში და ნათესავები მთელი თვის განმავლობაში თხრიდნენ, ეძებდნენ შესასვლელს, რომ ცოცხლად დამარხულნი გადაერჩინათ, მაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთ რაიონს უწოდეს „სიკვდილის ველი“, რადგან აქ გაჩენილმა შეიდმა უზარმაზარმა მეწყერმა დაანვრია მთების ფერდობები და ვაანადგურა სოფლები. საინტერესო და იშვიათი შემთხვევაა, რომ ერთ-ერთი სახლი დაძრულმა მეწყერმა დაუზიანებლად გადაიტანა 800 მეტრზე. სახლში მყოფი მამაკაცი და ბავშვი გაოუნებულნი იყვნენ საშინელი გრიალისა და წუკია-



დისგან და ვერც კი მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა. გმირული მუნიციპალიტეტისას მათ ვერ იცნეს მიღამო. 400 მეტრი გზის ნაწილი, ოობლის გასწვრივ ალვის ხეები იყო ჩამწკრივებული, 1500 მეტრზე ნირშეუცვლელად იყო გადატანილი.

აღსანიშნავია 1692 წლის მიწისძვრა, როცა იამაიკის ყოფილი დედაქალაქის პორტ-როიალის დიდი ნაწილი ზღვაში შთანთქა. ამჟამად გათვალისწინებულია ქალაქის ზოგიერთი ძველი რაიონის აღდგენა ტურისტთა მისაზიდავად.

მსოფლიოში ყველაზე ხშირ და ძლიერ მიწისძვრებს განიცდის იაპონია, შემონახული მანუსკრიპტებით ირკვევა, რომ V საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე აქ აღმართი 2000-ზე მეტი მიწისძვრა, რომელთაგან 223 კატასტროფული იყო. ადვილი მისახვედრია, რომ მიწისძვრა უფრო კატასტროფულია და ლიდმსხვერპლიანი მჭიდროდ დასახლებული ქვეყნებისათვის. სწორედ ასეთია იაპონია, „ამომავალი მზის ქვეყანა“. ყველაზე ცნობილია 1923 წლის 1 სექტემბრის ქვანტის მიწისძვრა, რომელმაც მთლიანად დაანგრია ტოკიო, იოკოჰამა და სხვა ქალაქები. ამ მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 150 ათასი კაცი, 100 ათასი კი მძიმედ დაიჭრა. მსხვერპლის მეტი ნაწილი გამოწვეული იყო გრანდიოზული ხანძრით, რომელიც შენობების დანგრევის შემდეგ გაჩნდა. ვულკანური კუნძული ორისმა 4 მეტრით გადაადგილდა ჩრდილოეთისკენ, საგამის ყურის ფსკერმა კი მთლიანად იცვალა სახე: ზოგან 450 მეტრით აიწია, ზოგან კი 720 მეტრით დაიწია (სურ. 23).

გავიხსენოთ ისტორიის მიერ შემონახული იაპონიის კიდევ ერთი მიწისძვრა. 1854 წლის 22 დეკემბერი. ოსაკა. მშენებელი ამინდია, იაპონელი მეთევზები ზღვაში გასულან. ნავსადგურში საოკეანო ხომალდებს ჩაუშვიათ ლუზები. ირგვლივ სიმ-



სურ. 23. იაპონია 1891 წლის 28 ოქტომბრის მიწისძვრის შედეგად  
დანგრეული ხიდი

ჟიდე სუფევს, და უეცრად... ბიძგი და ქალაქი ოსაკა დანგრეულა. მაგრამ ხდება უცნაური რამ: მეთევზეები ნავებს ვეღარ მოჩჩილებენ, ზღვა უკან იხევს.

— ცუნამი!.. — გაისმის გულისგამგმირავი კივილი.  
 უკან დახეული წყალი ვება მთად ახლოვდება, ნაპირისკენ  
 მოაქანებს ღუზააწყვეტილ გემებს, მეთევზეთა ნავებს. ადა-  
 იანთა თავეგანწირულ, სასოწარკვეთილ კივილს საშინელი  
 მაური ფარავს. რამდენიმე წუთი, და ზღვის წყალი ტოვებს  
 დანგრეულ, განადგურებულ ნაპირს და თან მიაქვს ათასობით  
 ადამიანის სიცოცხლე, ნაფოტებად ქცეული გემები, ნავები.



ეს ცუნამი კარგად აქვს აღწერილი კატასტროფული უზრუნველყოფის ხომალდ „დიანას“ ოფიციერს, რომელიც გემთან და ეკიპაჟის ნაწილთან ერთად სასწაულით გადატანა. აი რას გვიამბობს იგი „9 საათსა და 15 წუთზე ჩვენ პირველი ძვრა ვიგრძენით. ბიძა გი უაღრესად ძლიერი იყო და 2—3 წუთს გაგრძელდა. 10 საათზე კი გიგანტური ტალღა ეკვეთა ყურეს და ჩამდგრინდა წამში მთელი ქალაქი წყალქვეშ აღმოჩნდა. რეიდზე მდგრად მრავალრიცხოვინი ხომალდები ერთმანეთს დაეჯახნენ და ძალიან დაზიანდნენ. წამში წყლის მთელი ზედაპირი მოტიტივე ნატეხებით დაიფარა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ყურეში წყალი ამოიბერა და დუღილი დაიწყო, თითქოს ფსკერიდან ათასი წყარო ამოღილდა, წყალი შერეული იყო ტალახთან, ჩალასთან და ათასნაირ ნატეხებთან. წყალი საშინელი ძალია ეკვეთა ქალაქს და მის შემოგარენს და ყველა სახლი დაანგრია 11 საათსა და 15 წუთზე ღელვამ ყურეში აღვილიდან მოწყვეტა ჩვენი ხომალდი და ერთი ღუზა დაეკარგეთ, მალე მეორეა მაშინ ხომალდმა ტრიალი დაიწყო და წყლის შეუჩერებელ ძალით გატაცებული, სულ უფრო და უფრო მზარდი სიჩქარით გაექანა. მასობაში ანაორთქლის ხშირი ღრუბლები ქალაქის თავზე შეგროვდნენ და პაერი გოგირდოვანი ორთქლი გაიკლინთა.

წყლის მასების სწრაფმა აწევ-დაწევამ ყურეში მრავალრიცხოვინი მორევი გააჩინა, და მორევში მოხვედრილმა ჩვენ მა ხომალდმა ისეთი სისწრაფით დაიწყო ტრიალი, რომ გემბის ზე ყველაცერი წაიქცა. ხომალდმა 43 ბრუნი გააკეთა და სერო ოზულად დაზიანდა. მუადლემდე ყურეში წყალი ხან მატულოდა, ხან კლებულობდა და მისი დონე 8-დან 40 ფუტამდე მეტული იჩდა. 2 საათისათვის კვლავ მკვეთრად დაწია წყალმა, რამაც



აშინელი დელვა გამოიწვია და ჩეენს ხომალდს ორერთხშექრიცხული  
სროდა გვერდიდან გვერდზე, ღუზა კი მხოლოდ 4 ფურც  
სიღრმეზე დავინახეთ. ბოლოს და ბოლოს ზღვა დაწყნარდა,  
ხომალდი ინარჩუნებდა მდგრადობას, რომელსაც ღუზის  
ჯვევებისა და აფრების ქსელი პეონდა შემოხვეული. ყურე  
წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მოტიტვლებულ, ნანგრე-  
ვბით დაფარულ მინდორს“.

რას წარმოადგენს ცუნამი და როგორ ჩნდება იგი?

თუ ძლიერ მიწისძვრას ოკეანის ფსკერის არეში ექნება  
დაგილი, შედარებით მცირე სილრმეზე, წარმოიშობა ბუნების  
კანსაკუთრებული მოვლენა, რომელსაც იაპონელები „ცუნამის“  
ეწოდებენ, რაც წყლის ვეებერთელა ტალღას ნიშნავს. იგი  
შეიძლება გაჩნდეს აგრეთვე წყალქვეშა ან კუნძულისებრი  
ეულკანის აფეთქებითაც. ამ დროს მოძრაობაში მოდის მთე-  
ლი ოკეანის წყალი ფსკერიდან ზედაპირამდე. ლია ზღვაში  
იყი არც კი შეიმჩნევა, მაგრამ ნაპირებთან ამ ტალღების სი-  
დიდე სწრაფად იზრდება და ელვისებურად გადმოდის ნაპი-  
რებზე. ზოგჯერ ამ მიზეზით გაჩენილი ტალღების სიმაღლე  
15—20 მეტრს და უფრო მეტსაც აღწევს.

1737 წლიდან დღემდე კურილის კუნძულებისა და კამ-  
ხტკის რაიონში რეგისტრირებულია ცუნამის 14 შემთხვევა,  
მათგან 4 უძლიერესი იყო და დამანგრეველიც. გიგანტური  
ტალღების გავრცელების სიჩქარე საათში 400—500 კილო-  
მეტრს აღწევდა, ჰავაის კუნძულებთან კი 800 კილომეტრსაც.  
ბუნების ეს მრისხანე მოვლენა უმთავრესად წყნარ ოკეანეშია  
შემჩნეული, ალასკის, კალიფორნიის და იაპონიის ნაპირებთან.  
1868 წელს წყნარ ოკეანეში წარმოშობილმა ცუნამის ტალღამ  
20 წუთში მიაღწია პერუს ნაპირებს. მას მოჰყვა მეორე ტალ-



ლა, რომლის სიმაღლე 20 მეტრი იყო. ყველაზე შემდგარენია კავკაზიუნის მთელს ოკეანეში გავრცელდა, 12 საათში მიაღწია ჰავა კუნძულებს. 19 საათში — იხალ ზელანდიას, საღაც კიდევ 3 მეტრის სიმაღლე ჰქონდა და 25 ათასი კაცი გაიტაცა ოკეანეზე ერთი დღე-ღამის შემდეგ ამ ტალღამ იაპონიის ნაპირებს მაღწია.

1896 წელს სან-ფრანცისკოში მომხდარი მიწისძვრების შედეგად გამოწვეული ცუნამი არაჩეც ლებრივად კატასტრაფული გამოდგა. ტალღებმა იაპონიის ნაპირებამდე რეკორდულ დროში, 10 საათსა და 34 წუთში მიაღწია, ე. ი. მათი სიჩქარისაათში 725 კილომეტრი იყო. ზეირთების სიმაღლე 50 მეტრი აღწევდა.

წყნარი ოკეანის უკანასკნელი კატასტროფული ცუნამი წარმოიშვა 1952 წლის 5 ნოემბერს. ქვევით მოგვყავს ამ ცუნამის აღწერა კ. სვიატლოვსკის მიერ: "... ცუნამის გამოწვევი მიწისძვრა ღამით დაიწყო... სოფელ ბოიკოვში დანაპირობებულ სხვა დასახლებულ პუნქტებში დამნგრეველი ცუნამის მოღწევამდე შეიმჩნეოდა ოკეანის უქანასკნელი 500 მეტრამდე... მიწისძვრის დაწყებიდან 40 წუთი შემდეგ ოკეანის მხრიდან მოისმა კანონადის მსგავსი გრძელი... ჩამდენიმე წუთის შემდეგ სანაპიროს თავს დაატყობინა მაღალი ოკეანური ტალღა, რომელსაც თან მოკჟონდა ქვიშების შლამი და სხვადასხვა ნატეხები. ტალღა დიდი სიჩქარით მდინარეზე და სიმაღლეს ძალას და სიმაღლეს მან მიაღწია მდინარეზე მდინარეზე... ჩამდენიმე წუთის შემდეგ ტალღა უკან წავიდა და ოკეანეში თან წაიღო ნანგრევების ნატეხები. ჩამოვარდ სიჩქარე, რომლის შემდეგაც 15—20 წუთში მოვარდა 10 მეტრი სიმაღლის მეორე ტალღა, რომელიც უფრო დიდი სიჩქარე იყო.

რით მოდიოდა, ტალღას წინ მოუძღვდა „ჰაერის ბალტიკურიათიანია“ ჰაერის ტალღა, რომელმაც სახლების ფანჯრები და კარებები გააღავ... მეორე ტალღამ ხის სახლების სახურავების გლეჭით და კედლების ნგრევით მთელ დასახლებულ პუნქტზე გადაიარა და ... ღაიწყო უკან დახევა ... თან მიკენდა ნგრევის ნატეხების უდიდესი ნაწილი. ყველა ნაგებობა, რომელიც მდებარეობდა ოკეანის დონიდან 10 მეტრზე მაღლა, გადარჩა; დასახლების ცენტრში, რომელიც დაბლობზე იყო, მხოლოდ ერთი ქვის სახლის კედლები დარჩა“.

ფიქრობენ, რომ ცუნამის გამომწვევი მიზეზი ოკეანის ფსკერის დიდი ნაწილების აწევ-დაწევით (მიწისძვრის შედეგად) უნდა იყოს გამოწვეული, რასაც მოჰყვება „ზღვისძვრა“. სხვების აზრით, იგი გამოწვეულია ოკეანის წყლის მთელი მასის რხევით, როგორც წყლის სავსე ჭამში ხდება ხოლმე, როცა ამ უკანასკნელის რხევისგან წყალი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადაიღვრება. მაგრამ ეს შეხედულებები ჯერ-ჯერობით ჰიპოთეზებია.

## ა მ ა რ ი ა

ამერიკის კონტინენტი, რომელსაც დასავლეთით კორდილიერებისა და ანდების მაღალი მთაგრეხილები აკრავს, მოკლებული არ არის მიწისძვრებს, ისევე როგორც უულკანებს. ქაური მიწისძვრების აღწერა გვსურს დავიწყოთ 1864 წლის ცნობილი სან-ფრანცისკოს მიწისძვრით, რისთვისაც მოვიშველიებთ უნიკირეს ამერიკელ მწერალს მარკ ტვენს, რომელიც შეესწრო ამ მიწისძვრას. ჩვეული იუმორით, იგი ასე აგვიწერს



სან-ფრანცისკოს მიწისძვრას: „... ყველაფერი მქონედან განსაზღვრული ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, ნაშუადღევს. მე შევიძინები მესამე ქუჩაზე. ჩემს უკან ვიღაც ორთვალათი მოღილდა და კიდევ, ქუჩას კეთდა და აღმართხე ნელა მიბობლავდა კონკა. ამ მციდროდ გაშენებულ და მრავალმოსახლე კარტალში სხვა არავითარი მოძრაობა არ შეიმჩნეოდა. ირგვლივ სიცარიელე იყო, მეფობდა საკეირაო სიჩუმე. ის იყო პატარა ხის სახლთან შევუხვიე, რომ უკნიდან უცნაური გრიალი და ტკაცანი მომესმა და გავიფიქრე: „აი, მასალაა რეპორტაჟისთვის--- ალბათ ჩხუბია ამ სახლში!“ ვერც კი მოვასწარი უკან მობრუნება და კარის მოძებნა, რომ კეშმარიტად შემაძრწუნებელი ბიძგი ვიგრძენი; მიწა ჩემს ფეხქვეშ აღელდა, შემდევ ვერტიკალურად მანქლრევდა, და გაისმა როგორილაც მძიმე უღრიალი, თითქოს ორი იგურის სახლი ერთმანეთს ეჭახუნებოდა გვერდებით. მე გადამისროლა ხის სახლის კედელთან და მაგრად ვიტკინე იდაყვი. ახლა უკვე მივხვდი, რაც ხდებოდა და რეპორტიორის ინსტიქტს დამორჩილებულმა, უნებლიერ ამოვილე საათი და ღრით დავინიშნე; ამავე წუთს ვიგრძენე მესამე, უფრო ძლიერი ბიძგი; დავბარბაცდი და ძლივს დავიცავი წონასწორობა და უეცრად არაჩვეულებრივი სანახაობა დავინახე: მაღალი, ოთხსართულიანი შენობის მთელი ფასელი მესამე ქუჩაზე კარებივით გაიხსნა და მთელს ქუჩაზე მოიფანტა. ამავე ღრის მოვიდა ის ორთვალა—აღამიანი გაცილებით სწრაფად გაღმოისროლა იქიდან, ვიღრე ამის მოყოლა შეიძლება, ორთვალა დაიშალა და თავისი ნარჩენებით სამას იარდზე მოეფინა ქუჩას. შეიძლებოდა კაცი ჰელენებილა, რომ ვიღაცას აწრათ მოუვილა სკამებით და ჩერებით ასერენა ზარბაზანი და



ქუჩის გასწვრივ გაესროლა. სახლების კარებები გაიღმისავთავა  
იქიდან პანტა-პუნტით იტყორცნებოდა ადამიანთა მასა".

1957—1964 წლებში ძლიერი მიწისძვრები განიცადეს მექ-  
სიკამ, ბრიტანეთის კოლუმბიამ, ქალაქებმა: აკაპულკომ, ჩილ-  
პანსინგომ, ვერაკრუსში და სხვ., მაგრამ ყველას გადაჭარბა  
ჩილეს მიწისძვრამ, რომელმაც 1960 წლის 22 მაისს 10 ათასამ-  
დე კაცი იმსხვერპლა. ეს რიცხვი დიდი არ არის. 11 ბალიანი  
მიწისძვრისათვის, მაგრამ ჩილეს მოსახლეობისდა საბედნიე-  
როდ მიწისძვრა მოხდა კვირა დღეს. მზიანი ამინდი იღვა და  
მოსახლეობის უმრავლესობა არ იმყოფებოდა შენობებში.  
საგულისხმოა, რომ 352. 421 სახლიდან, რაც დაზარალებულ  
რაიონში მდებარეობდა, 58.622 მთლიანად დაინგრა, მათ  
შორის მრავალი სკოლა, ქარხანა, დაწესებულება, ხოლო ქ. გალ-  
დივიაში დაინგრა შენობების თითქმის 80 პროცენტი. ერთი  
კვარტალი უნივერსიტეტის ახალი შენობის რაიონში მდინარის  
წყალმა დაფარა. ჩილის სანაპირო 500 კმ სიგრძეშე და  
20—30 კმ სიგანით უეცრად დაიწია და 15 კმ ფართობის  
მქონე ტერიტორია 2 მეტრით ჩაიწია სულ რაღაც 10 წამში.

## აფრიკა

მიწისძვრა ხშირი სტუმარია ჩრდილო აფრიკის ქვეყნები-  
სა. განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს იგი ალეირს, ტუნისი,  
მარკოს. 1715 წელს მიწისძვრამ დაანგრია ქ. ალეირი, 1954  
წელს-ორლეანგილი. ამ კატასტროფამ აქ 1200 კაცი იმსხვერ-  
პლა, ხოლო 5000 დაიჭრა. მიწისძვრით გამოწვეული ზარა-  
ლი მილიარდობით ფრანკით განისაზღვროდა. 40 კმ რადი-  
10. თ. კაკამე



უსით დაინგრა სოფლები, ხიდები, კაშხლები და ფერწერები ზედაპირი ნაპრალების ხშირმა ქსელმა დაფარა. 6 უწყლესობურება მდევ უფრო ნაკლები სიძლიერის მიწისძვრამ დაანვრია ქ. აგადირი, საღაც 20 ათასი კაცი დაიღუპა. დიდი მსხვერპლი გამოწვეული იყო ცუდად აშენებული არაბული სახლების (კურბების) ნერევით, თანაც მიწისძვრა მოხდა ღამით, როცა ყველას ეძინა. მიწისძვრის ეპიცენტრი თვით ქალაქში მდებარეობდა და მისი კერის სიღრმე სულ რაღაც 2—3 კმ იყო მიწის ზედაპირიდან. აგადირი მთლინად დანგრეულია 1731 წლის მიწისძვრის შედეგადაც. ამ მწარე გაკვეთილმაც კი ვერ ასწავლა ჭიკუა აგადირელ მშენებლებს. გამოკვლეულებით დადასტურდა, რომ ეს ქალაქი აგებულია მნიშვნელოვანი გეოლოგიური რღვევის ხაზზე, და როგორც ჰ. ტაზიევი წერს: „ასეთ აღვილას ქალაქის გაშენება იგივეა, რომ სახლის ნაწილი ააშენონ ნაპირზე, ნაწილი კი ნაპირზე მიმშულ ტივზე.“

## საავოთა კავშირი

მოსკოვისა და კიევის სამთავროების მატიანეებში აღწერილია XIII—XV საუკუნეების მიწისძვრები. თითქოს უცნაურია, რა უნდა მიწისძვრას მოსკოვის მიღამოებში, აյ ხომ რუსეთის ბაქანია და არა ახალგაზრდა მთიანი სისტემების რაიონი, როგორიც კავკასიაა ან ალპები? მაგრამ აი, რას კითხულობთ უამთააღმწერლის ნაწერში, რომელიც 1445 წელს შეეხება: „... იმავე შემოდგომის, ოქტომბრის პირველ დღეს იძრა ქალაქი მოსკოვი, ურემლი, და ტაძარიც შეირყა, მრავალს ხალხთაგანს, ვისაც არ ეძინა, შიში დაეუფლა და



სასოწარკვეთილებამ მოიცაა. ეს მიწისძვრა, ისევე რომელიც გვხვდათ 1146, 1460, 1912, 1928, 1934, 1940 წლებისა, მონკოვი-  
სთვის არ იყო კატასტროფიული, რადგან აქ იგი 4—5 ბალს  
აღწევდა და გამოძახილი იყო 1300 კილომეტრით დაშორებუ-  
ლი კარპატების კატასტროფიული მიწისძვრებისა, სადაც  
სიმძლავრე 9—10 ბალს აღწევდა.

75 წელზე მეტი ხნის წინ რუსმა გეოლოგებმა ი. მუშკე-  
ტოვმა და ა. ორლოვმა შეადგინეს და ვამოაქვეყნეს რუსეთის  
მიწისძვრათა კატალოგი, რომელშიც აღწერილია 2500-მდე  
მიწისძვრა, მომხდარი უკანასკნელი 2500 წლის მანძილზე.  
ამ გამოკვლევის მიხედვით გამოდიოდა, რომ რუსეთის ტერი-  
ტორიაზე წელიწადში თითო მიწისძვრა ხდებოდა. შემდგომი  
გამოკვლევებით გამოიჩინა, რომ მარტო კავკასიაში ისტორი-  
ულ პერიოდში 2—3 ათასი მიწისძვრა მოხდა. კიდევ ღაზუ-  
რდა ეს ცნობები და როგორც დადგინდა, მარტო აღმა-ატა-  
ში 100 წლის მანძილზე 1000-ზე მეტი ბიძგი ყოფილა.

საბჭოთა კავშირის ყველაზე სეისმური რაიონს შეა ანია  
წარმოადგენს. მარტო 20 წლის მანძილზე (1929—1949 წ.)  
აქ 5097 მიწისძვრა მოხდა. წელიწადში საშუალოდ 425 მიწის-  
ძვრა. მათგან კატასტროფული იყო აშხაბადის მიწისძვრა,  
რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აშხაბადის ცნობილი მიწისძვრა მოხდა 1948 წლის 6 ოქ-  
ტომბერს, ღამის 1 საათსა და 12 წუთზე. 15—20 წამში ქალა-  
ქის ნაწილი დაინგრა. ნიადაგი ისე იზყეოდა, რომ ადამიანები  
ფეხზე ვერ დგებოდნენ. მძინარე აღამიანები საწოლებიდან  
იატაკზე ვარდებოდნენ. დანგრეული შენობების მტვერი  
ქალაქში სქელ ღრუბლად ჩაწვა და ისეღაც უმთვარო  
ღამე მოლად დააბნელა.

გაზეთი „პრაედა“ 1948 წლის 7 ივნის 70 გვ. ტომბერს წერილში მიწისძერის შედეგად ქ. აშხაბადში დიდი ნგრევებია. მიწისძერამ დაანგრია საცხოვრებელი სახლების დიდი რაოდენობა. არის ადამიანთა დიდი მსხვერპლი. მიწისძერისაგან დაზარალებული ქ. აშხაბადის მოსახლეობისათვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად და მიწისძერის შედეგების სალიკვიდაციოდ გადაუდებულ სამუშაოთა ჩასატარებლად სსრკ მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია. მთავრობის კომისიამ მიიღო ზომები დაზარალებული მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანოვაგით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უსახლეაროდ დარჩენილ მოქალაქეთა მოსათავსებლად“.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციამ ღამგინა, რომ ამ მიწისძერის ეპიცენტრი მდებარეობდა ქალაქიდან 25 კილომეტრზე, ხოლო მიწისქვეშა ბიძების სიმძლავრე 8—10 ბალი იყო. ასეთი მიწისძერა აშხაბადის მიღამოებში 500 წლის წინათ მომხდარა კიდევ.

6 ოქტომბერს დიღით—მოსკოვიდან, ტაშკენტიდან დაბაქოდან თეითმფრინავებით ჩამოვიდნენ სამედიცინო რაზმები, მოვიღნენ სამხედრო ნაწილები. მოკლე ხანში ქალაქის ცხოვრება იღდვენილი იქნა. მოსახლეობამ მიიღო დროებითა თავშესაფრები, განაახლეს მუშაობა სასწავლო დაწესებულებებში, საავადმყოფოებში, თეატრებში და სხვ.


სსრკ მთავრობისა და მოძმე რესპუბლიკების დახმარებით აშხაბადი აღდგენილი იქნა და უფრო გამშვენიერდა. ქალაქი აშენებულია ათასობით შენობა, რომელთათვის მიწისძერა საშიში აღარ არის.

1911 წლის 5 თებერვალს პამიჩში მომხდარმა მიწისძენით გადასცა დიდი ზვავი გამოიწვია მდ. ბარტანგის ხეობაში. მთიანი მასივის ნაწილი 3 კმ<sup>3</sup> მოცულობისა ქედს მოსწყდა და ხეობისკენ დაექანა. ზვავმა მცხოვრებლებიანად გაანადგურა ყიშლაყი უსოი და გადაკეტა მდ. ბარტანგი. ეს ბუნებრივი კაშხალი იმდენად მკერიყი გამოდგა, რომ მრავალი ოფის განმავლობაში ერთ წვეთ წყალსაც კი არ გამოუეონავს მეორე მხარეს. წარმოიშვა ტბა, რომელიც სწრაფად იზრდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ტბის წყალმა დაფარა ყიშლაყი სარეზი, რომლის სახელსაც ატარებს იგი დღეს. სარეზის ტბის სიგრძე 50 კმ-ს აღემატება, ხოლო სილრე 500 მეტრია.

ყველასათვის ცნობილია ტაშკენტის კატასტროფული მიწისძენა, რამაც ერთხელ კიდევ მკაფიოდ, დაადასტურა ჩვენი სამშობლოს ერთა ძმობა და მეგობრობა. პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული საგანგებო ზომების გატარების შედეგად, მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა დიდი დახმარებით ტაშკენტი მოკლე ხანში აღდგა და დღეს იგი უფრო ლამაზი და შვევნიერია.

მიწისძენრათა მთელი კოლექციის აღნუსტება შორს წაგვიყვანდა. ამიტომ აღვნიშნავთ ყველაზე უფრო კატასტროფული ხასიათის მიწისძვრებს: 1911 წ.—ქების (ტიან-შანი), 1926 წ.—ლენინაკანის და 1932 წ.—ზანგეზურის (სასომხეთში), 1927 წ.—ყირიმის, 1929 წ.—აშხაბადის, 1948 წ.—ჩათხალის (ტიან-შანის), ყაზანჯიყის (თურქმენეთი), 1949 წ.—ხაითის (ტაჯიქეთი), 1952 წ.—ქურილის და სხვ.

როგორც თვალს გველებთ მიწისძვრების კოლექციას, არ შეიძლება გამოვვრჩეს ისეთი სეისმური რაიონი, როგორიც საქართველოა. სუსტი მიწისძვრები ხომ ძალზე ხშირია, მაგრამ თურმე ძლიერ მიწისძვრებსაც პქონია ჩვენში ღდვილი (სურ. 24).



სურ. 24. მიწისძვრების ფართულების სქემა საქართველოში

საუკუნეთა მანძილზე საქართველოში პერიოდულად თავს იჩენდნენ მიწისძვრები, უმთავრესად ქართლში. უძველესი ცნობები საქართველოს მიწისძვრების შესახებ VII საუკუნი-

დან მოდის. სწორედ ამ დროს შემოესივნენ საქართველოს არაბები.

1283 წელს ძლიერი მიწისძვრის დროს დანგრეულა აწყურის ტაძარი და მხოლოდ ღვთისმშობლის ხატი გაღირჩენილა.

კახეთში, შაპ-თამაზის შემოსევის დროს, მიწისძვრას დაუნგრევია წმინდა გიორგის ტაძარი. საინტერესოა, რომ სწორედ იმ დღეს და იმ საათს დაბადებულა შაპ-აბასი.

ამ, რას კვითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილის წიგნში: „ალწერა საქართველოსა“:

„... ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქვითკირითა და შეამკო დიღად. მანვე დასვა კათალიკოზი. შემდგომად, ძვრით დარღვეული, აღაშენა მეფემან ალექსანდრემ“... (გვ. 61).

მიწისძვრა განსაკუთრებით სშირად ხდებოდა ალავერდის მონასტრის მიდამოებში. მრავალჯერ დაიქცა მონასტერი და ბევრჯერ აღადგინეს იგი საქართველოს მეფეებმა.

მიკმართოთ ისევ ვახუშტის წიგნს:

„აღაზნის დასავლეთ, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე პლატეებიანი, გუმბათიანი... დაიქცა ძვრით, როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესსა ჩრმა ძვრითვე...“ (გვ. 101).

1766 წლის მიწისძვრამ ისევ დაანკრია ალავერდის მონასტერი. გუმბათის ჩამოვარდნის ხმა გადმოცემით ოელავში მყოფ თეიმურაზ II-ის მეუღლეს, თამარს გაუგონია.

1811 წელს მიწისძვრამ გაანადგურა გორგასლის აშენებული წმინდა ნინოს კათედრალური ტაძარი, რომელიც თბილისიდან 45 კმ-ის დაშორებით, საგარევოს რაიონში მდებარეობს.



1899 წელს ახალქალაქის მიწისძვრამ მრავალი შეტყოფული ანგრია თვით ახალქალაქში და ბორჯომშიც.

საქართველოში მომხდარი მიწისძვრებიდან ყველაზე ძლიერად და კატასტროფულად გორის მიწისძვრა ითვლება. ეს მოხდა 1920 წლის 20 თებერვალს, იგი დაიწყო საღამოს 9 საათიდან. ბიძგები ჯერ სუსტი იყო, არც კი მიუქცევიათ ყურადღება, ბევრმა ალბათ ვერც იკრძნო, პირველი მძლავრი ბიძგი ღამის 2 საათსა და 53 წუთზე იგრძნეს. მას ოცამდე სუსტი ბიძგი მოჰყვა. დღის 2 საათისათვის, მეორე ბიძგმა, ხანმოკლებ, მაგრამ ძლიერმა გორი დაანგრია.

გორის მიწისძვრის ძალა, როსი-ფორელის სკალის მიხედვით, 10 ბალს აღწევდა. გორის რაიონში დაინგრა მთელი სახლების 63%, დაიღუპა 114 და მძიმედ დაიჭრა 38 კაცი. გარდა ამისა, დაიღუპა 167 სული მსხვილფეხა, 412 სული წვრილფეხა საქონელი და 1191 ფრთა შინაური ფრინველი. ყველაზე ძლიერი ნგრევა გავრცელდა თვით გორში, სოფ. ტინისხიდში, სკრაში ოთარაშენში, ხიდისთავსა და უფლისციხეში. ყველა დასახლებული პუნქტი მოქცეული იყო მიწისძვრის ეპიცენტრულ რაიონში.

საქართველოს სტატისტიკურმა კომიტეტმა შეაღენა ტაბულა, რომელშიც აღნიშნული იყო ნგრევით გამოწვეული მსხვერპლისა და მიყენებული ზარალის რაოდენობა.

ქ. გორში ქალაქის 1496 სახლიდან დაინგრა 233 აგურის, 233 ქვის და 21 ხის სახლი. ძლიერ დაზიანდა 140 აგურის, 222 ქვის და 92 ხის სახლი. დაზიანებას გადაურჩა მხოლოდ 2 სახლი. გორის სასაფლაოზე ობელისკები გადაადგილდნენ: ზოგი მათი ნაწილი შემობრუნდა სხვადასხვა კუთხით.

სოფ. ხიდისთავში ღამის ბიძგი მოულოდნელი იყო. დაღუპა 40 კაცი, დაინგრა სახლების 94 პროცენტი.



სოფ. ოთარაშენში დღის ბიძგის შედეგად დაინგრა უწმიულობა  
კომისის ორი სართული.

ამავე დროს სოფ. ტინისხილში მთლიანად დაინგრა ქვის  
სახლები და დაილუპა 12 კაცი.

ასევე იყო მახლობელ სოფლებშიც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გორის მიწისძვრის დროს  
თბილისში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში, ბორჯომშა და სხვაგან,  
მოსახლეობა გრძნობდა შენობების რყევას, კედლებიდან ბათ-  
ქაში ცვიოდა, ჭალები ქანაობლნენ, საათები ჩერდებოდნენ,  
კარები ილებოდა და სხვა.

გორის მიწისძვრა, მეცნიერთა აზრით, დაკავშირებული  
უნდა ყოფილიყო იმ დიდი რღვევის ხაზთან, რომელიც ჩამქ-  
რალ ვულკანებს — სამსარსა და ყაზბეგს შორისაა და გორის  
ახლოს გაივლინ.

ჰარუნ ტაზიევი თავის წიგნში ერთგან წერს, რომ: „კავკა-  
სიის მთელი რაიონი განიცდის ხშირ მიწისძვრებს: მე მეხსი-  
ერებაში შემომრჩა ბავშვობის ხანაში თბილისსა და ბორჯომ-  
ში განცდილი შიშის ცოცხალი მოგონებანი: ფანჯრის მინები  
წკრიალებდნენ, თაროებიდან უეცრად ვარდებოდა სამშენე-  
სები, ჩენ ვატარებდით უძილო ლამეებს, გაუხდელად: დედა  
იჯდა, გულში მიკრავდა, და ყოველ წუთს მზად იყო სახლი-  
დან გასავარდნად“.

როგორც გორის, ისე საქართველოს სხვა ადგილების მიწის-  
ძვრები იმის მაჩვენებელია, რომ დედამიწის ქერქის კავკასიუ-  
რი ნაწილი, ისევე როგორც ალპები, ანდები და სხვა მთათა  
სისტემები, განიცდის დანაოჭებას, მოძრაობებს, რომლის გა-  
მომწვევ მიზეზებზე ქვევით გვექნება საუბარი.

## როგორ და რით ზოგადენ მიზისძღვრის ქალას?


როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიწისძღვრებს შეისწავლის მეცნიერება სეისმოლოგია, ხოლო მიწისძღვრის ძალის საზომ ხელსაწყოს სეისმოგრაფი ეწოდება, რომელიც ნიადაგის მცირეოდენ შერეცეპსაც კი აღნიშნავს. პირველი პრიმიტიული სეისმოგრაფი ჩინელებმა გამოიგონეს ხანის დინასტიის დროს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. ეს პირველი სეისმოგრაფი წარმოადგენდა ზარს, რომელზეც დამაგრებული ურჩხულის რვა ფიგურა მიმართული იყო პორიზონტის რვა წერტილისკენ. ყოველი ურჩხულის ხახაში მოთავსებული იყო ბურთულა. ბიძგის დროს ბურთულა ამოვარდებოდა იმ ურჩხულის პირიდან, რომელიც მიმართული იყო ბიძგის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს. თითქოს უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ XVIII საუკუნეზე ჩინურ სეისმოგრაფზე უკეთესი ვერაფერი გამოიგონეს, და არც ეს იყო სეისმოგრაფი, რადგან იგი მხოლოდ მიწისძღვრის მიმართულების დასაღენად გამოდგებოდა. მხოლოდ XVIII საუკუნეში უან დე ორფეიმ გააუმჯობესა ჩინური ხელსაწყოს კონსტრუქცია. მან ზარი შეცვალა სინდიკით საესე ჭამით, რომელსაც მთელს გაუშემოწერილობაზე ჩაიდნის ცხვირის მსგავსი შვერილები ჰქონდა. იმისდა მიხედვით თუ რა მოცულობის სინდიკი გამოიჩინებოდა, არკვევდნენ ბიძგის სიძლიერეს. ასეთ ხელსაწყოებს სეის-

მოსკოპები ეწოდებათ, რადგან ისინი მიახლოვებით აღნიშფერია მიწისძერის მიმართულებას, ძალას და საშუალებას იძლევიან დავინახოთ მიწისძერის აქტიურობა.

პირველი ნამდვილი სეისმოგრაფის შექმნა შეძლო 1853 წელს ვეზუვის ვულკანოლოგიური ობსერვატორიის დირექტორმა ლუიჯი პალმიერიმ. ეს ხელსაწყო უკეთ აღნიშნავდა ბიძგის დაწყებას და მის ხანგრძლივობას, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. თანამედროვე სეისმოლოგიას საფუძველი ჩაუყარა 1880 წელს იაპონიაში ინგლისელმა ჯონ მილნმა, რომლის სეისმომეტრი უკვე ზომავდა ნიაღავის გადაადგილებას. ეს იყო ე. წ. პორიზონტული სეისმოგრაფი.

პირველი ელექტრომაგნიტული სეისმოგრაფი გამოიგონა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა პ. გოლიცინმა 1906 წელს, რომელიც მრავალ სეისმოსადგურში ღლესაც კი ისმარება. იგი წარმოადგენს პატარა კრონშტეინზე ზამბარით დამაგრებულ ტვირთიან ჩარჩოს, რომლის ბოლოში, ნალისებური მაგნიტების შიგნით მოთავსებულია ინდუქციური კოჭა. ოდნავი შერყევის დროს ჩარჩოც ირხევა, შეირჩევა მაგნიტების ძალის ელში კოჭაც, აღძრული დენი მავთულებში გადაეცემა და გადახრის გალვანომეტრის ისარს. ისარზე მოთავსებული სარკიდან არექლილი სინათლის სხივი ფოტოქალალდზე დახატავს რხევათა ტენილ ხაზს, რომელსაც სეისმოგრამა ეწოდება და წარმოადგენს ნიაღავის რხევის 500—1000-ჯერ გადიდებულ ჩანაწერს. (სურ. 25).

1922 წელს ვუდმა და ანდერსონმა და მათგან დამოუკავებლად და ერთდროულად საბჭოთა მეცნიერმა პ. ნიკიფოროვმა მსგავსი კონსტრუქციის სეისმოგრაფი გააკეთეს. ეს უკანასკნელი უფრო ზუსტი იყო, ვიდრე ვოლიცინისა. ნიკიფოროვის



სურ. 25. სხვადასხვა ტიპის სეისმოგრაფების მოქმედების პრინციპები ვის სეისმოგრაფში მძიმე ჩარჩოს ნაცვლად გამოიყენებულია წვრილ მავთულზე დაკიდებული ცილინდრი, რომელიც 25 გრამს იწონის და ქანქარას როლს ასრულებს. ცილინდრის ჩერვა სარკის საშუალებით გადაეცემა ფოტოფასალდა. ამ სისტემის სეისმოგრაფები წარმატებით გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის სეისმურ სადგურებში (ყირიმში, კავკასიაში, შუა აზიაში) 1927—1950 წლებში.

ამჯამად მსოფლიოს სეისმურ სადგურებში კიდევ უფრო გაუმჯობესებული სეისმოგრაფები აღნიშნავენ დედამიწის „გულისცემას“. მათგან ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი და აღიარებული საბჭოთა მეცნიერის დ. კირნოსის სისტემის სეისმოგრაფებია, რომლებიც საბჭოთა კავშირის მრავალ სეისმურ სადგურში გამოიყენება.

როგორ იგებენ შორეულ მიწისძვრებს, როგორ ვრცელ

დება მიწის ქერქში ბიძგების შედეგად გამოწვეული რხევეჭშაბაშითანა მიწისძვრა მიწის ქერქის შიგნეთში დაგროვილი ენერგიის მკვეთრი გამოყოფის შედეგს წარმოადგენს, რაც მიწისქვეშა ბიძგს იწვევს. იგი ვრცელდება ყოველი მიმართულებით სეის-მური ტალღების სახით. ეს უკანასკნელი კი შედეგნი არიან მიწის ქერქის შემადგენელუ ქანების შეკუმშვა-გაფართოებისა. მიწისძვრის ძალა, და მაშასადამე, სეისმური ტალღების ენერგიული მიწისძვრის კერასთან ანუ პიპოცენტრთან უფრო დიდია და თანდათან კლებულობს დაშორებასთან ერთად. ეს ტალღები ყველაზე ადრე მიაღწევენ ეპიცენტრს—ადგილს დედამიწის ზედაპირზე, რომელიც განლაგებულია პიპოცენტრის თავზე. ამიტომ მიწისძვრის ინტენსივობა ეპიცენტრში უფრო დიდია, ვიდრე უფრო დაშორებულ რაიონებში.

მიწისძვრის დროს წარმოიშობა სხვადასხვა სიჩქარისა და ხასიათის მქონე ტალღები, რომლებსაც სეისმოგრაფები აღნიშნავენ სეისმოგრამის სახით. სპეციალისტებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს სეისმოგრამაზე სამი სახის ტალღის ჩანაწერის გამოყოფა. ყველაზე სწრაფია ტალღები მცირე ამპლიტუდით და მოკლე პერიოდით; ეს ტალღები პირველი აღწევენ სეისმოგრაფიამდე, აღნიშნებიან ასო p-თი\* და მიეკუთვნებიან გრძივ ტალღებს. მათი რხევა შეიძლება შევადაროთ რეზინის რხევის, რომელსაც ხან გავჭიმავთ, ხან მოვადუნებთ. ამ დროს რეზინის ნაწილაკები მოძრაობენ რეზინის ზონარის გასწვრივ, წინ და უკან. რამდენიმე წამის ან წუთის შემდეგ (იმისდა მიხედვით, თუ რა მანძილზეა მიწისძვრის კერა) მოღიან მეორე ტიპის ანუ განივი ტალღები, რომლებიც აღი-

\* პერსული Prima - პირველი.



ნიშნებიან ასო S\*-ით. ამ უკანასკნელთა პერიოდში განვითარებულ ტურიზმის გარდა ამ თრი ძირითადი ტალღისა წარმოიშობა კიდევ ზედაპირული ტალღები. სეის-მოგრამების საშუალებით საზღვრავენ მიწისძვრის სიძლიერეს, არქეოლოგიურ ეპიცენტრის მდებარეობას და სხვა. დედამიწაზე მრავალი სეისმური სადგურია, მათგან ოცაშდე უმსხვილესი ერთი მათგანია თბილისის სეისმური სადგური.

მიწისძვრის ძალის განსასაზღვრავად ჩამდენიმე სკალა არსებობს. უფრო ადრეულს მიეკუთვნება რთსისა და ფორჯლის 10 ბალიანი სკალა. შემდგომ მიღებული იყო იტალიელ მერკალისა და კანკანის გაუმჯობესებული 12 ბალიანი სკალა, განსაკუთრებით დასავლეთის სახელმწიფოებში. 1952 წელს სსრკ შეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკური ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ იქნა უფრი სრულყოფილი 12 ბალიანი სკალა. 1964 წელს კი იუნესკოს სამთავრობათშორისო კონფერენციამ სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის ხაზით უკელა ქვეყანას შესთავაზა ახალი სეისმური სკალა შემუშავებული ს. მედვედევის (სსრკ), ვ. შპონხოიგრის (გდრ) და ვ. კირნიკის (ჩსსრ) მიერ.

ერთბალიანი მიწისძვრა წარმოადგენს ნიაღაგის მიერთ სეისმურ რხევას. მას მხოლოდ სეისმოგრაფები აღნიშნავენ და აღამიანისთვის შეუმჩნეველი რჩება.

თრი ბალიანი მიწისძვრაც ძლიერ სუსტია, მაგრამ ზოვმა ჩერვიულმა ადამიანმა უკვე შეიძლება იგრძნოს,. განსაკუთრებით შენობის ზედა სართულებში.

\* ლათინური Secunda - მეორე.



სამხალიან მიწისძვრას უკეთ გრძნობს ნაწილი ადამიანების უცნობელი შესაძლებელია ბიძგის მიმართულების და ხანგრძლიობის მიზანით დგენა.

ოთხბალიან მიწისძვრისას ავეჯი ოდნავ ზანზარებს, ისმის კურპლისა და ფანჯრის მინების სუსტი წკრიალი, შენობის გარეთ ნაკლებად იგრძნობა იგი, უფრო მეტად გრძნობენ შენობაში მყოფი ადამიანები, რომლებსაც ხშირად ჰგონიათ, რომ ქუჩაში საბარგო მანქანამ გაიარა.

ხუთბალიან მიწისძვრას უკვე ყველა გრძნობს. შენობები ირყევა, ავეჯი გადაადგილდება, საათის ქანქარა ჩერდება, ღია კურპლიდან სითხე იღვრება, ხის კენჭეროვები ქანობის იწყებენ და მძინარე ადამიანებს ეღვიძებათ.

ექვსბალიანი მიწისძვრა უფრო ძლიერია. კედლებიდან სურათები ცვივა, თაროებიდან—წიგნები. კურპელი იმსხვრევა, კედლებზე და ჰერხზე ბათქაში სკედება, ცვივა.

შვიდბალიანი მიწისძვრის დროს სახლები მნიშვნელოვნად ჩიანდება, ინგრევა საკვამლე მიღები, მღინარეებსა და ტბებში წყალი იმღვრევა, წარმოიშობა მეწყერები.

რეაბალიანი მიწისძვრა უკვე დამანგრეველია, შენობების კედლებში ჩნდება ნაპრალები, მაღალი კოშკები და ქარხნის მილები ინგრევა, ძეგლები შემონრუნდებიან კვარცხლბეკებზე.

ცხრაბალიანი მიწისძვრა ინგრევს შენობების უმრავლესობას.

ათბალიანი მიწისძვრა გამანადგურებელია. ინგრევა წილი, ნიაღაუში ღრმა ნაპრალები ჩნდება, მღინარეებისა და ტბების წყალი ნაპირებზე გადმოდის.

თერთმეტბალიან მიწისძვრას ვერც ერთი ქვის შენობა ვერ



საქართველოს

უძლებს, ინგრევა ხიდები, იღუნება ლიანდაგებდებაშიცმება  
კაშხალები.

თორმეტბალიანი მიწისძვრა კატასტროფულია, იღუპება  
ჯელაფერი, რაც კი ადამიანის ხელს შეუქმნია, იცვლება  
ლანდშაფტი, წარმოიშობა დიდი ზვავები და სხვა.

ძლიერი მიწისძვრების ენერგია 150 ბილიონ ცხენის ძალის  
ტოლია. შესაძარებლად ვიტყვით, რომ საშუალო კალიბრის  
ატომური ბომბის ოფეთქების ენერგია ხუთბალიანი მიწისძვრის  
ენერგიის ექვივალენტურია.

რიცტერმა შემოილო ტერმინი „მაგნიტულა“, რომელიც  
წარმოადგენს მიწისძვრის ენერგიის განმსაზღვრელ ერთეულს  
და გამოითვლება ემპირიული ფორმულით სეისმოგრამაზე  
აღნიშნული ამპლიტუდის მიხედვით.

საინტერესოა მოვიყვანოთ ძლიერი მიწისძვრების ნუსხა  
(3. ტაზიევის მიხედვით), სადაც აღნიშნულია დაღუპულია  
რიცხვი და მაგნიტულები.

თარიღი	° დ გ მ °	დაღუპულობრივი	მაგნიტული
1496 წ.	ნეაპოლი (იტალია)	30.000	
1556	ზანია (ჩიხეთი)	230.000	
1716	ალექანდრი	20.000	
1755	ლისაბონი	60.000	
1759	ბალბეკი	20.000	
1783—86	კალაბრია	60.000	
1819	კანი (ინდოეთი)	1.800	
1883,28/VII	ისკია (იტალია)	2.300	
1891,28/X	მინო-ოვარი (იაპონია)	7.300	
1897,12/VI	ასამი	1.542	8,7
1899,10/X	იაკუტატი (ალასკა)		8,6
1905, 4/IV	კანგრა (ინდოეთი)	10.000	8,6

თარიღი	ვ ლ გ ი ლ ი	დალუპერლობა რაცხოვი	მავრი- ტულა
1906,31/I	კოლუმბია		8,9
17/III	ტაივანი	1.250	
18/IV	სან-ფრანცისკო	700	8,3
17/VIII	ვალპარაისო		8,6
1908,28/XII	შესინა	82.000	7,5
1911, 3/I	ტიან-შანი		8,7
1915,13/I	აველინ (ტულია)	30.000	8,6
1920,16/X	განსუ (ჩინეთი)	180.000	8,6
1923, 1/IX	ქვანტო (იაპონია)	140.000	8,2
1927, 7/III	ტანგო (იაპონია)	3.000	
1935,31/V	კატა (ბერძენისტანი)	30.000	7,9
1939,25/I	კონსეპსონი (ჩილი)	25.000	8,6
26/XII	თურქეთი	25.000	8,3
1940,10/XI	კარპატები (რუმინეთი)	1.000	
1943,10/IX	ტოტორი (იაპონია)	1.400	7,4
1944,15/I	სან-ხუანი (არგენტინა)	5.000	
1946,10/XI	ანკაში (პერუ)	1.500	7,4
1948,28/VI	უჩუან (იაპონია)	5.300	7,3
1949, 5/VIII	ამბატო (ეკვადორი)	6.000	6,75
1950,15/VIII	ასამი	1.526	8,7
1951, 6/V	სან-სალვადორი	4.000	
1952, 4/III	ტოყაიტი (იაპონია)	600	6,3
1953, 9/VIII	იონიის კუნძულები	500	7
1954, 9/IX	ირლანდიის	1.250	6,7
29/III	გრანდა (ესპანეთი)		7
1957,13/XII	ქურთისტანი	2.000	7,25
1960,29/II	აგაფირი (მაროკო)	10.000	
24/IV	ლარი (ირანი)	1.000	6,75
22/V	ჩილე (მთავარი ბიძგი)	5.000-10.000	8,9
1963,26/VII	სკოპე (მაკედონია)	1.078	6,3

## რატომ იძვრის მიზანი?

მიწისძვრა წარმოადგენს დედამიწის ქერქის უეცარ შექ-  
ყევას, მაგრამ რა იწვევს ამ შერყევას? ამის მიზეზი მრავალია.



მათ რიცხვს ეკუთვნის ზღვის ტალღათცემა ნაპირზე, წილების მთებში, ხელოვნური აფეთქებანი, მღვიმეთა ჭერის ჩატურევები და სხვა. დედამიწის ზედაპირის ზოგიერთი პერიოდული რხევა გაპირობებულია მთვარის მიზიდულობით. როგორც ცნობილია, ეს მიზიდულობა ზოგან ერთხელ, ზოგან კი ორჯერ იწვევს ზღვებისა და ოკეანების წყლის დონის აწევის დღე-ღამის განმავლობაში, რაც მიქცევა-მოქცევის სახელითაა ცნობილი. დონის აწევა ხდება რამდენიმე სანტიმეტრიდან 20—22 მეტრამდე. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დადგენილი ფაქტია, რომ ასეთივე მიქცევა და მოქცევა ახასიათებს დედამიწის მყარ ჭერესაც. დღე-ღამის განმავლობაში ჩვენ მიწის ქერქთან ერთად ზეეით ვაწევთ და ვეშვებით რამდენიმე სანტიმეტრიდან 20—40 სანტიმეტრამდე. მაგრამ ეს ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები იწვევენ უმნიშვნელო და აღგილობრივ რხევებს, რასაც ადამიანი ვერც კი გრძნობს უმეტეს შემთხვევაში.

საერთოდ მნიშვნელოვან მიწისძვრებს გამომწვევი მიზუზების მიხედვით სამ ჯგუფში აერთიანებენ: ჩაქცევითი, ვულკანური და ტექტონიკური.

ჩაქცევითი მიწისძვრები წარმოიშობა მიწისქვეშა სიცარიიელების, მღვიმეების ჭერის ჩაქცევით. ასეთი მიწისძვრები დამახასიათებელია ქვამარილით, თაბაშირით და კირქვით აგებული რაიონებისათვის, სადაც წყლის გამხსნელი მოქმედებით აღნიშნულ ხსნად ქანებზე ჩნდება მღვიმეები. ეს პროცესი კარსტის სახელითაა ცნობილი და მღვიმეებსაც კარსტული მღვიმეები ეწოდება. ასეთებია, მაგალითად, ფართოდ ცნობილი სათაფლის მღვიმე ქუთაისთან, აბრსკილა და ივერია აფხაზეთში, კუნგურის, პერმის ოლქში, პოსტონია იამა იუგოსლავიაში, წითელი მღვიმეები ყირიმში, მამონტის მღვიმე აშშ-ში და

სხვ. ჩაქცევითი მიწისძვრები მცირე სიმძლავრით ხასიათდებიან და ძალზე აღგილობრივი ხასიათისაა. შედარებით მიწისძვრები ჩაქცევითი მიწისძვრა მოხდა 1915 წელს ხარკოვის ოლქში. ქალაქის მოსახლეობა გრძნობდა შენობების რყევის, კედლების ზანზარებდა, ჭიდები ქანიობდა.

ვულკანური მიწისძვრები წარმოიშობა მოქმედი ვულკანების მახლობლად და დაკავშირებულია მაგმისა და გაზების მოძრაობასთან ვულკანის ყელში. ასეთი მიწისძვრების ძალაც უმეტეს შემთხვევაში დიდი არ არის, მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვანი ზარალი და მსხვერპლი ახლავს მას. ასე, მაგალითად, 1883 წელს იტალიაში, კუნძულ ისკიაზე, დიდხანს უმოქმედოდ მყოფმა ვულკანმა იმოპეომ 11 ივნისს „გაიღვიძა“. ერთი კვირის განმავლობაში იგრძნობოდა მიწისქვეშა ბიძგები. მიწისძვრამ რამდენიმე წამში დაანგრია საკურორტო ქალაქი კაზამიჩილა.

ვულკანური მიწისძვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ვეზუვის 1794 წლის ამოფრქვევის შედეგად გამოწვეული მიწისძვრა, როდესაც მიწა ზღვასავით დელავდა. ნეაპოლის მცხოვრებნი პანიკამ მოიცვა, ისინი გამორბოდნენ შენობებიდან. 3 დღის შემდეგ მიწა კვლავ იძრა, იმჯერად მოსახლეობამ იგრძნო მძლავრი მიწისქვეშა ბიძგი. შენობებში ბზარები გაჩნდა, ფანჯრის მინები წყრიალებდნენ, იმსხვრეოდნენ, ვეეჭი მოძრაობდა და ყირავდებოდა. უეცრად ყველაფერი წითელმა ალმა გაანათა, ვეზუვის კონუსის ძირში გაჩენილი ნაპრალიდან ლავა ამოინთხა. ისმოდა ყრუ, მაგრამ ძლიერი გრიალი, რომელიც ჩანჩქერის ხმაურს წააგავდა. თვით ვეზუვიც განუწყვიტლივ ირყეოდა. ადამიანები ფეხევეშ ვერ გრძნობდნენ მყარ-


ნიადაგს. პაერს ცეცხლი ეკიდა, ყოველის მხრიდან საშინელო  
მანამდე გაუგონარი ხმები ისმოდა.

მეცნიერთათვის ფრიად საინტერესო იყო კამჩატკის ვულ-  
კან ბეზიმიანაია სოპკის ამოფრქვევით გამოწვეული მიწის-  
ძვრები დაბა კლიუჩში. 1955 წლის 29 სექტემბრიდან ყოველ-  
დღიურად თითქმის ასამდე ბიძგი იგრძნობოდა. 22 ნოემბერს  
დაიწყო ვულკანის ამოფრქვევა და ბიძგები გაგრძელდა 1956  
წლის 30 მარტის გრანდიოზულ ამოფრქვევამდე, როდესაც  
მთის წვერი გაქრა და მისი ნატეხები აფეთქების ძალამ 50  
კმ სიმაღლეზე აისროლა. ამ ამოფრქვევის დროს, რომელიც  
5 თვეს გაგრძელდა, 30 ათასზე მეტი ბიძგი აღნიშნეს სეისმო-  
გრაფებმა.

კაცობრიობისთვის ყველაზე საშინელია ტექტონიკური  
მიწისძვრები. მათი გავრცელების არე მოიცავს იმ ორ ცეცხ-  
ლოვან რეალს, რომლებიც ვულკანების განხილვის დროს აღვ-  
ნიშნეთ—ხმელთაშუა ზღვისა და წყნარი ოკეანისას. აქ მიმდი-  
ნარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მთათა წარმომშობა  
პროცესები. აქ უფრო ძლიერადაა გამოხატული დედამიწის  
ქერქის მოძრაობა და ამიტომაა, რომ მიწისძვრებიც აქაა თავ-  
მოყრილი. ტექტონიკურ მიწისძვრებში კერის სილრმის  
მიხედვით გამოყოფენ ნორმალურ მიწისძვრებს—კერის სილ-  
რმით 60 კმ-მდე, საშუალოს—60—300 კმ-დე და ღრმა ფოკუ-  
სურს—300—700 კმ-მდე (სურ. 27).

ტექტონიკური მოძრაობანი იწვევენ ხმელეთის აწევ-და-  
წევას, ნაოჭებისა და მთების წარმომშობას, რღვევებს და სხვა.  
იმ ადგილებში, სადაც ეს მოძრაობები ინტენსიურია, თავს  
იჩენს მიწისძვრები.

მაგრამ რა იწვევს ტექტონიკურ მოძრაობებს?—ეს საკითხი



სურ. 27. დედამიწის სეისმური ზონების სქემა. 1. ახალგაზრდა ნაოქა-  
მთების ზონა. 2. აოალრმა შიშისძერების ზონა. 3. უფრო ღრმა ფოკუსიანი  
შიშისძერების ზონა. 4. ღრმა ფოკუსიანი მიშისძერების რაიონები.

ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. არსებობს მრავალი ჰიპოთეზა ამ საკითხის ირგვლივ. ზოგის აზრით; ტექტონიკური მოძრაობები გამოწვეულია დედამიწის გაცივებით. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ მიწის წიაღში ხდება შემადგენელი მასალის დახარისხება, გძიმე ნაწილაკები სიღრმისკენ ილტვიან, მსუბუქი კი—ზედა ნაწილებისაკენ. ამას გრავიტაციულ დიფერენციაციას უწოდებენ.

არსებობენ ე. წ. ცენტრისკენული, ანუ მიზიდვის ძალები

და ცენტრიდან ული, ანუ განზიდვის ძალები. ეს უკანაში წერდასთავა გამოწვეულია დედამიწის ბრუნვით ლერძის ირგვლივ, იგრეთვე მთვარისა და მზის მიზიდულობის გაცლენით. გარდა ამისა, მიწის წიაღში მიმღინარეობს რაღიაქტიური და სხვა ფიზიკო-ქიმიური პროცესები. სწორედ ეს პროცესები და ძალები უნდა იწვევონ დედამიწის მყარი ნაწილის,—ქერქის დეფორმაციას, მოძრაობებს. სკანდინავიის ნაპირები თანდათან ნელა იწვევს ზეეთ. უკანასკნელი 25 ათასი წლის განმავლობაში მ-სშა ცენტრალურმა ნაწილმა 250 მეტრით იიწია. მისი პერიფერიული ნაწილებიც კი განიცდიან შესამჩნევ აქცესს. ლენინგრადის ტერიტორიაზ პეტრე I-ის შემდეგ დღემდე 1 მეტრით იიწია. იქვე კი, არცთუ ისე შორს, ჰოლანდიის ჩრდილო ნაპირები პირიქით, საუკუნეობრივ დაწევას განიცდიან. ამიტომ ზღვისპირზე მცხოვრები ჰოლანდიელები ძველთაგანვე აგებდნენ ჭებირებს, მაგრამ 1282 წელს ზღვაში გაანგრია ჭებირები, ხმელეთის დიდი ნაწილი წყალმა დაფარა და გაჩნდა ზოიდერ-ზეეს ყურე. ჭებირების მშენებლობა ახლაც გრძელდება.

იტალიაში, ნეაპოლის დასავლეთით, ნეაპოლის ყურის ნაპირზე, მდებარეობს ქ. პოცუოლი. აქ არის 2000 წლის წინ აგებული სერაპიის ტაძრის ნაშთები. მარმარილოს სამი სვეტი, კედლები და ჭიშკარი წარწერით: „ტემპიო-დი-სერაპიო“ ჩაც სერაპიის ტაძარს ნიშნავს. მარმარილოს სვეტების ქვედა ნაწილი 2,5 მ სილტომის ზღვის წყლითაა დაფარული და ზევით 5 მეტრის სიმაღლემდე შეიმჩნევა ზღვის მოლუსკების მოქმედების ნაკვალევი. ბუნებრივია, რომ იტალიელები ტაძარს ზღვაში არ ააგებდნენ—ღრმოთა განმავლობაში ნაპირს დაწევა განუცდია და ზღვას დაუფარავს იგი. ამჟამად ეს რაიონი ვა-



ნიცდის დაწევას, წელიწადში 2 სმ-ით. კიდევ მრავალი მაგალითი მოყვანა მოხდა რომლებიც თვალნათლივ აღასტუმანური განვითარებას გენ მიწის ქერქის მოძრაობას.

უკრაინალში „Nature“ 1966 წელს გ. დესინმა დაკ. უორკი-ჩამოვაქვეყნებს შემდეგი პიპოთეზა, რომლის არსი შემდეგ-შია: ძლიერი და საშუალო მიწისძვრათა ქერქების მრავალრი-ცხოვანი განსაზღვრით ცნობილია, რომ მათი ეპიცენტრები და-ახლოებით 700 კმ სიღრმეზე მდებარეობენ.

მიწისძვრების წარმოშობის მიზეზები და ეპიცენტრების კავშირი განსაზღვრულ სიღრმეებთან ჯერ-ჯერობით ცნობილია არ არის. შესაძლოა, რომ მზარდი დატვირთვის შედეგად, რა-საც დანალექი ქანების დაგროვება იწვევს, დედამიწის ქერქის ნაწილები დიდ სიღრმეებამდე იძირება. გრანიტების გაჩენისას, რომლებიც წარმოიშობა უმთავრესად მეავე, მსუბუქი მინერა-ლური კომპონენტებისგან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფუ-ძე, უფრო მძიმე მინერალები მეტ სიღრმეზე იძირებიან. ამას-თან მინერალები ხედებიან მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში და მათი ატომები კარგავენ მდგრადობას. აქ მიმ-დინარე გარდაქმნების მსელელობაში (მაგალითად ოლივინ-შპინელი) 100—300 კმ სიღრმეებზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს იფეთქებითი ხასიათის შინაგან პროცესებს ატომური მესრის შეცვლისას.

თუ ქანები 700 კმ-ზე მეტი სიღრმემდე დაიძირებიან, საღაც ჭარბობს 700°-ზე მეტი ტემპერატურა, ისინი განიცდიან ისეთ ზემოქმედებებს, რომლებიც სახეს უცვლიან ამ გარდაქმნებს სტრუქტურული მესრის ასეთ მკვეთრ ცვლილებას დაიძირულ ქანებში, შეუძლია მიწისძვრის გამოწვევა. ეს ყველაფერი ჯერ-ჯერობით პიპოთეზებია და მეცნიერებს კიდევ დიდი ხნის თავ-

დადებული შრომა დასჭირდებათ ზედა მანტიის, ჩვენი მიწოდება  
ლიური პლანეტის ამ ყველაზე დაუდგრომელი და ქალაქის უკან  
ფეხით აღსავსე სტიქის საიდუმლოებათა ამოსაცნობად.

საინტერესოა ისიც, თუ სად და როდის მოხდება მიწისძვრა. რასაკვირველია, გამოიყოფა რაიონები, სადაც ხშირია მიწის-  
ძვრები, მაგრამ დროის განსაზღვრის სისუსტე ასეთი რაიონე-  
ბისათვისაც 10—20 წელს უდრის და არც ესაა მყარი.

ამეამად მიმდინარეობს ახალი მეთოდის შემუშავება. ეს მე-  
თოდი შემდეგს გულისხმობს. დედამიწის ზედაპირის ამა თუ  
იმ ადგილას, ზედაპირის დახრილობა ჰორიზონტის მიმართ ცვა-  
ლებაღობას განიცდის. ამის გამომწვევი მიზეზები ჯერ-ჯერო-  
ბით ბურუსითაა მოცული. ფიქრობენ, რომ ძირითადი მიზეზი  
დედამიწის შიგნეთში ნივთიერების მოძრაობააო. მიწისძვრის  
წინ დახრილობა უფრო სწრაფი ტეპსით იცვლება. სპეციალური  
ხელსაწყობით შეიძლება დროულად შევამჩნიოთ ის ცვლი-  
ლება, მოსახლეობა გავაფრთხილოთ და თავიდან ივიცილოთ  
მსხვერპლი.

არსებობს მეორე ხერხიც. მეცნიერები სწავლობენ ატმოს-  
ფეროს და მიწის ქერქის ფიზიკურ თვისებებს. გამორკვე-  
ულია, რომ რიგით შემთხვევაში მიწისძვრის წინ უსწრებს მაგნი-  
ტური ქარიშხალი. ზოგჯერ კი მიწისძვრის წინ ადგილი აქვს  
ძლიერ ჰექა-ჟუხილს, რაც ატმოსფერული ელექტრონის  
დაგროვების მომასწავებელია.

არსებობს კიდევ სხვა მეთოდებიც, მაგრამ ყველა ესენი  
ჯერ-ჯერობით ძიების პროცესშია. ძველი მიწისძვრების შეს-  
წავლის საფუძველზე აღვენენ სეისმურ რუკებს, სადაც  
აღნიშნავენ, რომელ რაიონში როგორი ძალის მიწისძვრაა  
მოსალოდნელი. დრო ზუსტად განსაზღვრული არ იქნება,



მაგრამ თუ გვეცოდინება მოსალოდნელი მიწისძვრის სიძლიერე, ავაგებთ შესაფერ სიმტკიცის შენობებს და სხვ. უროვნეულია ასეთი სეისმური დარაიონებით გამორკვეულია, რამაც გვიჩვენება კავშირის ევროპულ ნაწილში ძლიერი მიწისძვრები არ არის მოსალოდნელი. კავკასიის ზოგ ნაწილში, თურქეთში, ტაჯიკეთსა და ბაიკალისპირა მხარეში შესაძლებელია 8—9 ბალის სიძლიერის მიწისძვრა. კოპეტ-დალის, ტიან-შანის, პამირისა და სამხრეთ ბაიკალისპირა მხარეებში, კამჩატკის აღმოსავლეთ სანაპიროზე შესაძლებელია უფრო ძლიერი მიწისძვრებიც.

აღამიანები მიწისძვრას ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმით ებრძებიან, რომ აგებენ სეისმოგამძლე საცხოვრებელ სახლებს, ქარხნებს, სხვა შენობებს. ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა მოსალოდნელი მიწისძვრების რაიონებში ასეთი სეისმოგამძლე შენობების აგებას. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; ასე, მაგალითად, აშხაბადის საფეიქრო ფაზრიკა ააგეს 9 ბალიანი მიწისძვრის გაანგარიშებით. 1948 წელს აშხაბადში აღნიშნულ ფაზრიკასთან ერთად დანგრევას გადაურჩა ის შენობები, რომლებიც ასეთივე პრინციპით იყო აგებული.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საინჟინრო სეისმოლოგიის მექსიკის საზოგადოება, რომელიც ცდილობს, რომ ყოველი შენობა აიგოს სეისმოლოგიური წესების დაცვით. 1957—1964 წლებში, როდესაც მექსიკის ტერიტორიაზე ხშირად იყო ძლიერი მიწისძვრები, ეს წესები უხეშად ირღვეოდა, მაშინ, როდესაც სამხრეთი მექსიკა, განსაკუთრებით პერურის და ოაზაյას შტატები თავიანთ ზღვისპირა რაიონებთან ერთად, სეისმურობით მხოლოდ ბრიტანეთის კოლუმბი-



ას (კანადა) და ჩილეს ჩრდილოეთ ნაწილს ჩამოუჭრილია ამჟამად მექსიკის ტერიტორიაზე დადგმულია 27 აქსელერო-გრაფი, რომელთა საერთო ღირებულება 108 ათასი დოლარია. ამ ხელსაწყოების საშუალებით იღებენ მონაცემებს შენობების რყოვებზე სხვადასხვა სიძლიერის ბიძგის დროს, და შემდგომ ანალიზს უკეთებენ მექსიკის ეროვნული უნივერსიტეტის საინ-ჟინრო სკოლაში. აქსელოგრაფები დადგმულია მეხიკო-სიტის უმაღლესს ცათამბჯენებზე, ყველა დიდ კაშხალზე, აგრეთვე მიწისძვრაგანცდილ ქალაქებში: აკადემიურ კომუნიკაციებში, ჩილპანსინგოში და კერაკრუსში. მეხიკო-სიტის 42 სართულიან კოშეში, რომელიც სეისმომედგრევობის წესების დაცვით ააგეს, 1957 და 1964 წლების მიწისძვრების დროს ერთი ფანჯარაც კი არ დამსხვრეულა, ბევრი სხვა შენობა კი მთლიანად დაინგრა.

## ბოლოსის მიზანი

ავტორის მიზანი იყო ამ წიგნში პოპულარულად გადმოეცა  
 ს მეცნიერული ცოდნა, რაც თანამედროვე დედამიწის შემ-  
 წავლელ მეცნიერებს აქვს დაგროვილი ჩვენი მშობლიური  
 ჰლანეტის წარმოშობის, განვითარებისა და მის სიღრმეებში  
 მამდინარე ურთულესი პროცესების შესახებ, რომელთა ერთ-  
 ერთი ყველაზე გრანდიოზული, ადამიანისათვის თვალით და-  
 ანახი მოვლენები—ვულკანიზმი და მიწისძერა—მეცნიერთა  
 გონიერების დღემდე ეჭიდება და კიდევ მრავალი რამ იდუმალების  
 ტერიტორიაზე მოცული.

შიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კაცობრიობის  
 გენის სწრაფი განვითარების ეპოქაში, კოსმოსურ მოგზაუ-  
 რობათა ეპოქაში, თვით დედამიწას ერთი წამითაც არ აკლდება  
 მეცნიერთა ყურადღება, რადგან ჯერ კიდევ მრავალი კითხვა  
 შოთხოვს ამომწურავ პასუხს. ადამიანი იმიტომ კი არ გაიჭრა  
 კოსმოსში, რომ აღარ სურს თავის „აკვანში“ ცხოვრება, არა-  
 მედ იმიტომ, რომ მეტი გაიგოს და ამოიცნოს სამყაროს რაო-  
 ბის, მხის სისტემის პლანეტების და მათ შორის დედამიწის წარ-  
 მობა-განვითარების პრობლემებზე.

დედამიწის მეცნიერულმა შესწავლამ, რაც ძირითადად  
 უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე მოხდა, სამუდამოდ უკუ-  
 აღო ათასეული წლების მანძილზე გაბატონებული ცრუ შეხე-

## შ 0 6 0 3 3 6 0 8 0

1. პ ე რ ა კ ლ ა ტ ე ე ფ ე ს ე ლ ი (დაახლ. 530—470 წლები ჩ. წ.-მდე) — ძეგლი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ანტიკური დალექტიკის ერთ-ერთი მამითავარი.

2. ა რ ი ს ტ ა რ ქ ს ა მ თ ს ე ლ ი (დაახლ. 250 წ. ჩ. წ.-მდე) — გამოჩენილი ხერძნენი ასტრონომი, რომელმაც პირველმა შექმნა მოძღვრება ბურთისებრი ცენტრის ბრუნვისა საკუთარი ლერძის ირგვლივ და მზის გარშემო მოძრაობის შესხებ.

3. დ ე მ ო კ რ ი ტ ე (430—380 წ. ჩ. წ.-მდე) — ძევლი საბერძნეთის ცარიერთი უდიდესი ფილოსოფოსი და მეცნიერი; შექმნისტური მატერიალიზმის ფუძემდებელი.

4. თ ა ლ ე ს ი რ ი ლ ე (VII—VI ს. ჩ. წ.-მდე) — ძევლი საბერძნეთის მეცნიერი და მოაზროვნე. ბერძნული სტიქიური მატერიალიზმის მამითავარი.

5. ა ნ ა ქ ს ი მ ა ნ დ რ ე (დაახ. 610—547 წ. ჩ. წ.-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი, ინიციური სკოლის წარმომადგენელი, რომელმაც სამყაროს შექმნის პირველწაროდ ვამრაცხადა მატერიალური საწყისი.

6. ა ნ ა ქ ს ი მ ე ნ ი (დაახლ. 588—524 წ. ჩ. წ.-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი. მისი წარმოდგენით უკელაფერი განიცდა პარიფან მასში მოძღინარე რაოდენობრივი ცვლილებების გამო.

7. ქ ს ე ნ თ ფ ა ნ ე, კოლოფონიდან (VI—V ს. ჩ. წ.-მდე) — ძევლი საბერძნეთის ფილოსოფოსი და პოეტი; გამოიღიოდა ანტიკური დალექტიკისების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სამყარო და საერთოდ უკელაფერი ცვლილებადია. განიხილავდა სამყაროს როგორც მთლიანს, მართლიულს, უძრავს და უცვლესს.

8. ა ნ ა ქ ს ა გ ო რ ე (დაახლ. 500—428 წ. ჩ. წ.-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი. მისი აზრით სამყარო წარმოიშვა ბუნებრივი გზით. თოვნისან გააძევეს, როგორც ცეკვის წინააღმდეგ მებრძოლი.

9. ა რ ი ს ტ რ ი ლ ე (384—322 წ. ჩ. წ.-მდე) — ძევლი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი და მოაზროვნე, პლატონის მოწილე. და-



დულებანი სამყაროსა და დედამიწის „ღვთაებრივი შეკვეული დების“ შესახებ. დამტკიცდა, რომ დედამიწა, ისეცემის როგორც ყველაფერი ბუნებაში, მუდმივ განვითარებას და ცვლილებებს განიცდის.

დღევანდელი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მიზანია ბოლომდე და საფუძვლიანად გაერკვეს ჩვენი პლანეტის სილრმეებში მიმდინარე პროცესებში, რაც მომავალში კაცობრიობას საშუალებას მისცემს თავისი მზარდი საჭიროებისათვის გამოიყენოს ცისფერი პლანეტის წიაღში დაგროვილ უდიდესი მარაგი სითბური ენერგიისა და სასარგებლო ნამარხებისა. ამის საწინდარია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომი გეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური მეცნიერებანი, რომლებიც შეიარაღებულნი არიან კვლევების უახლესი მეთოდებით და უდიდესი სურვილით — კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ ბუნების ორი გრანდიოზული მოვლენა — ვულკანიზმი და მიწისძრა.



- აღანიშვილების უდმერობისაში და იძულებს გადასახლებისათ ა. ვაჟაპეტრია  
საფაც განდაციცალა.
10. პ ტ ი ლ ი მ ე უ ს ი (II ს.) — ცნობილი შერძენი შეცემული მართვა  
ლის შემცებაც დიდი როლი ითავსეს ასტრონომიის, ცენტრალის  
სხვა მეცნიერებათა განვითარებაში.
11. ე რ ი თ ი ს ტ ე ნ ი (276—194 წ. ჩ. წ.-მდე) — ძელი საძერდნეთის  
მრავალძრივი მეცნიერი, აღვესანდრის ბიბლიოთეკის გამგე.
12. მ ა რ ი რ ი პ ტ ე ლ ი (1254—1323) — იტალიელი მოგზაური და  
ვაჭირი. 17 წელი გაიტარა ჩინეთისა და მონღოლეთში, უუბლა-ხანის  
კარზე. ერთობელთაგან პირველმა აღწერა ჩინეთი, პამირი, სამხრეთ ჩინეთის  
ისის ზღვა.
13. თ თ მ ა ა ქ ვ ი ნ ე ლ ი (1225—1274) — შევა საუკუნეების სერი  
ლისტიური სკოლის გამოწენილი წარმომადგენელი. მისი ფილოსოფია-  
მიმართული იყო კათოლიკერი ეკლესიის ძალაუფლების განვიტაცი-  
საკუნ.
14. პ უ რ ბ ა ხ ი, გ ვ ი რ გ (1423—1461) — ავსტრიელი ასტრონომი  
და მათემატიკოსი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, „პლანეტების  
ახალი თეორიის“ ავტორი.
15. რ ე გ ი ო მ ო ნ ტ ა ნ ი (ოოპან მიულერი, 1436—1476) — გამოწე-  
ნილი გერმანელი ასტრონომი და მათემატიკოსი, გ. პურბახის მოწაფე.
16. ბ ი რ უ ნ ი, ა ბ უ რ ა ი პ ა ნ მ ო ნ ტ ა ნ ი (1072—1048) — გამოწენილი ხორეზმელი შეცნიერ-ენიელობელისტი,  
მრავალი შრომის აეტორი მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში.
17. უ ლ უ გ ბ ე კ ი, მ უ პ ა მ ე დ თ ა რ ა გ ა ი (1394—1449) — ვა-  
მოწენილი უზბეკი ასტრონომი და მათემატიკოსი, თემურ-ლენგის შვილი  
შვილი, ახალი ასტრონომიული ტაბულების აეტორი.
18. ბ ი უ ფ ი ნ ი, ე თ რ ე (1707—1788) — ცნობილი ფრანგი ნატურა-  
ლისტი, პარიზის აკადემიის წევრი, აეტორი სინკრეტისოდ დაწერილი  
36 ტომიანი „ბუნებისმეტყველების ისტორიისა“. მისმა ბიოლოგიურია  
და გეოლოგიურმა პიპოთეზებმა დიდი როლი ითავსეს მე-19 საუკუნის  
დასაწყისის ეკოლუციური იდეების განვითარებაში ბიოლოგიასა და გეო-  
ლოგიაში.
19. კ ა ნ ტ ა, ე მ ა ნ უ ე ლ (1724—1804) — გამოწენილი გერმანელი  
ფილოსოფოსი, გერმანული იდეალიზმის კლასიკოსი.
20. ლ ა კ ლ ა ს ი, პ ი ე რ ს ი მ ი ნ ი (1749—1824) — გამოწენილი  
ფრანგი ასტრონომი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი, პარიზის აკადემიის  
წევრი.
21. ჯ ი ნ ს ი, ჯ ე მ ს პ ი კ ვ უ დ ი (1877—1746) — ინგლისელი ფი-  
ზიკოსი და ასტროფიზიკოსი, იდეალისტი, ინგლისის სამეცნ ასტრონომი-  
ული საზოგადოების პრეზიდენტი.

22. კ ი პ ა რ ქ ე (II ს. ჩვ. წ-მდე) — ძველი საბერძნეთის ღრდა მუკაწე  
ერი, ასტრონომიის ერთ-ერთი ფურემდებელი.
23. კ ო ლ უ შ ბ ი, ქ ო ი ს ტ ე ფ ი რ ე (ცირისტობა: კოლმენი 1547-1552-  
1506) — გამოხენილი გენუელი ზღვაოსანი. მსახურობდა ეჭიშვილის მეუკანტ  
ფის კარხე, რომელის ჭადარებითაც მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია ატ-  
ლანტის კუკანეზა. აღმოაჩინა ვესტრინდოვთის რამდესირე კუნძული და  
სამხოოთ და ცენტრალური მერიების სიაბიროები.
24. კ ა ბ თ ტ ი, ქ ო ნ (1450—1498) — ონგლისელი ზღვაოსანი,  
წარმოშობით იტალიელი. 1497 წ. აღმოაჩინა ჩრდ. მერიები, რომელიც  
ჩინეთი ეგვინი. პარველმა მიაღწია ნიუფაუნდლენდს.
25. კ ა ბ თ ტ ი, ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ (1477—1557) — ქონ კაბოტის შე-  
ლი, ზღვაოსანი. 1517 წ.. აღმოაჩინა ჰედსინის ურე, შემდეგ წლებში  
კი გამოიყვალია სამხრ. მერიების აღმ. სანაპირო მაგილანის სრუტემდე.
26. დ ი ი ს ი, ბ ა რ თ თ ლ თ მ ე ო (1450—1500) — პორტუგალელი  
ზღვაოსანი. ინდოეთისკენ საზღვაო გზის ძებნისას 1486 წ. აღმოაჩინა  
და შემოუარა აფრიკის სამხრეთ კიდეს, რომელსაც კარიშელის კონკის  
უწოდეს (კეთილი იმდის კონკი). დაიღუპა ექსპედიციაში, რომელმაც  
აღმოაჩინა ბრაზილიის სანაპირო.
27. ვ ა ს კ ო და გ ა მ ა (1469—1524) — პორტუგალელი ზღვაოსანი  
პარველმა მიაღწია ინდოეთის აფრიკის შემოვლით (1497).
28. კ ე ს პ უ ჩ ი ა მ ე რ ი გ ო (1451—1512) — იტალიელი ზღვაო-  
სანი და გეოგრაფი. ესპანეთის შეფის დაგალებით იმოგზაურა კოლუმბის  
შეირ აღმოჩენილი კონტინენტისაკენ, რომელსაც მისი სახელის პატივ-  
საცემად მერიება უწოდეს.
29. დ ე ლ ა მ რ ი, უ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ ე რ ზ ე ფ ი (1749—1822) —  
ცირანგი ასტრონომი და გეოდეზისტი. შეადგინა ტაბულები მზისა და  
პლანეტების მოძრაობის გამოსათვლელად. მეშენთა ერთად ჩაატარა  
საფრანგეთში გრადუსული გაზომვები, რაც საფურვლად დაედო მეტრის  
სიგრძის დადგენის. მანვე დაწერა ასტრონომიისა და დედამიწის გაზომ-  
ვების ისტორია.
30. მ ე შ ე ნ ი, პ ი ე რ ფ რ ი რ ა ნ ს უ ა ა ნ დ რ ე (1744—1804) —  
ცირანგი ასტრონომი და გეოდეზისტი, პარიზის აკადემიის წევრი. აღმოაჩი-  
ნა 12 კომეტა.
31. კ რ ა ს თ ვ ს კ ი, თ ე რ დ ი ს ი ნ ი კ ი ლ ი ზ ი ს ძ ე (1878—  
1948) — გამოჩენილი საბჭოთა გეოდეზისტი, სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტი. მის მიერ შედგენილი პროგრამით და მონაცილეობათ  
განხორციელდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საყრდენი გეოდეზიური  
ქსელის შექმნა. მოწანილეობდა აგრეთვე დედამიწის ელიფსოიდის  
ზომების დადგენიში ახალ შეცნიერულ საფურველებზე. ამ ელიფსოიდს  
კრასოვსკის ელიფსოიდი ეწოდა.
32. ბ ე რ ი, კ ა რ ლ ე რ ნ ე ს ტ ი (1792—1876) — გამოჩენილი



პუნებისმეტკველი, პეტერბურგის აკადემიის წევრი, ზოოლოგი, ამორთ-  
კოლოგი და გეოგრაფი.

33. კიშ ვე, ზორე (1769—1832) — გამოჩენილი ფრანგი ბილიური  
მეტკველი, პარიზის აკადემიის წევრი, მრავალი შრომის ავტორი  
შედარებით ანატომიაში, პალეონტოლოგიაში და ცხოველთა სისტემატი-  
კაში.

34. ბრინიარი, ალექსანდრე (1770—1847) — ფრანგი გეო-  
ლოგი, ქანების პირკველი მინერალოგიური კლასიფიკის ავტორი.  
მასევ ეკუთხნის ზოგიერთი ქანის სახელის შემოღება (დიაბაზი, მელაფირი  
და სხვ.). შექმნა პალეონტოლოგიური მეთოდი სტრატიგრაფიაში.

35. ბრკერი დორი, ანტუან ანრი (1852—1908) — პარიზის  
აკადემიის წევრი. აღმოაჩინა ურანის რადიაქტიური გამოსხივება. მის-  
მა გამოკვლევებმა მართა და პიერ კიურები მიიყვანეს რადიაქტიურობის  
აღმოჩენაში.

36. ბრგერი, პიერ (1698—1758) — ფრანგი ფიზიკოსი, პარიზის  
აკადემიის წევრი ხელმძღვანელობდა ექსპედიციის სამხრეთ იმერიკაში  
გრადუსული გაზომვების მიზნით დედამიწის ფორმის დასაღვენად.

37. ცურნადსკი, კლადიშერ ივანეს ძე (1863—1945) —  
გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, მინერალოგი, გეოქიმიკოსი და ქრისტია-  
ლოგრაფი. აკადემიკოსი. გეოქიმიის და ბიოგეოქიმიის ფუძემდებელი.

## సారింగి

ర్యాసెగాల్సి	3
వ్యథికట్టబడాన శరీరము	6
శిలంటెంచేధి, శిలంటెంచేధి నొండి	27
ప్రాస్టిక్స్ ప్లానెట్రిస్ గార్జెట్	34
ఎంపి — 5 విండోర్స్ ర్యాస్ ప్రెస్టిరిస్ స్యూప్	42
మిగ్జెంశుర్నంది ఉపాధిష్టిస్ ప్రైస్ కాలాఫ్యెబి	54
ఫార్మెంట్ ర్యాస్ డా డాప్ట్యూర్ట్రల్స్	65
ప్రైస్ ర్యాస్	66
ఎంపి	71
ప్రైల్యాప్స్ స్క్రోప్లెప్పు	76
ఎఫ్ఱింగ్	80
ఎమ్మెర్సింగ్	83
ప్రైల్యాప్స్ ప్రైప్యాల్చెచ్	88
సాంక్రమించిన ప్రైల్యాప్స్ దో	91
కావ్యాసింగ్ మింట్స్ ప్రైల్యాప్స్ తాత్కాలిక	99
ప్రైల్యాప్స్ మింట్స్ ప్రైల్యాప్స్ తాత్కాలిక	109
సాంక్రమించిన ప్రైల్యాప్స్ ప్రైల్యాప్స్ తాత్కాలిక	114
ఫార్మెంట్ ప్రైల్యాప్స్ ప్రైల్యాప్స్ కాలాఫ్యెబి	122
ఫార్మెంట్ ప్రైల్యాప్స్ డా శ్లోపం హింది క్రూరా కాలాఫ్యెబి	123
ప్రైల్యాప్స్	123
ఎంపి	125
ఎమ్మెర్సింగ్	143
ఎఫ్ఱింగ్	145
సాంక్రమించిన ప్రైల్యాప్స్	150
సాంక్రమించిన ప్రైల్యాప్స్	154
సాంక్రమించిన ప్రైల్యాప్స్ మింట్స్ ప్రైల్యాప్స్ మాలాస్	161
సాంక్రమించిన ప్రైల్యాప్స్ మింట్స్	171
ప్రైల్యాప్స్ మింట్స్ ప్రైల్యాప్స్ మాలాస్	173
ప్రైల్యాప్స్ మింట్స్	

რედაქტორი გ. შაისურაძე  
მხატვარი გ. აკანიშვილი  
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე  
რემნიკური რედაქტორი გ. რთველაშვილი  
კორექტორი ნ. კირიაძე  
გამოსწევი გ. ბენიძე

გადაფრა წარმოებას 27/111-73 წ. ხელმოწერილია დასტურდად 7/VIII-74 წ.  
საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×108<sup>1/32</sup>. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 7,7.

სააღრ.-საგამომცემლო თაბაზა 6,06.  
შე 01010. ტიჩაევი 5000. შეკვ. № 3616  
ფასი 23 გამ.

გამოსწელობა საპროფ. საქართველო  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბეჭდის გამოსწელობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნით გაჭრობის საქმეთა სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრჩეველობის სტაბი № 5,

ჭ. ჭუთაძი, ი. ჭავჭავაძეს პროსპექტი, 11.

Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета  
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,  
полиграфии и книжной торговли.  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.



ТАМАЗ ЗАХАРЬЕВИЧ КИКНАДЗЕ

Тайны голубой планеты

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1974

## පෙරේ ඩැමෝනැස්

වෘත්තාර්ථ ත්‍යැගී — „බෙළුත්‍ය දා තුළුවේද්‍රිය“

ඩ. ප්‍රංශ්‍ය ත්‍යැගී — „ත්‍යුළු සාක්ෂි තුළු ප්‍රංශ්‍ය මධ්‍යස්ථානය“

ඉ. රුහුණු ත්‍යැගී — „මතාත්මින්දයි ප්‍රංශ්‍ය මධ්‍යස්ථානය“

ආ. එරුජ්‍යා ත්‍යැගී — „ජාත්‍යාල-රූසූල දා රූසූල-ජාත්‍යාල මධ්‍යස්ථානය“

ඇ. මුද්‍රා ත්‍යැගී — „සාධ්‍යාත්මක ප්‍රංශ්‍ය මධ්‍යස්ථානය නායුරු මධ්‍යස්ථානය“

